



ლიტერატურა

№ 152 / 03 60 ს 0 / 2014

1737


2014

- ...AND NOW LADIES AND GENTLMEN... უნიკალური მარი! **გვ. 22 18**
 ქალები გადაწყვეტილებებს მიღა 83. 36
 ჩარევა სასურველია... 83. 12
 ჩრდილოკავკასიელები უკრაინაში 83. 54
 ვერდავთ მუსიკას, ვუსხეთ ჩალეჭს 83. 70
 გთხოვ, დამივიწყო 83. 56


საქართველო
განვითარების
მინისტრი

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



0308 iOS-0სთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

0308-ის ყველგან!
0308-ის პომფორტულება!
www.lit.ge

0308 iOS-0სთვის საშუალებას გაძლიერ მართვაზე იკითხოთ lit.ge-ს ნივნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER”





ზოგადი ცხადობის ხაზი

„არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, თითქმის გადამწყვეტი შეფასების კრიტერიუმი... რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს იმ ადამიანის ღირსებების, რომელიც დედაქალაქის მერობას აპირებს... ეს ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, არის კანდიდატთა ზოგადი კულტურა, რომელსაც საქართველოში არავინ არასოდეს სერიოზულად არ აღიქვამს და, მით უმეტეს, არ მოითხოვს პოლიტიკოსისგან“, – ამ სიტყვებს პაატა ქურდაძის სტატიაში ამოკითხავთ, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებს ეხება.

თუ რას გულისხმობს მწერალი „ზოგადი კულტურის დეფიციტში“, სტატიის კითხვისას თავად გაარკვევთ, ჩემთვის კი, „ზოგადად უკულტურო კაცი“ – ასეთი შეფასება, ზედმინევნით ხატაქს არმმხოლოდ დედაქალაქის მებრძოლ კანდიდატებს, არამედ საქართველოს ფორმალურად მესამე, პრატიკულად კი პირველ პირს. პირველს, სახელმწიფო თანამდებობის პირთა შორის, ცხადია.

მოუსმინეთ მის ინტერვიუებს, უყურეთ მისი მონანილებით გამართულ ტოკ-შოუებს, მის ურთიერთობას ჟურნალისტებთან, დააკვირდით მისი საუბრის, გნებავთ, მოძრაობის მანერას... დეფინიცია ზედგამოჭრილია.

სხვაგვარად რით ავსნათ, რომ იგი ვერ ხვდება, თუ რატომ არ შეიძლება პრემიერ-მინისტრმა განაცხადოს – „არ დავუშვებ სხვა პარტიის გამარჯვებას?“

ვერ ხვდება, რომ სამარცხვინოა, პლანტაციებში სამუშაოდ ვინმე დამცირების მიზნით „გამამწესო“...

რომ ბექა არ არის კრიმინალი...

რომ ადამიანებმა თვითგამოხატვის ნება მისი სტრუქტურებისადმი უნდობლობის გამო დათმეს...

რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმინერა არაადეკვატური პრეტენზიებით სასა-ცილოდ არ უნდა გადააქციო...

და ა.შ და ა.შ.

თუმცა ამ ნომრის მთავარი თემა პრემიერ-მინისტრი არ არის. „ლიბერალის“ ფოკუსში „მეორე სქესზე“ – ქალებზე – ძალადობის, მათი უკიდურესი დისკრიმინაციის, დროის უმოქლეს მონაკვეთში საგანგაშო რაოდენობის მკვლელობების მოტივების ანალიზი მოექცა. „ლიბერალის“ ჟურნალისტები ცდილობენ შიშველი ფაქტების დემონსტრირებით ინსპირირება გაუკეთონ კითხვას – „პასუხისმგებლობის რა წილი მექანიზმა მე?“ სასულიერო და საერო ხელისუფლების როლი კარგა ხანია გარკვეულია, თუმცა, სად დგას ყბადაღებული „სამოქალაქო საზოგადოება?“ საიდან ადვინდებრ თვალს აქტივისტთა უმცირესი ჯგუფების პროტესტის მცდელობებს? იქნებ ზემოთ აღნიშნული დეფინიცია არამხოლოდ დედაქალაქის მერობისთვის მებრძოლ კანდიდატებს თუ საქართველოს ფორმალურად მესამე, პრატიკულად კი პირველ პირს ესადაგება?

8/9/2014

მთავარი რედაქტორი
ორაკული პასანდე

რედაქტორის გვარი
ლევა ზავაშვილი
ზურბა ვარდიშვილი

სარგალისტები:

ზურბა ვარდიშვილი, ლიკა ზავაშვილი, თათი ხალანი, გორგი ქეშვილი, სოფო აფასური, ეკა მაღალაძე, ქეოვან ლევაშვილი, სალომე გორგოძე

კონსლიტები:

გორგი ცხადანა, პაატა ქურდაძე, გორგი ძენებაძე, ქეთი ქანთარა, გალერი ძუცველი, ნინო ნატროშვილი, ნინო პავლიაშვილი, გორგი კევლიძე, დავით ბუხრიკაძე

რედაქტორი:

ფოტო-რედაქტორი
ლევა ხერხევლიძე
გრაფიკული დიზაინი
თერინკე ლეიტექიფანიძე
სტილისტ-კორექტორი
ნათა ორმოცაქე

გამომცემული:

შპს „ლიბერალი“

პარტნიორებთან
ურთიერთობის მხედვები:

ორმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

გაგა გელაშვილი

ფურნალის გამონარის მსურველები

დავით გურიაშვილი

247 02 46



საზოგადოება

პატიჟისას რა მოხდება, რა იმუშავდება (ეს/ან) პატიჟისა?


გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქალთა 50,1% ფიქრობს, რომ კარგი ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება მას. ქალთა 34,1% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს. 44,9% ფიქრობს, რომ აუცილებელია, მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს დაანახოს, თუ ვინ არის ოჯახის უფროსი. „გაეროს განვითარების პროგრამის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად კი, „ნებისმიერი ცოლი უნდა იყოს ქმრის მორჩილი, ნებისმიერი ხასიათის მამაკაცი უნდა აიტანოს ქართველმა ქალმა“.

 გიორგი ძეგლაძე
83.44

ინტერვიუ

„სახელმიწოდებელი ინტერვიუს ახ უნდა შეიტოვოს ცენტრ მაღალი - პიროვნების ინტერვიუს“

თუ ილიამ და თერგდალეულებმა საქართველოს საძირკველი ჩაუყარეს და ჩვენ მათი ლიბერალური, ევროპული პროექტის შვილები ვართ, როგორ შეიძლება თქვა, რომ მე ტრადიციულად ქართველი ვარ და ევროპას არ ვიღებ?! აღნიშნული ფასეულობები შესისხლხორცებულია ევროპულ ფასეულობებთან. ქრისტიანობა წარმოუდგენელია განმანათლებლობის გარეშე; განმანათლებლობა დროებითი კულტურული ფენომენი კი არა, ზოგადებულობრიული, შეუქცევადი სულიერი ფენომენია. ამ დროს ადამიანი დამოუკიდებლად იწყებს აზროვნებას და ბედავს, რომ ტრადიციის შუამავლების გარეშე ავთენტურად დაამყაროს ურთიერთობა რთულ, მარად ცვალებად რეალობასთან.



 გიორგი ძეგლაძე
83.16

პოლიტიკა

...And Now Ladies and Gentlemen... ენციცისი მიზი!

ჩემი აზრით, ყველაზე კონცეპტუალური, რაც თბილისში ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაკეთდა, აეროპორტის გზაზე პრეზიდენტი ბუშისთვის პლასტმასის ყვავილებით მორთული ორი საბჭოთა მახინჯი საცხოვრებელი კორპუსის ფასადი იყო. არც მანამდე და არც მერე ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის ქართული დეკადანისის ასეთი ძლიერი ვიზუალური მესიჯი არავის გაუკეთებია. ეს იყო ზუსტად ის პოტიომკინური კულტურა, რომელსაც ქალაქის მესვეურნი მთელი ამ წლების განმავლობაში ატარებდნენ.


პაატა ქურდაძე
83.22

ფოტოპროექტი

ლია ბაჟათვაშვილი იოსებ ბერიშვაშვილის ხოლოსიერან



83. 58-65



საზოგადოება


ჭალა ბაზარული ილაზის მიღმა

ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულთა 53% ქალები არიან. თუმცა მოსახლეობის დემოგრაფიული განაწილება ხელისუფლებაში არათუ იგივე თანაფარდობით, ნახევარი პროპორციითაც კი არ არის ასახული.

2014 წლის თებერვლის მდგომარეობით საქართველოს 59 მუნიციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს დეპუტატების 89% მამაკაცია. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საზოგადოების“ კვლევის მიხედვით, საკრებულოებში ქალ დეპუტატთა ნარმომადგენლობით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თეთრინყაროშია – 8 ქალი. ქარელში, გარდაბანში, სიღნაღსა და წყალტუბოს საკრებულოებში ქალები მხოლოდ 4%-ს შეადგენენ. ქალი დეპუტატები საერთოდ არ ჰყავთ მცხეთაში, ახალქალაქში, დედოფლისწყაროსა და ხონში.

თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე
83.36

ნომერში:



ნიუსტატურა საბა ლეზენი

- 06 მოკლედ
- 08 ციტატები
თვალსაზრისი
- 12 ჩარევა სასურველია –
რა შეიძლება ვისწავლოთ
ფრანგული დირიჟიზმისგან
ინტერვიუ
- 16 „სახელმწიფო ინტერესს
არ უნდა შეეწიროს უფრო
მაღალი – პიროვნების
ინტერესი“
პოლიტიკა
- 22 ...And Now Ladies and
Gentlemen... უწესიერესი
მერი!
- სამართალი**
- 32 ვის ხელშია შენი პირადი
ცხოვრების „გასაღები“?
საზოგადოება
- 36 ქალები გადაწყვეტილებებს
მიღმა
- 44 პატრიარქალური ოჯახის
სიწმინდე და ფემინიზმი, თუ
(და/ან) ჰუმანიზმი?
სამხრეთ კავკასიის ხმები
- 50 აფხაზეთი, მცირე პაუზის
შემდეგ
- 54 ჩრდილოკავკასიელები
უკრაინაში
ტექნოლოგიები
- 56 გთხოვ, დამივიწყო
ფოტოპროექტი
- 58 ღია ბარათები იისებ
გრიშაშვილის კოლექციიდან
ბიბლიოთეკა
- 66 პირველი ქართული პატიმარი
ნიგნი
- კულტურა**
- 68 ექვთიმე თაყაიშვილი 150
- 70 ვხედავთ მუსიკას, ვუსმენთ
ბალეტს

ბიბლიოთეკა

პირველი ქახორცი პატიმარი ნიგნი

მოკლედ, ნიგნი ჩვენი ბედისაა და რა გასაკვირია, რომ ხანდახან აპატიმრებენ კიდეც. აგერ, არც თუ დიდი ხნის წინ, მეხსიერებაგასაწვდენ წარსულში, საქართველოში წიგნის ციხეც არსებობდა: წიგნის პალატაში სპეციალური ფონდის ოთახი იყო, სადაც, ვთქვათ რობაქიძის და ჯავახიშვილის ნაწარმოებები იხდიდნენ სასჯელს – გაურკვეველი ვადით. საბჭოთა საქართველო ცენზურას არ უჩიოდა. მიხეილის კრებული, სახელად „პატარა დედაკაცი“ 1926 წელს გამოსცეს და მწერლის დატუსაღებისთანავე დააპატიმრეს.

გიორგი კეკელიძე
გვ.66

ბაზობიგიპი

ბოსოვა, ემივინი

„დავიწყების უფლების“
არაკეთილსინდისიერად
გამოყენების საფრთხე
მართლაც არსებობს, ამიტომ
Google-მა გადაწყვიტა, ყველა
განაცხადი არა პროგრამამ,
არამედ ადამიანებმა დაამუშაონ და მათ შეაფასონ, არის თუ არა
ინფორმაცია მნიშვნელოვანი და რა არის მისი წაშლის მოთხოვნის
ნამდვილი მოტივი. იმ მომებმარებლებს კი, რომლებიც განაცხადზე
უარს მიიღებენ, შეუძლიათ Google-ის გადაწყვეტილება სასამართლოში
გაასაჩივრონ. კომპანია საბოლოო პროცედურებზე მუშაობას და მათ
დახვენას კვლავაც აგრძელებს. ის მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს
მონაცემთა დაცვის ორგანოებთანაც. სხვათა შორის, მარეგულირებლებიც
მიიჩნევენ, რომ თითოეულ ბმულს აუცილებლად უნდა დაერთოს
განმარტება მისი წაშლის მიზანშენონილობის შესახებ.

ნინო ნატროშვილი
გვ.56



გამოცველი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
„ლიბერალის“ საატორო უფლებები დაცულია.
უფრნელში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაფლა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, კოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.



შემნახველი ანაბარი

დაზოგე პროკრედიტ ბანკში!




*22 22



220 22 22



procreditbank.ge



2012 წეს მსოფლიოში 18 მილიონი ადამიანი ტანკილისაგან უარვით გახდას გარდაიცვალა, - სტატისტიკურ ინფორმაციას პალიატიური დახმარების მსოფლიო აღიანსი ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, მძიმე დაავადებების მქონე პაციენტებს ტკივილგამაყუჩებელ წამლებზე ხელი არ მოუწოდებათ.

ორგანიზაციის ინფორმაციით, მაგალითად, ეთიოპიაში კიბოთი დაავადებულები ტანჯვის შემსუბუქების მიზნით ხშირად თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს. ანალოგიური მდგომარობაა ეგვიპტეში, მოზამბიკასა და პაკისტანშიც. პაკისტანში 2012 წელს პალიატიური მოვლა 350 ათას ადამიანს დახმარება მხოლოდ 350 ადამიანს აღმოუჩინება.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის აცხადებენ, პრობლემას წარმოადგენს არა პრეპარატების ფასი, არამედ ხელისუფლების მიდგომა. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს ეხება, სადაც არსებობს გაზვიადებული შიში, რომ მსგავს მედიკამენტებზე დამოკიდებულება იოლია. ექიმები კი, თავის მხრივ, ერიდებიან სამართალდამცველებთან ზედმეტ პრობლემებს და ტკივილგამაყუჩებლების რეცეპტის გამოწერაზე უარს ამბობენ. პალიატიური მზრუნველობის კუთხით ყველაზე კარგი მდგომარეობა აესტრიაშია.

საქართველოში 50 000 ბავშვი ენიმურებას სილაპარაში

საქართველოს 0-16-მდე წლის ბავშვების 27% სილარიბეში ცხოვრობს, აქედან 50 000 ბავშვი უკიდურეს სილატაკეს განიცდის და დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს – ამ ინფორმაციას გაეროს ბავშვთა ფონდი ავრცელებს. UNICEF-ის ინფორმაციით, ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ოჯახები, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავთ და რაც უფრო მეტი ბავშვია ოჯახში, მით მეტია სილატაკის რისკი.

„სილარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 2011 წელს 25%-დან 2013 წელს 27%-მდე გაიზარდა, რადგან სოციალური დანახარჯები უფრო მეტად სხვა დაუცველ ჯგუფებზე იყო მიმართული“, – ნათქვამია კვლევაში. გარდა ამისა, „იუნისეფის“ კვლევამ აჩვენა, რომ 2012 – 2013 სასწავლო წლებში უღარიბეს ოჯახებში 17 წლის ასაკის ბიჭების შხოლოდ 53% დადიოდა რაიმე სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 18 წლის ასაკის ბიჭებისთვის ეს მაჩვენებელი 47%-მდე ეცემა.

ბოლო ორი წლის მანძილზე შემცირდა ბავშვთა უკიდურესი სილარიბე, თუმცა მისი დონე სხვა ქვეყნების მოსახლეობასთან შედარებით კვლავ ყველაზე მაღალია. საქართველო უთანასწორობის მაღალი დონის მიხედვით ევროპაში მეორე ადგილზეა.

ჯონ ლენონის ხელნახაზი ეს ნახახაზი ჩაიყიდა



ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის „The Beatles“-ის წევრის ჯონ ლენონის ხელნახერები და ნახატები სოთბის აქუციონზე რეკორდულ ფასად – 3 მილიონ დოლარად გაიყიდა. გაყიდულ ლოტებს შორის იყო ფანქრით შესრულებული ნახატები, ლენონის ლექსები და მოთხოვნები. ლენონის მიერ დაწერილი ერთ-ერთი მოთხოვნა ახალ მფლობელს 209 ათას დოლარზე მეტი დაუჯდა.


აშშ "ტახორიზაციან ბიბოცის ფონდის" 5 ახე ემცახით ლაფინანსებს

ბარაკ ობამა „ტერორიზმთან ბრძოლის საპარტნიორო ფონდის“ ჩამოყალიბების იდეით გამოვიდა და მისთვის 5 მილიარდ დოლარს გამოყოფს. ამის შესახებ პრეზიდენტმა, ავღანეთიდან სამხედრო ძალების გამოყვანის შემდეგ, ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ფონდის მიზანია დაეხმაროს სხვა ქვეყნებს რადიკალ ექსტრემისტებთან გამკლავებაში. როგორც ბარაკ ობამა ამბობს, ამერიკამ ჯარები ერაყიდან გაიყვანა. ამასთან, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ ძალას მხოლოდ მაშინ გამოიყენებს, თუ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები მოითხოვს. თავის გამოსვლაში აშშ-ის პრეზიდენტი უკრაინის კრიზისს შეეხმადება და განაცხადა, რომ აშშ-ის ძალისხმეული შესაძლებელი გახდა რუსეთის იზოლაცია.

გამოხითხვითა 51% მაცის ნიბეს სახითოები ას ცის სახითხავს

„გამოკითხულთა 39%-მა ბოლო 1 წლის განმავლობაში ხუთამდე წიგნი წაიკითხა. 6-დან 10-მდე წიგნი წაიკითხა 20%-მა, ხოლო 18% აღიარებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში წიგნი საერთოდ არ წაუკითხავს“, – აღნიშნულია პროექტ „წიგნის პლატფორმის“ ფარგლებში ჩატარებული 2012 წლის კვლევაში, რომლის მთავარ მიზანს წიგნის მეთხველთა



რაოდნობის, მათი შეხედულებების, ჩვევებისა და მოთხოვნების შესწავლა წარმოადგენდა.

ფოუსჯუფები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შედგა. საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში 1000 რესპონდენტი გამოიკითხა. თვისებრივი კვლევის პერიოდში კი განსაკუთრებული ყურადღება მთარგმნელებსა და გამომცემლებს მიექცა.

კითხვაზე, თუ რამდენი წიგნი შეიძინეს ბოლო 12 თვის განმავლობაში, გამოკითხულთა 31% ამბობს, რომ არც ერთი წიგნი არ შეუძინა.

მხოლოდ 40%-მა შეიძინა 10-ამდე წიგნი. მეტობეველთა ყველაზე პოპულარული სამეულის სათავეში, 68%-ით მხატვრული ლიტერატურა მოექცა. შემდეგ მოდიან დეტექტივის მოვარულები (40%), მესამე ადგილს კი პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ წიგნის მეტობეველები იკავებენ (22.4%).

წასაკითხი წიგნის შერჩევის პროცესში წიგნის შინაარსი (84%) და მისი ავტორის ვინაობა (64,9%) ყველაზე მეტ გავლენას ახდენს მკითხველზე. ყიდვის დროს კი 57%-ის-თვის ფასია გადამწყვეტი. რესპონდენტთა 91,5% წასაკითხ წიგნს თავად ირჩევს. ასევე დიდ ნდობას იწვევს მეგობრის ან ახლობლის რჩევაც (53,3%).

კვლევის შედეგების თანახმად, ყოველდღე წიგნებს გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 19% კი-თხულობს, ხოლო გამოკითხულთა 6% საერთოდ არ კითხულობს. რაც შეეხება ყიდვას, თვეში რამდენჯერმე წიგნს 31% ყიდულობს, ხოლო 18% მას საერთოდ არ ყიდულობს.

კვლევის მიხედვით ირკვევა ისიც, რომ გამოკითხულთა 51% ბავშვს წიგნს საერთოდ არ უკითხავს, ხოლო იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ბავშვებს წიგნს უკითხავენ, უმეტესობა ქალია.

გარდა ამისა წიგნის კითხვის დროს სახლი ყველაზე კომფორტულ ადგილად არის მიჩნეული, ბიბლიოთეკებში თითქმის არავინ დადის, საკმაოდ პოპულარულია სამსახურში კითხვაც, გამოიკვეთა წიგნის, როგორც საჩუქრის გამოყენების ტენდენციაც.

ასევე, კვლევაში აჩვენა რომ, ქალაქში უფრო მეტს კითხულობენ/ყიდულობენ წიგნებს, ვიდრე სოფელში. ამიტომაც, ქალაქში წიგნებზე დახარჯული წლიური ბიუჯეტი აჭარბებს სოფელში იმავე დანიშნულებით დახარჯულ წლიურ ბიუჯეტს.

გამომცემლებსა და წიგნის მაღაზიებს კვლევაში მონაწილე რესპონდენტები რეკომენდაციების სახით ფასდაკლების აქციებსა და ხელმისაწვდომ

ფასებს ურჩევენ. გარდა ამისა, ითხოვენ, რომ ყურადღება მიექცეს და გაუმჯობესდეს წიგნის ხარისხი და პოლიგრაფია, მეტი ყურადღება მიექცეს წიგნის რეკლამირებასა და მომზარებლის ინფორმირებულობას, გაიმართოს შეხვედრები და წიგნის პრეზენტაციები; გაუმჯობესდეს სერვისი.

კახიის პერიოდი პეტრ პოროშენკო ბახეა

25 მაისს უკრაინის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში პეტრო პოროშენკომ გაიმარჯვა. მან ხმათა 54,7% დააგროვა.

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 60,29%-მა მიიღო.

პეტრო პოროშენკო უკრაინის რიგით მეხუთე პრეზიდენტია. ☐





„MAP-ი არ შედის ნატოს მომავალი სამიტის დღის წესრიგში, მაგრამ ჩვენ ვხედავთ პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია; ვხედავთ, რა წვლილი შეაქვს საქართველოს ჩვენს ერთობლივ საქმიანობაში, მაგალითად, ავღანეთში, და ვფიქრობ, ნატოს მომავალ სამიტამდე უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, როგორ ცხადვყოთ, რომ ამ რთულ საქმიანობაში საქართველო კარგი პარტნიორია. საამისოდ MAP-ის გარდა, ვფიქრობ, სხვა შესაძლებლობებიც არსებობს“.

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი



„ჩვენ ვაპირებთ, გავზარდოთ მხარდაჭერა მეგობრების დასახმარებლად, როგორიც არის უკრაინა, მოლდავეთი და საქართველო, რათა მათ უზრუნველყონ საკუთარი თავის დაცვა“.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა



„ვერც ერთ დანაპირებს ვერ მეტყვით, რომელიც ჩვენ არ შევასრულეთ. შესრულდება ყველა დანაპირები, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში მოსახლეობას მივეცით, ხოლო რაც 18 თვეში მოვახერხეთ, ეს იყო უპრეცედენტო. ეს ყველაფერი შევძელით ბიუჯეტის სწორად გადანაწილებით. ეს ყველაფერი, დღეს შეიძლება ბევრს არ ახსოვს და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამის შეხსენება“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი



სისხაბის აქცია

მიეცით თავს მეტის უფლება!

აიღეთ ან გადმოიტანეთ ნებისმიერი სესხი
და შეიმცირეთ საპროცენტო განაკვეთი

LOANS CAMPAIGN

 **თიბისის ბანკი**
TBC BANK


თქვენ გვერდით

რ 227 27 27 | გ * 27 27 www.tbcbank.ge

მეტი კომისიონი მარნეულისა და ხუჭაბის ეპარქიას


მარნეულის მუნიციპალიტეტი

(2002 წ. საყოველთაო აღწერა)



ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა

2013

196 626 ლარი**99.6%**მართლმადიდებლური
ეკლესიებისთვის**0.4%**

მეჩეთებისთვის

ხარჯების მიზნები

მართლმადიდებლური
ეკლესიებისთვის

ლარი

136 524

ავეჯის და სხვა ნივთების შესაძენად

მეჩეთებისთვის

ლარი

0

მაგალითად: წაბლის ხეში ნაკვეთი სამეულეო სავარძელი, მაგიდა, სკამი, ბელუქების დანები, თეფუძები, ტაფუძები, ქვაბები

31 849

ელექტროტექნიკა

მაგალითად: კონფიუნენტები, ლუპტოპები, ტელევიზორი, პრინტერი, ფავის აპარატი, ბლუზდერი, ფერსამენი, მტკვერსასრუტი

10 500

სუბსიდია

მაგალითად: 6 000 ლარი სამინასტრო ცხოვრების ხელშეწყობისა
და სულიერი ცხოვრების აღორძინებისთვის**8 346**


სხვა

მაგალითად: 4 800 ლარი, მისაღოცების დამზადებისთვის


8 550

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯის დასაფარად


856



ფიქტობს, რომ
ინგლისური ენა
საფრთხეს უქმნის
ქართულ ენას



ღიაბიანდება, როგო
ადამიანები მისთვის
გაუგებარ ენაზე საუბრობენ




ეთანხმება, რომ საქართველოში
მცხოვრებ ყველა მოქადაქეს,
რომელმაც არ იცის ქართული
ენა, უნდა ჩამოერთვას
მოქადაქეობა

პედაგოგთა მმრდნობელობა უმცირესობაზე მიმართ




ფიქტობს, რომ
არაბრადიციული
რელიგია (სექტები)
საფრთხეს უქმნის ქართულ
სახელმწიფოობრიობას



ეთანხმება, რომ
მართლმადიდებლები
მრივილეგიზმებული უნდა
იყვნენ საქართველოში

განსხვავებული
სექსუალური
ორიენტაციისადმი



ფიქტობს, რომ
განსხვავებული სექსუალური
ორიენტაციის ადამიანები
საფრთხეს უქმნიან ქვეყანას
და საზოგადოებას



ფიქტობს, რომ
განსხვავებული სექსუალური
ორიენტაცია სიხსლის
საშართლის ნებით დასჭადი
ქმედება უნდა იყოს

წყარო: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ცენტრი,
ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების
დაწყებით საფეხურზე, 2013 წელი

გამოყენებული ხატელები: thenounproject.com

ჩახვე სასახლი - ჩა შეიძლება ვისნავოთ ფჩნდები ღიჩიზიზებან

როცა ახალი მთავრობის წარუმატებლობაზე ლაპარაკობენ, როგორც წესი, ხაზს უსვამენ ხოლმე არაიდეოლოგიურ, სამართლებრივ და ტექნიკურ ასპექტებს. ამ ასპექტებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაამართლა. მაგალითად, ამბობენ, რომ დარიბაშვილის მთავრობა ზედმეტად ბევრ პრემიას იღებს და ეს ფული ხალხის ნაცვლად, მაღალჩინოსნების ჯიბეებში მიდის. კიდევ ერთი პრეტენზია არის ის, რომ ახალი მთავრობა კვლავ აგრძელებს მოსმენებს, ხალხის უკანონო თვალთვალს და ამიტომ არაფრით განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისგან“ და ა.შ.

გიორგი ცხადაია

ადარაფერს ვამბობ ე.ნ. „სამართლიანობის აღდენის“ პროცესთან დაკავშირებულ ჩავარდნებზე – ერთი მხრივ, იმ ბრალდებაზე რომ „ქართული ოცნება“ რიგ შემთხვევაში გარიგებაში შედის „ნაციონალური მოძრაობის“ კონკრეტულ წევრებთან და, მეორე მხრივ, ის, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, კანონდარღვევით ავინწროებს. ყველა ეს ბრალდება „ქართული ოცნების“ მისამართით ლეგიტიმურია და თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ ამ სტატიაში ვაპირებ, რომ ყურადღება პრობლემის სრულიად განსხვავებულ იდეოლოგიურ ასპექტზე გავამახვილო. ეს უკანასკნელი შეუიარაღებელი თვალისტვის შედარებით შეუმჩნეველია და პოლიტიკურზე მეტად სოციალურ და კულტურულ დონეზე მოქმედებს.

ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩავარდნა ის არის, რომ სათანადოდ ვერ იქნა გათავისებული, რომ საბაზრო ეკონომიკაში ჩარევა სასურველია. „ქართული ოცნების“ იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც შედარებით მემარცხე-

ნეა, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობისა“, მაინც ბოლომდე ვერ გასცდა მემარჯვენე და ნეოლიბერალურ დისკურსს, რომელიც ყველა სოციალური პრობლემის მოგვარებას თავისუფალ ბაზარს ანდობს. პირველ რიგში, ვისაუბრებ იმაზე, თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად ასეთი მიდგომა, რა არის ამ მიდგომის მთავარი შეცდომა, შემდეგ კი ოპტიმალურ სახელმწიფო პოლიტიკაზეც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

დავწყოთ იქედან, თუ რას ემყარება რწმენა, რომ თავისუფალი ბაზარი (ბაზარი, რომელშიც სახელმწიფო სრულიად არ ერევა ან მინიმალურად ერევა) სამართლიანად და ეფექტურად გაანაწილება მატერიალურ რესურსებს. თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტები მიიჩნევენ, რომ ამგვარი განაწილება სამართლიანია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რესურსების (მათ შორის, სამუშაო ძალის) თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას ემყარება. ის, რომ ერთი ადამიანი მის ხელში არსებულ რესურსს მეორეს ნებაყოფლობით უცვლის, ეკონომიკური მემარჯვენეე-



ბის აზრით, იმისი დასტურია, რომ ორივე მხა-
რე შედევგით კმაყოფილი უნდა იყოს. როგორც
კონტინტისტები ამბობენ, ასეთ შემთხვევაში
მიღწეულია ე.ნ. პარეტო უფექტურობა (ისეთი
მდგომარეობა, როდესაც ერთი მხარე იგებს მე-
ორე მხარის ნაგების გარეშე).

ეკონომიკური მემარჯვენების აზრით, განაწილებაც ასევე ეფექტურია, რადგან ინდივიდუალური აქტორები თავის რესურსებს უფრო მეტად დაზოგავენ და გაუფრთხილოდებიან, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დანიშნული მოხელეები. ისინი მინიმალური დანახარჯებით მასიმალურად მომგებანი შედეგის მიღწევას შეუკეთიან.

თავისუფალი ბაზრის კრიტიკოსები, რომელთა პოზიციას მეც ვეთანხმები, ორივე ამ არგუმენტს კრიტიკის ქარ-ცეცხლის ქვეშ ატარებენ. პირველ რიგში, თავისუფალი ბაზარი არ უზრუნველყოფს სამართლიან განაწილებას ორი მიზეზის გამო: პირველი, აქტორებს არათანაბარი სასტარტო რესურსები აქვთ (და

ეს არათანაბრობა არის არა მიღებული გადა-
წყვეტილებების შედეგი, არამედ დაბადებიდან
მიღებული არათანაბარი რესურსების შედეგი),
და, მეორე, თავისუფალი გაცვლა ვერ არის
თავისუფალი მაშინ, როდესაც რესურსების
არმქონე აქტორებს გაცვლის გარდა სხვა აღ-
ტერნატივა არ აქვთ (მაგალითად, დარიბ მუშას
სხვა აღტერნატივა არ აქვს, თუ არა ის, რომ
თავისი სამუშაო ძალა მიზერულ ხელფასზე გა-
(ავალოს).

თავისუფალი ბაზარი ასევე ვერ უზრუნველყოფს ყველაზე ეფექტურ განანილებასაც, რადგან ხმირ შემთხვევაში აქტიორებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იქნება რესურსების გაცვლის საუკეთესო ალტერნატივა. ასევე, ხმირად არ აქვთ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ბაზა, რომ რესურსები ეფექტურად აითვისონ. სახელმწიფო არის საზოგადოების ყველაზე მსხვილი კოლექტიური ორგანიზაციის ფორმა და, ბენებრივია, ასეთ ორგანიზაციას

■ იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმუშაოს ისე, რომ ეფექტურად და სამართლიანად აწარმოოს და გაანაწილოს რესურსები, საჭიროა, რომ მან მიბაძოს არა ნეოლიბერალური და მემარჯვენე განვითარების მოდელს, არამედ აიღოს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის და განსაკუთრებით ფრანგული დირიქიზმის მაგალითი, ისტავლოს ბოლო წლების ყველაზე წარმატებული „პეივინ-გის კონსენსუსისგან“ და დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გასამატჯობესებლად.

■ ჩვენს შემთხვევაში
ნათლად გამოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“, მიუხედავად დადებითი ნაპიჯებისა, ჯერ კიდევ ნეოლიტურ (მემარვეენ) პარადიგმას იზიარებს იმით, რომ უშუალოდ სახელმწიფო კი არ ერევა ეკონომიკაში მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, არამედ ხშირ შემთხვევაში ისევ ბაზარს ანდობს რესურსების ეფექტურად და სამართლიანად განანილებას. მართალია, სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ეკონომიკური ინტერვენციონიზმისენ (ჩარევისკენ) სოფლის მეურნეობაში, სადაც მასშტაბური იაფი საკურდიტო პროგრამის და ახალი მიწების ათვისების პროგრამა განახორციელა, მაგრამ ამავე დროს, სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების გენერალური გეგმა.

ასეთი გენერალური გეგმა გულისხმობს არა მხოლოდ იაფი კრედიტების შეთავაზებას, არამედ მთლიანი ეკონომიკის ნარმართვას გარკვეული მიმართულებით – მათ შორის, სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ დარგებში სანარმოების დაფუძნებას. საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც საბჭოთა წარსულის კომპლექსი არსებობს, ამგვარი პოლიტიკა შეიძლება ნარსულის მაგნე გადმონაშთად მიიჩნიონ, მაგრამ სინამდვილეში, ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ფართოდ დანერგილი პრაქტიკა იყო.

საფრანგეთში, მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ ამგვარ პოლიტიკას დირიქტიმს (Dirigisme) უწოდებდნენ და იგი გულისხმობდა, როგორც გარკვეულ სფეროებში ნარმოების წახალისებას, ასევე, თავად სახელმწიფოს მიერ გარკვეული სანარმოების მფლობელობას (საფრანგეთის ისტორიაში აღმავლობის პერიოდის, რომელიც დირიქტიმის პოლიტიკის პირობებში მიმდინარეობდა „დიდებულ ოცდაათწლეულს“ /Les Trente Glorieuses/ უწოდებენ). ამავე ტიპის პოლიტიკას დღეს უწოდებენ „ბეივინგის კონსენსუს“, რომელიც, გარდა ავტორიტარიზმული მმართველობის მხარდაჭერისა, თითქმის ყველა ასპექტით ეთანხმება ფრანგულ დირიქტიმს. ცნობილი „აზიური ვეფხვები“ (აღმოსავლეთ აზიის ოთხი ქვეყანა, რომელმაც მეორე საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფად განვითარდა: ჰონგ-კონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური) განვითარების საწყის ეტაპზე (და ზოგიერთ მათგანი, დღემდე) მეტ-ნაკლებად ერთნაირად იყენებდნენ სახელმწიფო და-

კონკრეტული მიზნებისთვის გაცილებით მეტი რესურსის ეფექტურად მობილიზაცია შეუძლია.

ჩვენს შემთხვევაში ნათლად გამოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“, მიუხედავად დადებითი ნაპიჯებისა, ჯერ კიდევ ნეოლიტერალურ (მემარვეენ) პარადიგმას იზიარებს იმით, რომ უშუალოდ სახელმწიფო კი არ ერევა ეკონომიკაში მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, არამედ ხშირ შემთხვევაში ისევ ბაზარს ანდობს რესურსების ეფექტურად და სამართლიანად განანილებას. მართალია, სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ეკონომიკური ინტერვენციონიზმისენ (ჩარევისკენ) სოფლის მეურნეობაში, სადაც მასშტაბური იაფი საკურდიტო პროგრამის და ახალი მიწების ათვისების პროგრამა განახორციელა, მაგრამ ამავე დროს, სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების გენერალური გეგმა.

ასეთი გენერალური გეგმა გულისხმობს არა მხოლოდ იაფი კრედიტების შეთავაზებას, არამედ მთლიანი ეკონომიკის ნარმართვას გარკვეული მიმართულებით – მათ შორის, სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ დარგებში სანარმოების დაფუძნებას. საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც საბჭოთა წარსულის კომპლექსი არსებობს, ამგვარი პოლიტიკა შეიძლება ნარსულის მაგნე გადმონაშთად მიიჩნიონ, მაგრამ სინამდვილეში, ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ფართოდ დანერგილი პრაქტიკა იყო.

საფრანგეთში, მეორე მსოფლიოს მის შემდგომ ამგვარ პოლიტიკას დირიქტიმს (Dirigisme) უწოდებდნენ და იგი გულისხმობდა, როგორც გარკვეულ სფეროებში ნარმოების წახალისებას, ასევე, თავად სახელმწიფოს მიერ გარკვეული სანარმოების მფლობელობას (საფრანგეთის ისტორიაში აღმავლობის პერიოდის, რომელიც დირიქტიმის პოლიტიკის პირობებში მიმდინარეობდა „დიდებულ ოცდაათწლეულს“ /Les Trente Glorieuses/ უწოდებენ). ამავე ტიპის პოლიტიკას დღეს უწოდებენ „ბეივინგის კონსენსუს“, რომელიც, გარდა ავტორიტარიზმული მმართველობის მხარდაჭერისა, თითქმის ყველა ასპექტით ეთანხმება ფრანგულ დირიქტიმს. ცნობილი „აზიური ვეფხვები“ (აღმოსავლეთ აზიის ოთხი ქვეყანა, რომელმაც მეორე საუკუნის მეორე ნახევარში სწრაფად განვითარდა: ჰონგ-კონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური) განვითარების საწყის ეტაპზე (და ზოგიერთ მათგანი, დღემდე) მეტ-ნაკლებად ერთნაირად იყენებდნენ სახელმწიფო და-

გეგმვას და თავიანთ ეკონომიკას გარკვეული მიმართულებით ნარმართავდნენ; აღარაფერს ვამბობ ნორვეგის, შევდეთისა და დანიის სოციალ-დემოკრატიულ გამოცდილებაზე.

დირიქტიმისა და ინტერვენციონისტული სახელმწიფო პოლიტიკის უკან იდგა მოსაზრება, რომ თავისუფალი ბაზარი ვერ შეძლებდა რესურსების ეფექტურად განანილებას, ინფორმაციის და ტექნიკური თუ ადამიანური პერსონალის ნაკლებობის გამო. სახელმწიფო ბიუროკრატიის სათავეში იდგა ყველაზე საუკეთესო და განათლებული ტექნიკური პერსონალი, რომლებიც წყვეტდნენ, თუ რა მიმართულებით უნდა წასულიყო ეკონომიკა და რა უნდა გაკეთებულიყო კონკრეტულ დარგებში.

დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სისუსტე ის გახლავთ, რომ ის პოლიმდე არ არის დარწმუნებული იმაში, რასაც აკეთებს. ერთი მხრივ, გავლენიანი ბიზნესლობი და, მეორე მხრივ, ნეოლიტერალური პარადიგმების გავლენა საჯარო პოლიტიკის დისურსზე ახალ ხელისუფლებას ხელს უშლის, რომ ჯეროვნად გაიაზროს ის, თუ რამდენად მნიშვნელოვნია სახელმწიფოს აქტიური და სასწრაფო ჩარევება.

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი ხელისუფლება სათანადოდ ვერ იაზრებს მაღალ-პროფესიონალური ბიუროკრატიის როლს და პოლიტიკის დაგეგმვის დროს ხელმძღვანელობს არა არსებული სიტუაციის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ანალიზით, არამედ ინტუიციით. კვალიფიკაციის პრობლემა პირდაპირ კავშირშია ასევე საქართველოში სოციალური და ტექნიკური მეცნიერების განვითარების დონესთან. რამდენიმე გამონაჯლისის გარდა, თითქმის არც ერთ სფეროში სახელმწიფო არამედ კავშირში ველებებს და არ ცდილობს სიტუაციის მეცნიერულ ანალიზს, არამედ ჯერდება იმას, რასაც იღებს ზეპირი გადმოცემით.

იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებაზე“ იმუშაოს ისე, რომ ეფექტურად და სამართლიანად ანარმონოს და განანილობის რესურსები, საჭიროა, რომ მან მიბაძოს არა ნეოლიტერალური და მემარვეენე განვითარების მოდელს, არამედ აიღოს მეორე მსოფლიოპის მომდგომი და განსაკუთრებულ გულის დარგებში და განვითარების მაგალითი, ისნავილოს ბოლო ნლების ყველაზე ნარმატებული „ბეივინგის კონსენსუს“ და დაინტერი ნაპიჯების გადადგმა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ■

საქონლი
გიგანტები



CELEBRATING
130 years
CONGRATULATIONS
— Years —
ANNIVERSARY

"სახელმწიფო ინსტიტუტის ახ ცნეა შეცნიხოს კფერ მაღალი - პიროვნების ინსტიტუტი"

ინტერვიუ ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილთან

საბჭოთა მემკვიდრეობა, საზოგადოების ჩაკეტილობის საკითხები, ტრადიციის საკრალური და სოციალური მნიშვნელობა, გამუდმებით ავტორიტეტების ძიების ფენომენი, უცხოსგან და განსხვავებულისგან მტრის ხატის შექმნა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და პიროვნული ინტერესი. ამ საკითხებზე „ლიბერალი“ ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილს ესაუბრა.

როგორია საბჭოთა სისტემაგამო-
ლოლი ადამიანი დღეს ჩვენს ქვეყანაში
და რა არის ის მემკვიდრეობა, რაც ტო-
ტალიტარული სისტემიდან გამოგვყვა?

თავისუფალი აზროვნების სივრ-
ცე საბჭოთა კავშირშიც იყო. და-
მოუკიდებელი აზროვნების სწავლა
შესაძლებელია, როდესაც ბედავ და
ყველაფერზე შენივე აზრს აყალიბებ,
ბედავ და კონიუნქტურულ აზრს
შენს საკუთარ აზრს უპირისპირებ,
ხარ თავისუფალი, გაქეს ნება, რომ
გქონდეს საკუთარი ნება, ანუ „ნება
ძალაუფლებისკენ“, რომ შენ ნამდვი-
ლად თავისუფალი, საკუთარი თავის
უფალი იყო... და არ არის ცალსახა,
რომ საბჭოთა სისტემაში მცხოვრები
ადამიანი ამ ყველაფერს მოკლებული
იყო: დამოუკიდებლად მოაზროვნები
საბჭოთა კავშირშიც იყვნენ, თუმცა

თავისუფალი აზრის გამოსახატად
სოციოპოლიტიკური ასპარეზი არ
ჰქონდათ.

თუმცა, მიუხედავად პიროვნული
გამონათებებისა, ზოგადად არსებო-
ბდა იდეოლოგის მძლავრი წნები,
თავისუფლების დიაპაზონი კლიმატი
იყო მოქცეული და წარმატების მისა-
ღწევად აუცილებელი იყო ამ კლი-
მატებელი დაცვა. განათლების სისტემაში:
სკოლაში, უნივერსიტეტში, ბავშვებს
ეუბნებოდნენ, რომ ნიშანს დაგინერ-
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „ასე“
დაწერ. აუცილებელი იყო გამოცნობა,
რა სიამოვნებდა სისტემას, რა სიამო-
ვნებდა მასწავლებელს და ამ „სიამოვ-
ნებების“ შესაბამისი ქცევა.


ვფიქრობ, განათლების სისტემა
რადიკალურად შეცვლილი დღესაც
არ არის, კრიტიკული და დამოუ-

კიდებელი აზროვნება ჩვეულებრივ
სკოლებში არ მგონია განვითარებული
იყოს, განსაკუთრებით შეუძლებელი
ხდება ეს, როდესაც კლასში ბევრი
მოსწავლეა.

აღარ არის კომუნისტური პარტია,
კი ბატონო, გვაქეს სიტყვის თავისუ-
ფლება, მაგრამ ნარსულის კლიმატი
შესაძლოა ჩვენს დროშიც გაბატონდ-
ნენ და შენარჩუნდეს ინერცია, რომ
არსებობს რაღაც საყოველთაოდ
მიღებული და ეს CD-სავით ვატრია-
ლოთ, თანაც ისე, რომ არც და-
ვუკირდეთ რა არის.

ჩაკეტილი საზოგადოება და მისი
დარაჯები...

საკუთარ ხედვაში ჩაკეტვა
კომფორტულია. თუკი მიიჩნიე, რომ
შენი ხედვა უპრობლემოა, მაშინ



© 2014 საქართველოს კარლავიზმის
მუზეუმი გიგანტების



კომფორტულ ცხოვრებას იყალიბებ, ხელს აწერ რაღაც სიცხადეს, გარევეულ სტრუქტურაში ჯდები. სინამდვილეში კი ცხოვრება ძალიან როთულია და შენი მოგონილი სტრუქტურები ხშირად ადეკვატურად არ ასახავს ამ სირთულეს; ამიტომ, როცა რაღაც განსხვავებულს ხედავ, ის შენთვის აპროინტი, აპროინტი მიუღებელი ხდება, რადგან ვერ ბედავ შენში აგებული სტრუქტურის დანგრევას, ხედვის ძველი კუთხის შეცვლას. ეს ქმედება პრობლემატური იქნება, რადგან, თუკი შენი ხედვის ერთი ელემენტი შეარყიყ, შეიძლება სხვა ელემენტიც შეირყეს და შემდეგ ყველაფრის ძირფესვიანად შეცვლა მოგინიოს. ამის გაბედვა ძალიან ძნელია; უფრო მარტივი „გამოსავალი“ - აგრესიაზე გადასვლა, სწორედ იმის ხაზგასმაა, რომ შენ ჭეშმარიტების ციტადელში ხარ.

რატომ ალიქმება ტრადიცია საკრალურ და არა სოციალურ ფენომენად?
 მიტირს პასუხის გაცემა. თუ დასავლეთში იდენტობები უფრო მეტად ინდივიდის პირადი ძალისხმევის, გემოვნების ა.შ. შედეგად ყალიბდება და არა საზოგადოების გარე იმპერატივით, ასეთ დროს ალბათ იკარგება ერთანი სტანდარტის, კრიტერიუმის, ჭეშმარიტის განცდა, და ეს დანაკარგი შემაძრნუნებელია მისთვის, ვისაც ვერ წარმოუდგენია ცხოვრება მისი სიღრმისეული საზრისის, დანიშნულების განცდის გარეშე. თუ ეს განცდა ადამიანს ტრადიციისგან ეძლევა, შეიძლება იგრ კრიტიკის გარეშე დაუპირისპირდეს ყველაფერს, რაც მას ენინაალდეგება, ტრადიცია ასეთ დროს საკრალურ სტატუსს იძენს. დასავლეთში ჭეშმარიტების კრიტერიუმის, ერთიანი სტანდარტის გაცემთა და ზოგჯერ სრული გაუქმებაში შესაძლოა ეგზისტენციალურმა ფილოსოფიამაც მოიტანა, რომელმაც ადამიანში ბუნება გააუქმა და მხოლოდ თავისუფლება და არსებობა დატოვა. შეიძლება ეს დაუდგენელი ეგზისტენციალური სივრცის შიშის რეაქციაა, რომ თუკი მხოლოდ თა-

ვისუფლება და არსებობა ვარ, მაშინ როგორ უნდა მოვიქცე, სად უნდა ნავიღო ეს თავისუფლება? ამიტომაც უფრთხი ასეთ სიტუაციაში აღმოჩენას, იმეორებ შენთვის მნიშვნელოვან ტრადიციულ ნორმას, რომელიც ნინაპრებმა დაგიტოვეს, მათ, ვინც ასე ცხოვრობდა, უყვარდი და ეს ნორმა გადმოგცეს. ამიტომაც ამბობ, რომ მოდი ამას უკრიტიკოლ მიუიღებ და დავიცავ როგორც ნმინდასა და საკალურს.

ეს არ არის ტრადიციისადმი მთლად

■ „მობი დიკში“ ჰერმან მელვილი მკვდარი ვეშაპების იდეაზე წერს - ყველა მოკლული ვეშაპი გემზე ვერ ააქვთ. ოკეანეში მცურავი დახოცილი ვეშაპები შორიდან კუნძულებივთ ჩანან, რის შედეგადაც ისინი რუკაზე დააქვთ და სხვა გემები ამ „კუნძულებს“ არ ეკარებიან. ტრადიციაში ბევრი ასეთი, კუნძულობის დამჩერებელი მკვდარი ვეშაპია. რომელია მკვდარი და რომელი ცოცხალი ეს ადამიანის პიროვნულმა ძალისხმევამ, აზროვნებამ უნდა დაადგინოს.

■ „მობი დიკში“ ჰერმან მელვილი მკვდარი ვეშაპების იდეაზე წერს - ყველა

მოკლული ვეშაპი გემზე ვერ ააქვთ. ოკეანეში მცურავი დახოცილი ვეშაპები შორიდან კუნძულებივთ ჩანან, რის შედეგადაც ისინი რუკაზე დააქვთ და სხვა გადასავალი გემები ამ „კუნძულებს“ არ ეკარებიან. ტრადიციაში ბევრი ასეთი, კუნძულობის დამჩერებელი მკვდარი ვეშაპია. რომელია მკვდარი და რომელი ცოცხალი ეს ადამიანის პიროვნულმა ძალისხმევამ, აზროვნებამ უნდა დაადგინოს.

ჯანსაღი მიდგომა. ერთი უკიდურესობაა უკრიტიკოლ ტრადიციონალიზმი, მეორე უკიდურესობაა კი სრული ნიჰილიზმია, ანუ, რაც ტრადიციაში არსებობს, ყველაფერი ასაფეთქებელია და ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ. ესეც შეცდომაა.

ამ ორ უკიდურესობას შორის არის კიდევ ერთი გზა - ტრადიცია კრიტიკულ შუქზე, ტრადიცია განიხილო ლოგოსის შუქზე, გამოხვიდე

ამ კულტურული მოცემულობიდან და დროებით მაინც გარედან შეხედო მას. შეხედო, რა არის ამ კულტურულ მოცემულობაში ჭეშმარიტი, რა დრო-მოქმული, რა არასწორი.

„მობი დიკში“ ჰერმან მელვილი მკვდარი ვეშაპების იდეაზე წერს - ყველა მოკლული ვეშაპი გემზე ვერ ააქვთ. ოკეანეში მცურავი დახოცილი ვეშაპები შორიდან კუნძულებივთ ჩანან, რის შედეგადაც ისინი რუკაზე დააქვთ და სხვა გემები ამ „კუნძულებს“ არ ეკარებიან. ტრადიციაში ბევრი ასეთი, კუნძულობის დამჩერებელი მკვდარი ვეშაპია. რომელია მკვდარი და რომელი ცოცხალი ეს ადამიანის პიროვნულმა ძალისხმევამ, აზროვნებამ უნდა დაადგინოს.

საზოგადოება, რომელმაც საკუთარ თავზე უკვე არაერთხელ გამოსცადა ავტორიტეტებისადმი ბრმად მინდობის ავკარგიანობა, რატომ ეძებს კვლავ გამოკვეთილ დასაყრდენს საერთო და სასულიერო ხელისუფლებაში?

ავტორიტეტზე მინდობა და შენი აზროვნების სხვაზე გადაბარება კომფორტულია - „ის“ მეტყვიცი, „ის“ განმისაზღვრავს, „მასზეა“ პასუხისმგებლობა... ეს შეუსასუკუნებრივი მიდგომაა და მაშინ ეს გასაგები იყო, რადგან იმ ეპოქაში ცოდნის გასაღები ასეთის განცდის გარეშე და რომელი ცოცხალი ეს ადამიანის პიროვნულმა ძალისხმევამ, აზროვნებამ უნდა დაადგინოს.

საყოველთაო განათლების პირობებში, შენ უკვე საკუთრი აზრის ჩამოყალიბება გევალება, თუმცა ისევ შეიძლება მიენდო ავტორიტეტს - „მან თქვა“, ესე იგი, ასეა. პრობლემა პირადი თავისუფლების სივრცის ნაკლებობაა. პირადი თავისუფლება ყოველთვის აქვს ადამიანს, თუმცა მის განვითარებას სასრული არ აქვს და რამდენსაც გამოსტაცება ამ უსასრულო თავისუფლებას, იმდენი გექნება. ჩვენთან განმანათლებლობა ნაბიჯ-ნაბიჯაა განსავითარებელი, თორებ მუდა იქნება ავტორიტეტის კულტი. ქრისტიანობა საკუთარ ბის კრიტიკული კულტით განხილვა-საც გულისხმობს. იესო მოწაფეებს

თავში ცოდნას არ უტენის, არამედ ეუბნება რაღაც ენიგმატურ ფრაზას, იგავს, რომ მათ თვითონ ამოხსნან ის და ამ პროცესში მათი საკუთრება გახდეს ის ჭეშმარიტება, რომლამ-დეც თავად უნდა მივიდნენ.

თავისუფალი აზროვნება არ უპირისპირდება ავტორიტეტების ჯან-საღ აღიარებას – არა ბრძა, არამედ ჯანსაღ, გონების კრიტიკულ შექმნება გატარებულ აღიარებას.

უცხოსგან, განსხვავებულისგან, არა-ქართულისგან მტრის ხატის შექმნა...

ყველაზე კრიტიკულად გასააზრებელია ის, თუ ტრადიციის მიხედვით კონკრეტულად ვინ ხარ. როგორ შეიძლება ამბობდე, რომ ტრადი-ციული ქართველი ხარ და ევროპა ემუქრება შენს იდენტობას?! მაშინ გეითხავ – იყო თუ არა ქართველი ილია ჭავჭავაძე და რატომ იყო ასე გახსნილი ევროპის მიმართ? ილია ჭავჭავაძემ რადიკალურად შეცვალა უამრავი რამ. მან აქცენტი განურჩევად ადამიანის სინდისზე, მის პიროვნულ ხელშეუხებლობაზე, ნე-ბისმერი პიროვნების დაფასებაზე, ქალის გათავისუფლებაზე, შრომის გათავისუფლებაზე გააკეთა. ილია ევროპული მოაზროვნე იყო და ტრადიციაში ჩაჟერტვის, მისი უკრიტიკულ გაგრძელების შემთხვევაში დღეს შესაძლოა საქართველოც აღარც ყოფილიყო.

თუ ილიამ და თერგდალებულებმა საქართველოს საძირკველი ჩაუყარეს და ჩვენ მათი ლიბერალური, ევროპული პროექტის შვილები ვართ, როგორ შეიძლება თქვა, რომ მე ტრადიციულად ქართველი ვარ და ევროპას არ ვიდებ?! აღნიშნული ფასეულობები შესისხლხორცებულია ევროპულ ფასეულობებთან. ქრისტიანობა წარმოუდგენელია განმანათლებლობის გარეშე; განმანათლებლობა დროებითი კულტურული ფენომენი კი არა, ზოგადყაცობრივული, შეუქცევადი სულიერი ფენომენია. ამ დროს ადამიანი დამოკიდებულად ინცესტს აზროვნებას და ბედავს, რომ ტრადიციის შუამა-ლების გარეშე ავთენტურად დაა-

მყაროს ურთიერთობა რთულ, მარად ცვალებად რეალობასთან.

ანუ თუკი ერთხელ ჩავყლაპეტ თავისუფლების ჰაერი, ეს უკვე გვავალდებულებს აღარასდროს დაეუბრუნდეთ მანამდელ რეალობას. ვფიქრობ

■ ორი წლის ნინ, 17

მაისის დემონსტრაციაზე, კონტრაქციის მონაწილეთაგან ერთ-ერთი პირი საკმაოდ აგრესიულად მიმართავდა მისგან „განსხვავებულებს“ და უხსნიდა – მე შენ მიყვარხარ და ამიტომაც ვარ შენ მიმართ აგრესიულიო. ეს ტერმინოლოგიური კონტრადიქციაა - არ შეიძლება გიყვარდეს და იყო აგრესიული, ანუ ჯერ მართლა უნდა შეიყვარო და როდესაც მართლა შეიყვარებ, შემდეგ გაცილებით ფაქიზი და ბრძნული მიღგომა გჭირდება, მისი პიროვნების, მისი პრობლემის გასაგებად და რეალურად შენიანდ ჩასათვლელად. მაშინაც კი, როცა ის არასწორ გზას ადგას, მაინც უნდა ისწავლო მისი ნამდვილი და არა ფარისევლური სიყვარული, ანუ ადამიანი უნდა გიყვარდეს მისი შეცდომებითაც, ავთენტური ქრისტიანობა ხომ ეს არის?!

ეს, ანუ შეუქცევადი ცვლილებების კულტურა, სწორედ ქრისტიანულ სამყაროში შეიძლებოდა გაჩენილიყო, რადგან ქრისტიანობა ახლის ძიების რელიგიაა. თუკი შენ გაჩერდი და

მიღწეულით კმაყოფილი ხარ, მაშინ ქრისტიანი ვერ იქნები. გამუდმებით უნდა ეძიებდე, ვითარდებოდე და ამას დასასრული არ უნდა ჰქონდეს.

როგორ შეიძლება თქვა, რომ ტრადიციული ქართველი ვარ, არ ვეძებ ახალს, არ ვეძებ უკეთეს ფორმებს?! ეთიკაში მაინც ხომ თვალსაჩინოდ ჩანს ევროპის უპირატესობა – როგორ იქცევინ ქუჩაში მანქანის მძღოლები, როგორ ექცევიან ადამიანები ერთმანეთს. ეს ხომ მაინც შეიძლება მათგან ისწავლო, რატომ არ უნდა შეითვისო?!

საკმაოდ ხშირად, საპროტესტო აქციებსა თუ მსვლელობებზე, სატელევიზიო ეთერითა, თუ საჯაროდ სიტყვით გამოსვლისას, საზოგადოების გარკვეული ჯგუფების, პოლიტიკოსებისა და რიგი სასულიერო პირებისაგან ისმის ფრაზა – „რატომ არავინ ითვალისწინებს უმრავლესობის აზრს?“ რა არის ფენომენი, რომლის მიხედვითაც „უმრავლესობა“ ამბობს, რომ მათ ავინროებენ, თანაც იმის ფონზე, როდესაც საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს სხირედ უმრავლესობა უზღუდავს მინიმუმ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას?

აქაც განათლების პრობლემაა. განათლებას, სიღრმისეულ გააზრებას მოაქვს ტოლერანტული დამოკიდებულებაც. შესაძლოა უმრავლესობას არ შეუსისხლხორცებია ის, რაც ევროპელისთვის ბუნებრივია, შეიძლება ჩვენ არ გაგვივლია ეს სტადიები ისე სრულყოფილად, როგორც ევროპას. ჩვენ ახლა გვიწევს ძალიან სწრაფ ტემპში სწავლა და ხანდახან ეს სწავლა უხარისხოა. შეიძლება ისაუბრო ადამიანის უფლებებზე, პიროვნული სივრცის ხელშეუხებლობაზე, იცოდე ეს ტერმინები და არ გქონდეს გააზრებული და განცდილი მათი შინაგანი საზრისი.

ის, რაც დასავლეთში შესისხლხორცებულია: ადამიანის პიროვნების დაფასება, მისი თავისუფალი არჩევნის პატივისცემა და ა.შ. ჩვენ ჯერ კიდევ სასწავლი გვაქვს. საჭიროა საზოგადოების ამ კუთხით განათლება, რათა

ინტერვიუ

მას განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ აგრესია ალარ პეტრიძეს და შეიქმნას ისეთი განმანათლებლობითი სივრცე, სადაც შენ მას (განსხვავებულს) სიძულვილით თავისთავად ვეღარ შეხედავ.

ორი წლის წინ, 17 მაისის დემონსტრაციაზე, კონტრაქციის მონაწილეთაგან ერთ-ერთი პირი საკმაოდ აგრესიულად მიმართავდა მისგან „განსხვავებულებს“ და უხსნიდა – მე შენ მიყვარხარ და ამიტომაც ვარ შენ მიმართ აგრესიულიო. ეს ტერმინოლოგიური კონტრადიქციაა – არ შეიძლება გიყვარდეს და იყო აგრესიული, ანუ ჯერ მართლა უნდა შეიყვარო და როდესაც მართლა შეიყვარებ, შემდევ გაცილებით ფაქტიზე და ბრძნული მიდგომა გჭირდება, მისი პიროვნების, მისი პრობლემის გასაგებად და რეალურად შენიანად ჩასათვლელად. მაშინაც კი, როცა ის არასწორ გზას ადგას, მაინც უნდა ისწავლო მისი ნამდვილი და არა ფარისევლური სიყვარული, ანუ ადამიანი უნდა გიყვარდეს მისი შეცდომებითაც, ავთენტური ქრისტიანობა ხომ ეს არის?!

ავთენტური ქრისტიანობა და განმანათლებლობა ერთმანეთს არ უპირისისპირდება. მიმართია, რომ, ერთი მხრივ, უნდა გაჩნდეს ზოგადი სოლიდარობის სივრცე, განვითარდეს თანაგრძნობის კულტურა და რეალურად გავისიგრძეგანთ, რომ შენგან განსხვავებული ადამიანიც შენი თანამოქალაქეა.

მეორე მხრივ, ადამიანს ვერ აუკრძალავ, რომ თუკი რაიმეს არასწორად მიიჩნევს, იმაზე არ თქვას, რომ არასწორია. პოლიტკორექტულობას გულწრფელობა არ უნდა შესწირო. პოლიტკორექტულობა ერთგვარ კერპად იქცა, რომელსაც უნდა მოვრგო. ეს კერპი არღვევს და სპობს გულწრფელობის სივრცეებს, რაც ასე აუცილებელია საზოგადოების სიჯანსალისთვის.

მაგალითად, შენ შეგიძლია გულწრფელად თქვა, რომ, დავუშვათ, ესა თუ ის სექსუალური ორიენტაცია ონტოლოგიურად, ფილოსოფიურად,

თუ რელიგიურად სწორად არ მი-გაჩნია, მაგრამ თუკი შენი რელიგია ქრისტიანობაა, შენ ამ ორიენტაციის ადამიანი უნდა გიყვარდეს, იმიტომ, რომ იმ ღმერთს, რომელზეც სახარებაში კითხულობ ყველა უპირობოდ და უსასრულოდ უყვარს! თუ გინდა, რომ ამ ღმერთის მსახური იყო, შენც ასე უნდა იქცეოდე. აგრესია და „ტაბურეტები“ კი სრულიად დაუშვებელია.

„სხვათა“ მიმართ აგრესიულად განწყობილ მორწმუნეთა ჯგუფები...

ევროპული განმანათლებლობის გარეშე ჩვენი მორწმუნეობაც არ იქნება

■ ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს გაფეტიშება.

სახელმწიფო ინტერესს

არ უნდა შეეწიროს უფრო

მაღალი – პიროვნების

ინტერესი. სახელმწიფო

ბოლოსდაბოლოს

დროებითი ფენომენია,

პიროვნება კი უსასრულო

განზომილებაა, უსასრულო

არ უნდა შეეწიროს სასრულს.

სახელმწიფო იმისთვის

არსებობს, რომ ადამიანმა

პიროვნული განვითარება

შეძლოს, ეს თუ დაირღვა

კატასტროფა იქნება.

ავთენტური. ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ ჯანსალი საზოგადოება უნდა აიგოს პატარა ღმერთის – სინდისის – პრინციპზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია. ეს პატარა ღმერთი არ არის მარტო ქრისტიანში, არამედ ყველაშია – მუსულმან, იუდეველ ქართველშიც, არაქართველშიც და ა.შ.

ჯანსალი საზოგადოება იგება შენს სინდისზე, როცა შენ გულწრფელად საუბრობ იმაზე, რაც გნამს, რომ სიმართლეა და არა იმაზე, რაც ობიექტურად სიმართლეა, რადგან შეიძლება ობიექტურ სიმართლეს არაგულწრფელად ამბობდე, ეს კი ანგრევს პიროვნებას.

განმანათლებლობამ მოიტანა ისიც, რომ არა მხოლოდ შენი აზრბის, ან რემენის შინაარსია მნიშვნელოვანი, არამედ ის, თუ რამდენად თავისუფლად, ძალდაუტანებლად, სერიოზული და პასუხისმგებლური მსჯელობით მიხვედი ამ შინაარსა-მდე. ანუ არამარტო „რა“ არამედ „როგორ“-ც. თუკი თავს ავთენტურ ქრისტიანულ ტრადიციაში მოიაზრებ, უნდა იცოდე, რომ არ შეიძლება სხვას აგრესიულად მოექცე და თავს რამე მოახვიო.

ჯერ კარგად უნდა მოუსმინო და გაუგო სხვას, ესა თუ ის მოვლენა მის თავისუფლებაში დაინახო, ანუ მომენტალურად კი არ უნდა მოაგო შენი კატეგორია, არამედ გაიგო, თუ რა არის ის მის საკუთარ კატეგორიაში, მის თავისუფლებაში. ამის საილუსტრაციოდ ვწახოთ, მაგალითად როგორ დაგვიხატა რუსთაველმა თავისი ერთი ძალიან საინტერესო და როული გმირი – ფატმანი:

შესაძლოა ფატმანი არ მოგწონდეს – მეუღლესთან ერთად იქვე ორი საყვარელიც ჰყავს, მაგრამ რუსთაველი ფატმანის გრძნობებს მისავე თავისუფლებაში ხედავს და გადმოსცემს. ის არ გმობს, არ მორალიზატორის, უბრალოდ გაჩვენებს ვინ არის ფატმანი, ავთანდილისადმი მის ასე გულშიჩამზღვომ და მფეთქავ სასიყვარულო წერილს თავიდან ბოლომდე გვაკითხებს. შეიძლება არ გაამართოთ ეს საქციელი, მაგრამ გაუგო და უთანაგრძნო მის ჩამდენს. ანუ სხვა ადამიანი მის თავისუფლებაში უნდა დაინახო. ნუ იტყვი, რომ თუკი ის შენ არ გვავს, ესე იგი ჩამოსაწერია. ჯერ იმ ასპექტებს დააკვირდო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საინტერესო, რაც ერთნაირი გაქვთ, რატომ იწყებ მაინცდამაინც იმ წერტილიდან, რაც

მისგან გამოგრიცხავს ან მას გამორიცხავს შენგან?!

მე მართალი ვარ, კარგი ვარ, ჩემშია ჭეშმარიტება, გარეთ არაფერი მაქს საძებნი – ეს კომფორტული, მარტივი, უინტერესო, მოსაწყენი სამყაროა. ქრისტიანობის თვალსაზრისით აღბათ ეს არაზუსტიცაა, რადგან ქრისტიანობა, როგორც ვთქვი, დაუსრულებელი ძიების და პოვნის რელიგიაა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის აზროვნების პრობლემა და მოქალაქის პიროვნული ინტერესი...

ეს ხშირად უთქვამთ და მასში არის აზრი. საუკუნეების მანძილზე საქართველოში არსებობს სახელმწიფო წესრიგის დამამყარებელი რაღაც ჰეტეროგენული ძალა, ანუ ჩვენ თვითონ კი არ განვისაზღვრავთ, როგორი წესით უნდა ვიცხოვოთ, რა კანონები უნდა გვექნდეს, არამედ გარეშე ძალა. ეს გარეშე ძალა ხან სპარსეთი იყო, ხან რუსეთის იმპერია, ამიტომ, თუკი შენ კანონმორჩილი ხარ, ესე

იგი, მთლად „კარგი ტიპი“ არ გამოდიხარ, მტერთან კოლაბორაციონიზმით ილახები.

კანონმორჩილება კონფორმიზმთან იგივდება, ფირალი, აბრაგი კი კარგ ტერმინებად აღიქმება, ანუ ასეთი ადამიანი თავისუფალია, არ ეპუება გარედან თავსმოხვეულ კანონს. საბჭოთა კავშირის დროსაც ასე იყო: კრემლში შემუშავებული კანონები ჰეტერონომიურად აღიქმებოდა.

მეორე მომენტი იყო, რომ საბჭოთა კავშირის დროს თვითონ სახელმწიფოც კი ჰაიპარაზე უყურებდა თავისსავე წესებს, ბრეჟენევიც კი ლიად ამბობდა – ადრე ქარხანში რომ ვმუშაობდი, მეც დაბალი ხელფასი მქონდა, მაგრამ რა მოხდა, ქარხნიდან ყველა რაღაცას გამოვაყოლებდით ხოლმე ხელსო.

როდესაც კანონებთან ემოციური დამოკიდებულება არ გაქვს, ის ჰეტერონომიურია და არა ავტონომიური, შენი თავის მონესრიგებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ვიღაც გარედან გაწვდის და ის გარეშე ძალა

შენთვის უცხოა. ასეთ დროს კანონის პატივისცემა არ ხდება.

დღესაც გვახვევენ თავს ზოგიერთ კანონს, იმიტომ, რომ პირდაპირ გადმოწერილია ევროპული კანონმდებლობიდან და არ არის მისადაგებული ჩვენს რეალობას. კანონის მიღებისას ისიც უნდა უზრუნველყო, რომ ამ კანონმა კარგად იმუშაოს. ნელ-ნელა აღბათ ვსწავლობთ და აქეთკენ მივდივართ.

ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავა კიდევ ერთი მომენტი, რომ არ შეიძლება სახელმწიფოს გაფეტიშება. სახელმწიფო ინტერესს არ უნდა შეეწიროს უფრო მაღალი – პიროვნების ინტერესი. სახელმწიფო ბოლოს-დაბოლოს დროებითი ფენომენია, პიროვნება კი უსასრულო განზომილებაა, უსასრულო არ უნდა შეეწიროს სასრულს. სახელმწიფო იმის-თვის არსებობს, რომ ადამიანმა პიროვნული განვითარება შეძლოს, ეს თუ დაირღვა, კატასტროფა იქნება.

ესაუბრა: გიორგი ჭეშვილი

Radio Commersant

ბიზნესის კარსონალური რადიო



გაიგე, როგორ გახდე წარმატებული

“კანსალი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად”, – თქვენ უსმენთ ყოველდღიურ რჩევებს წარმატებული ადამიანებისგან, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დილა იმისთვის, რომ დღის ბოლოს ის წარმატებულად ჩაითვალოს.

გადაცემის ყოვლებდღიური სტუმრები ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან და საკუთარ რჩევებს რადიო კომერსანტის მსმენელს უზიარებენ.

ისინი იწყებენ საქმიანობას ადრე დილით, ადგენენ გეგმებს და ანანილებენ დროს პროდუქტიულად. მსმენელი იღებს პასუხს კითხვებზე, საქმიანობის პირველ საათთან დაკავშირებით.

ყოველ დილით, რადიო კომერსანტის ეთერით, გაიგეთ კანსალი ცხოვრების მარტივი წესი, როგორ დავეხმაროთ გონებას და სხეულს პეტიონად მუშაობისთვის.

„ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთან“


ყოველდღი 09:45 - 11:45 საათზე

FM 95.5 სიხშირეზე, - გადაცემა თქვენი წარმატებისთვის!

marketing@commersant.ge

+995 32 2505 955


Commersant.ge



ZEMO VAKE

...And Now Ladies and Gentlemen... ცნობილი მასში!

პატა ქურდაძე



პოლიტიკა

■ **საერთოდ საქართველოში გამოთქმას – „უწესიერესი კაცი“ ბევრ რამეზე შეუძლია მიგანიშნოთ – მაგალითად, როდესაც ნაციონალები წარადგენენ თავიანთ კანდიდატ ნიკა მელიას და როცა გიგი უგულავა თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ეს „სხვათა შორის უცოლო“ ახალგაზრდა ბატონი ქალაქის ბიუ-ჯეტს ბოლო კაპიკამდე თბილისელებს მოახმარს, ლოგიკური, ერთგვარი „ფრონიდისტული“ კითხვა გიჩნდება თავად ყოფილი მერის წესიერებასთან დაკავშირებით... გრძნობ, რომ აშკარად რაღაც ანუხებს... და პროკურორების პრეტენზიები გახსენდება. ასევე, როდესაც „ქართული ოცნება“ თავის კანდიდატ ნარმანიას აფასებს, როგორც განსაკუთრებულად წესიერ ადამიანს, რომელიც არასდროს არაფერს მოპარავს, ფიქრობ, რომ საერთოდ წესიერ ხალხი წარმოადგინება. ასევე, როდესაც „ქართული ოცნება“ თავის კანდიდატ ნარმანიას აფასებს, როგორც განსაკუთრებულად წესიერ ადამიანს, რომელიც არასდროს არაფერს მოპარავს, ფიქრობ, რომ საერთოდ წესიერ ხალხი წარმოადგინება ამდენს არ ლაპარაკობს და გული ისევ რაღაც უწესო ეჭვებით გევსება...**

2001 წელს პარიზის მერად ტუნისში დაბადებული და გაზრდილი სოციალისტი ბერტრან დელანოე დაინიშნა. ჩემი თბილისელი მეგობრები ძალიან შეწუხდნენ, პარიზს სოციალისტი მერი არ ეკადრება, თან „იმნაირო“ ჩურჩულით მისამიმრებდნენ. გასაკვირია, მაგრამ საქართველოში ათი წლის წინაც კი ადამიანები გაცილებით დელიკატურნი იყვნენ, ვიდრე დღეს არიან. ბერტრან დელანოე დეკლარილებული ჰომოსექსუალი გახლავთ. მე ნაკლები დელიკატურობით ვპასუხობდი, მოდი ყველამ თავის „პიდარასტ“ მერს მიხედოს-მეტე... იცინოდნენ. საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს, ზუსტად ხვდებოდნენ, რაც მქონდა მხედველობაში.

მას შემდეგ ცამეტი წელი გავიდა. თბილისმა რამდენიმე „სექსუალურად მხნე“ (ი.ჩ.) და პოლიტიკურად გაუკუდმართებული მერი გამოიცვალა. პარიზმა კი – მხოლოდ ერთი – ბერტრან დელანოე, ისიც სულ ახლახან ასევე სოციალისტმა ქალმა – ან იდალგომ ჩაანაცვლა. კვლავ უმცირესობის წარმომადგენელმა, მხოლოდ ამჯერად ეთნიკურის – იდალგო წარმოშობით ესპანელია.

პარიზში ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, ოღონდ ისე, რომ სახე არ დაუკარგავს. წლების შემდეგ კვლავ დაბრუნებული ტურისტი ვერც კი შეამჩნევს ცვლილებებს.

თბილისიც შეიცვალა. თან ძალიან. როგორც იტყვიან, ვეღარ იცნობ! ალაგ-ალაგ თითქოს გალამაზდა, განათდა, გასუფთავდა.. ალაგ-ალაგ კი დაუშნოვდა, 90-იან წლებში მისი ისედაც შელახული სახე კიდევ უფრო დეფორმირდა. ახალი სახე ჯერ ვერ შეიძინა. ყოველმა პოლიტიკურად „იმნაირო“ მერმა სათითაოდ მრავალი ქვა ესროლა ქალაქებს... და არც ერთმა არ ააცდინა. არც ერთი...

ისინი, პირველ რიგში, პოლიტიკოსები იყვნენ და მერე მერები. ქალაქი, ისევე როგორც ყველაფერი დანარჩენი პარტიის სამსახურში იდგა და შესაძლებლობისდაგვარად პარტიის პარალელურად ხან ვითარდებოდა, ხანაც დეგრადირდებოდა. ტყუპისცალივით იმეორებდა პარტიის სახეს.



დეპოლიტიზებულ მერს ალბათ არც ახლა უნდა ველივდოთ. ყოველ შემთხვევაში წინასარჩევო კამპანია, განსაკუთრებით პარტიული ტელერიტუალები ამ პერსპექტივას ნაკლებად იძლევა. ულევი ქართული ტოკ-

შოუები ერთმანეთის მონაცვლეობით იწვევენ პარტიებს მთელი შემადგენლობით და ერთსა და იმავე კითხვებს უსვამენ. ისინც ერთსა და იმავეს პასუხობენ. განსაკუთრებით ამაღლელებელია, როდესაც ინგა გრიგოლიას გადაჭიდილ სტუდიაში შოუს ბოლოს სათითაოდ იძახებენ ყოჩალ კანდიდატებს პარტიის ფავორიტი პატრიოტული სიმღერის პანგებისა და მქუჩარე ოვაციების ფონზე.

„რეაქციაში“ გამართული ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ბალმასკარადის დროს, რომელიც ბურჯანაძე-კოალიციას მიეძღვნა, შეკრებილმა ნიღბიანმა ჭრელმა საზოგადოებამ და მისმა მრავალშვილიანმა კანდიდატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პირობა დადეს, რომ ამ ქალაქში ერთსქესიანთა ქორწინება არასდროს არ შედგება და ამის იმედი სულ ტყუილად აქვთ „ნაციონალებსა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“... რომლებმაც, თავის მხრივ, მომდევნო გადაცემებში „ხატზე ფიცით“ იგივე პირობა დადეს... საერთოდ ამ არჩევნების ნოუჟაუ აშკარად ყველა მონაწილე კანდიდატის მიერ ერთსქესიანთა ქორწინების არდაშვების საზემო და საყოველთაო ფიცია, აუცილებლად საგანგებოდ გამოპრანჭულ-დავარცხნილი ოჯახის წევრებისა და ბავშვების თანდასწრებით!

ქალაქში ასეთი ეგზოტიკური ქორწინების მსურველები თითქოს არსად შეინიშნება, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ არჩევნების კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივი მაინც ერთსქესიანთა ქორწინება და ანტიდისკრიმინაციული კანონია. რაოდნენ პარადოქსულადაც არ უნდა უდერდეს ასპოლუტურად ტრადიციული ორიენტაციის თვითმართველობის არჩევნების ბედს, თავისდაუნებურად და მე ვიტყოდი თავისდასაუბედუროდ, მნიშვნელოვანწილად ქართველი ჰომოსექსუალები განსაზღვრავენ. საერთოდ ისინი რომ არა, არავინ იცის, რას მოიცირებდნენ პარიზისვის ქართველი მერობისა და საკრებულოებში მოხვედრის კანდიდატები. უნდა აღინიშნოს – ყველაზე სექსი არჩევნებია საქართველოს ისტორიაში! იმდენად, რომ კანდიდატების შეფასების მთავარი კრიტერიუმი – წესიერება, გარკვეულნილად, რაღაც ეროტიკულადაც კი უღერს.

საერთოდ საქართველოში გამოთქმას – „უწესიერესი კაცი“ ბევრ რამეზე შეუძლია მიგანიშნოთ – მაგალითად, როდესაც ნა-



■ არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, თოთქმის გადამწყვეტი შეფასების კრიტერიუმი... რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს იმ ადამიანის ღირსების, რომელიც დედაქალაქის მერობას აპირებს... ეს ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, არის კანდიდატთა ზოგადი კულტურა, რომელსაც საქართველოში არავინ არასოდეს სერიოზულად არ აღიქვამს და, მით უმეტეს, არ მოითხოვს პოლიტიკოსისგან. ჩვენი ეპოქის დიდი ქალაქის მერი არა მოურავი, არამედ ქალაქის დირიჟორი უნდა იყოს, რადგან 21 საუკუნის დედაქალაქი დიდი ორკესტრია და არა ბატონის მამული, რომელსაც მეურნე, გაქნილი მოურავი უვლის.

ციონალები წარადგენენ თავიანთ კანდიდატ ნიკა მელიას და როცა გიგი უგულავა თავ-გამოდებით ამტკიცებს, რომ ეს „სხვათა შორის უცოლო“ ახალგაზრდა ბატონი ქალაქის ბიუჯეტს ბოლო კაპიკამდე თბილისელებს მოახმარს, ღოგიერი, ერთგვარი „ფრონ-დისტული“ კითხვა გრინდება თავად ყოფილი მერის წესიერებასთან დაკავშირებით... გრძნობ, რომ აშკარად რაღაც აწუხებს... და პროექტორების პროექტზები გახსენდება. ასევე, როდესაც „ქართული ოცნება“ თავის კანდიდატ ნარმანიას აფასებს, როგორც განსაკუთრებულად წესიერ ადამიანს, რომელიც არასდროს არაფერს მოიპარავს, ფიქრობ, რომ საერთოდ წესიერი ხალხი წესიერებაზე ამდენს არ ლაპარაკობს და გული ისევ რაღაც უწესო ეჭვებით გევსება...

კანდიდატების შეფასების კიდევ ერთი მთავარი კრიტერიუმი მათი გულანთებული პატრიოტიზმი და, რა თქმა უნდა, მენეჯერისა და მეურვის დიდი ნიჭია. ამასთან, ყველა უტიფრად არის დარწმუნებული, რომ არჩევნებში აუცილებლად თვითონ გაიმარჯვებს და არავითარ შემთხვევაში ვინმე სხვა!... ეს ეტყობა პიარტექნიკოლოგებმა ასწავლეს, ამ მეტნილად უსაფუძვლო ოპტიმიზმს, სამსახურის შორის იმედით შეერგილი აღზნებული მხარდამჭერები, მგზნებარე ოვაციებს უმართავენ. საერთოდ კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების გამოსვლები ისე წააგეს ერთმანეთს, კაცი იფიქრებს, რომ ყველას ერთი პიარის სპეციალისტი ემსახურება და ერთსა და იმავეს ასწავლის.

სინამდვილეში ყველამ მშვენივრად იცის, ამ არჩევნებში ვინც გაიმარჯვებს. საქართველოში ერთადერთი არჩევნები, რომელიც სიუკრიზით დამთავრდა 2012 წლის არჩევნები იყო და მან ტენდენცია სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ შექმნა.

დავით ნარმანია უპირობო ფავორიტია. მხოლოდ მითი იმის შესახებ, რომ მას მხოლოდ იმიტომ ირჩევენ, რომ ის აპოლიტიკური და ძალიან მეურნე კაცია, თავად პრემიერმა ღარიბაშვილმა რამდენჯერმე დაამსხვრია.

სპორტის სასახლეში გამართული კოალიციის ყრილობაზე ახალგაზრდა პირველმა მინისტრმა მის მიერვე გამოძახებულ და სცენაზე ძუნძულით ასულ ქვეყნის 12 ყველაზე დიდი ქალაქის აერშინებულ მერობის კანდიდატს ხელი ჩამოართვა და ბექმუსიკოსებივით უკან გაამნკრივა, შემდეგ მან

რაღაც აღტკინებული კონფერანსის ხმით ნამდვილი მეგა როკეარსკვლავით გამოიხმო დავით ნარმანია სცენაზე და ისე მაგრად ჩაირა გულში, რამდენიმე წლის უნახავი დაბრუნებული „უძღები ღვიძლი ძმა“ გეგონებოდა! ცოტა ხნით ადრე კი მან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ეს მას შემდეგ, რაც აგონიაში მყოფამ თბილისის მერიის აპარატის ნარჩენებმა, საბაგირო გზების პროექტი დაბლოკა. ამ მრავალ ასეულმილიონიანი სისულელით თავზარდაცემულ თბილისელებს ბატონი პრემიერი შეპირდა, რომ მათ, ანუ ძველ მერიას, ორი თვე დარჩა, მერე კი ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც საჭიროა, როგორც ხვდებით მას ეჭვი არ ეპარება, რომ ნარმანია მართლაც ისეთ გადაწყვეტილებებს მიიღებს, როგორც საჭიროა..

მაგრამ როგორი გადაწყვეტილებებია საჭირო? ვინ წყვეტს რა არის საჭირო? საერთოდ როგორი მერი სჭირდება თბილის? ვის ირჩევს საქართველოს დედაქალაქი, მეურნეს თუ პოლიტიკოს? ფაქტია, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ერთ ქალაქში ცხოვრობს, იმ ქალაქის მერი მეურნეც უნდა იყოს და პოლიტიკოსიც, მაგრამ ეს პატარძლის წესიერებისა არ იყოს, თავისთავად მოცემულებად უნდა იგულისხმებოდეს და არა რაღაც განსაკუთრებულ თვისებად. ამ არჩევნების ძირითადი წითელი ხაზი, რომ ახალი მერი მეურნე უნდა იყოს და არა პოლიტიკოსი, მტკნარი ტყუილია და წესიერი ხალხი ამას არ უნდა ამბობდეს.

არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, თოთქმის გადამწყვეტი შეფასების კრიტერიუმი... რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს იმ ადამიანის ღირსების, რომელიც დედაქალაქის მერობას აპირებს... ეს ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, არის კანდიდატთა ზოგადი კულტურა, რომელსაც საქართველოში არავინ არასოდეს სერიოზულად არ აღიქვამს და, მით უმეტეს, არ მოითხოვს პოლიტიკოსისგან. ჩვენი ეპოქის დიდი ქალაქის მერი არა მოურავი, არამედ ქალაქის დირიჟორი უნდა იყოს, რადგან 21 საუკუნის დედაქალაქი დიდი ორკესტრია და არა ბატონის მამული, რომელსაც მეურნე, გაქნილი მოურავი უვლის.

ზოგადი კულტურა არის სწორედ ის ძალზედ მნიშვნელოვანი რამ, რაც ასე აკლდა თბილისის ყველა მერს და რაც მიზეზია




იმისა, რომ მათ, შესაძლოა გულწრფელად, მართლაც უკეთესის გაკეთების სურვილით, სახე დაუკარგეს დედაქალაქის იმ უძნებს, რომლებსაც ცვლილებები ყველაზე ნაჯებად ესაჭიროებოდათ. ყველაზე უშნო და უსახო უბნები კი, რომელიც ქალაქის უმეტეს ნაწილს შეადგენს – ხელუხლებული დატოვეს. ეს გულწრფელობა მათი ზოგადი კულტურის დეფიციტის ბრალია. რომელიც ასე აკლდათ ქალაქის მერებს, განსაკუთრებით თავგასული რომაელი კონსულივით თავდაჯერებულ ბატონ უგულავას. რადგან არც ერთ მის წინამორბედს არ ჰქონია ამხელა შანსი, რამე გაეკეთებინა თბილისისთვის, რამდენიც მას და მის გუნდს ჰქონდა. სწორედ მათი კულტურის დეფიციტის გამო აშენდა ქალაქის ცენტრში ადმინისტრაციული შენობა – იუსტიციის სახლი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ბატონს ასე სურდა. ამ ადმინისტრაციულ სამოთხეში შესაძლოა ცხოვრებაში სულ ორჯერ მოგინიოს მისვლა რაღაც საბუთის ასაღებად... სამაგიეროდ ბერი წლების განმავლობაში იქ, გაჩეხილ პარტი და კორტებზე ყოველდღე უამრავი ადამიანი დადიოდა.

ან თუნდაც 145 წლის წინ აშენებული მიხეილის საავადმყოფო – ქალაქის სამოქალაქო ცხოვრების იშვიათი მონაცემი – ჩვენს ქვეყანაში მედიცინის განვითარების ერთნახევარი საუკუნის განსხვისებული ისტორია... მათ ალბათ არ მიუქცევიათ ყურადღება, რომ ევროპაში კლინიკების კუთხით ისტორიული შენობები, ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ჩვენთან ეკლესიები, რომლებიც რატომღაც ქართველებს ჩვენი ისტორიის ერთადერთი დასტური გვგონია, რადგან სამოქალაქო კულტურის ისტორიის დამადასტურებელი თითქმის აღარაფერი დაგერჩა. სამშობიაროსაც კი ვერ უჩვენებთ თქვენს შეიღეთ, ან შეიღეთ ვერც პარკს, სადაც დედა გასეირნებდათ ეტლით, როცა პატარა იყავით; კინოთეატრს, სადაც თქვენი ყველაზე საყვარელი ფილმები ნახეთ... კარგად თუ ჩაყვებით თქვენი წარსულის ძაფს, აღმოჩენთ, რომ თქვენი ცხოვრება ალაგ-ალაგ გულმოდგინედ წამლილია... ვიღაც მუყაითი მოფუსფუს კაცუნები ამოშლილ ადგილებზე ასფალტს აგებენ, უშნო სახლებს, ბრიყვულ მონუმენტებს, ესტაკადებს აშენებენ... ისინი, თავის მხრივ, აშენებიდან ექვს თვეში რატომღაც ძველ უშნო და ჭუჭყიან ნაგე-

ბობებს ემსგავსებიან, რომლებიც თითქოს დღედღეზე უნდა დაანგრიონ... ალბათ ასეც მოხდება, მათ სწორედ მაშინ დაანგრევენ, წაშლიან, როდესაც ისინი ახალი თაობისთვის რაიმე სენტიმენტალურ ღირებულებად გადაიქცევიან და საკუთარ შვილებსაც ხახამშრალს დატოვებენ... ეს მომავალი მუყაითი და თავდადებული წესიერი მერები და უნესიერესი ერთგული საკურებულოები...

ჩემი აზრით, ყველაზე კონცეპტუალური, რაც თბილისში ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაკეთდა აეროპორტის გზაზე პრეზიდენტის ბუშისთვის, პლასტმასის ყვავილებით მორთული ორი საბჭოთა მახინჯი საცხოვრებელი კორპუსის ფასადი იყო. არც მანამდე და არც მერე ოცდამეტროე საუკუნის პირველი ათწლეულის ქართული დეკადანის ასეთი ძლიერი ვიზუალური მესიჯი არავის გაუკეთებია. ეს იყო ზუსტად ის პოტიომკინური კულტურა, რომელსაც ქალაქის მესვეურნი მთელი ამ წლების განმავლობაში ატარებდნენ. ამ სინთეტიკურად მარად აყვავილებული უშნო ფასადებისთვის ხელი არ უხლიათ. არავის მოსვლია აზრად, რომ ბუშის წასვლის შემდეგ იმავე ქოთნებში ნამდვილი ყვავილები დაერგო, რომელსაც დროდადრო მხოლოდ წყლის დასხმა სჭირდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ორ უზარმაზარ კორპუსში სულ ათი ოჯახი გაბედავდა ყვავილების მოვლას, სახლებს ბევრად უფრო კეთილი სახე მიეცემოდა... იმ ათ ოჯახს ერთი წლის მერე კიდევ რამდენიმე... და დღეს ეს ორი მახინჯი კორპუსი შესაძლოა ისეთივე ლამაზი ყოფილიყო, როგორც უამრავი უშნო და არაფრით გამორჩეული სახლი ევროპაში, რომლებსაც ადამიანები ფსიქოლოგებივით „აიძულებენ“ ოდნავ უფრო ლამაზები, მოხდენილები გახდნენ... და რომელსაც ისე შევნატრით, თითქოს რაიმე განსაკუთრებული სირთულე იყოს იგივეს გამეორებაში. მაგრამ ამას ბიძგი სჭირდება. ანუ ის, რაც ყველა ქართველ მერს კატასტროფულად აკლდა – კულტურა. სწორედ მისი დეფიციტია დღემდე იმის ვერგაცნობიერების მიზეზი, რომ მერი ქალაქის დირიქორია და არა აროგანტული მათრახიანი მოურავი... რომლის კომიკურ პერსონაჟებსაც ასე უნიჭოდ განასახიერებენ თბილისის მერიბის კანდიდატთა უმრავლესობა წინასარჩევნო „ტელესპექტაკლებში“.

■ როდესაც კულტურაზე და განსაკუთრებით სახელმწიფო ორგანიზაციის მოაზროვნე ადამიანის კულტურაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შინაგანი კულტურა პრინციპების პირდაპირობორცონიულია და არა წაკითხული წიგნების რაოდენობისა პრინციპები კი სწორედ ის არის, რაც ქართველ ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებს შორის ძალიან ცოტას გააწინია, დასაცავიც არაფერი აქვთ. ამიტომაც დაფრინავენ ასე ლალად ერთი პარტიიდან მეორეში, კოალიციიდან ფრაქციაში და ისევ უკან, მარჯვნივ, ან მარცხნივ... საბოლოოდ კი ისევ წინ, მარტორქა-სავით.



როდესაც კულტურაზე და განსაკუთრებით სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის კულტურაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ შინაგანი კულტურა პრინციპების პირდაპირპოპორციულია და არა წაკითხული წიგნების რაოდენობისა. პრინციპები კი სწორედ ის არის, რაც ქართველ ჩინოვნიკებსა და პოლიტიკოსებს შორის ძალიან ცოტას გააჩნია, დასაცავიც არაფერი აქვთ. ამიტომაც დაფინანსენ ასე ღალად ერთი პარტიიდან მეორეში, კოალიციიდან ფრაქციაში და ისევ უკან, მარჯვნივ, ან მარცხნივ... საბოლოოდ კი ისევ ნინ, მარტორქასავით.

გულახდილად რომ ვთქვათ, თბილისის ისტორია მტრისა თუ მოყვრის მიერ, პერმანენტული განადგურებისა და ვიღაც ახალი გაბლენილის ჭყაზე მისი თავიდან აშენების ისტორიაა.

ის არასდროს ყოფილა ფლორენცია, მაგრამ რაღაც ურბანული კულტურის ჩანასახები ყოველთვის ჩნდებოდა, თუმცა როგორც კი ცოტათი წამოიზრდებოდა, რადიკალურად იცვლებოდა, ინგრეოდა და თითქოს ყველაფერი ისევ ნულიდან იწყებოდა.

ბოლოს ყველაზე მკვეთრად გამოხატული და შესაძლოა ყველაზე მიმზიდველი ქალაქური კულტურა სამოციანი წლების ბოლოს, მუავანაძის ეპოქის „ახალი“ თბილისელების დიდი დამსახურებით, მოკვდა. დასავლეთში, სექსუალური და კულტურული რევოლუციის პარალელურად, თბილისში პირველი დიდი ბურჟუაზიულ-სნობური „რევოლუცია“, უფრო კი პროვინციასა და ქალაქს შორის განხეთქილება მოხდა. რომელმაც სამოცდაათიანებსა და განსაკუთრებით ოთხმოციინებში თავის აპოგეას მიაღწია. ბოლოს, 90-იანი წლების დასაწყისში კი სამოქალაქო დაპირისპირების, სიძულვილის სისხლიან ინგრედიენტად იქცა.

ნებისმიერი ურბანული კულტურა განუწყვეტელ განახლებად დინამიკაზეა დაფუძნებული. თბილისი, ისევ როგორც ყველა სხვა დედაქალაქი, თავის იმ ქალაქურ კულტურას, რომელსაც დღეს მივტორით, სწორედ პროვინციასა და ქალაქის კულტურულ პარმონიას უნდა უმადლოდეს და არა ადგილობრივ წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც გარდა კულტურული კონტექსტისა განსაკუთრებულს არასოდეს არსად არა-



ფოტო: სამება გურიაშვილი

ფერს ქმნის. თუმცა ეს უკანასკნელი ერთგვარ ნიადაგს წარმოადგენს, სადაც რაღაც ახალი უნდა დაითესოს და გაიზარდოს. რაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, საციფოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომაც ჰქვია მას დედაქალაქი. ის კულტურული კონტექსტი, დედის პლაცენტაა, რომელიც გარედან მოხვედრილ მარცვალს ფეტუსად აქცევს, ზრდის, ანაყოფიერებს, ბადებს ჭინთვებსა და ტკიფილებში მჩხავანა მშვენიერ თავად გამრავლების უნარიან ნაყოფს...

მსოფლიოს დიდი კულტურის ცენტრებში დღესაც ასეა. ადამიანები იბადებიან, იზრდებიან, სადღაც მიდიან, ბრუნდებიან, მერე ისევ მიდიან, მათ ადგილს სხვები იკავებენ, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე წელიწადში ისევ სადღაც მიდიან...

დიახ... XXI საუკუნეა! არავინ არავის აყვედრის არც წასვლას და არც ჩამოსვლას... აი, თბილისი კი ჯერ კიდევ მუავანაძის ეპოქის დროის ტელეგადაცემა „ოქროპირის“ გაშარებული სკეჩებით ცხოვრობს „შეგვჭამა სოფელმას“ თემაზე... თბილისელობა რაღაც უძრავი გაქვავებული სტატუსია, რომელსაც კაცმა არ იცის, რა შემადგენლობა

აქვს. მაგალითად, ჩემს თბილისელობაში ეჭვის შეტანა ძალიან ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ნახევარი ცხოვრება სხვა ქალაქში ვცხოვრობ. აი, ნარმანია კი, მართალია თბილისში არ დაბადებულა, მაგრამ იქ 18 წლის ასაკიდან ცხოვრობს, მაინც ზუგდიდელია და ასეთად დარჩება მთელი ცხოვრება... ეს მისი კანდიდატურის ყველაზე მთავარი კომპრომატია და რომც შეეცადო, ვერავინ აგიხსნის – რატომ. კაცმა არ იცის, რამდენი წლის ასაკში უნდა დასახლდე თბილისში რომ სრულფასოვანი თბილისელი გერქვას, ასევე არავინ იცის, არის თუ არა ლილოელი, ან თემქელი ისეთივე რანგის თბილისელი, როგორებიც არიან „ნაღდ ქალაქურ უბნებში“ გაზრდილები... ან ეს ნაღდი უბნებიც ვინ დაადგინა, რა კრიტერიუმით დგინდება მათი ნაღდობა... არავინ იცის... მოკლედ ძალიან რთული ქალაქია. გაცილებით ადვილია ამერიკული გრინ ქარდის მოპოვება, ვიდრე – თბილისელის სტატუსისა.

თუმცა ამ გროტესკული სტატუსის მოთხოვნაში არის რაღაც კულტურული ხავსის მაგვარი, რომელსაც წყალწალებული

■ დღევანდელ თბილის-ში ტურისტს ორ დღეზე მეტი ფაქტობრივად არაფერი ესაქმება, რადგან ეკლესიების, გოგირდის აბანოსა და მუზეუმში რამდენიმე ნახატის მეტი სანახავი ფაქტობრივად არაფერია. ჩვენ ვამბობთ რომ ვართ დიდი კულტურის ერი, მაგრამ რაში აისახება ეს, როდესაც ქალაქში სეირნობ? საყოფაცხოვრებო დონეზე საერთოდ კატასტროფაა. არსებობს ათობით პრობლემა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და რომელიც ბიუჯეტის უკმარისობის კი არა კულტურის დეფიციტის შედეგია, ავტომობილების მოძრაობიდან დაწყებული - ფანჯრებიდან გადმოგდებული ნავითა და მზესუ-მზირას ფურთხებით მოსეირნე ახალგაზრდებით დამთავრებული... ჩვენს ვითომდა მრავალეროვან ქალაქში მულტიკულტურული კულტურისა და მომღერლი საუკუნეების ნინი აგებული სინაგოგა და მეჩეთია.

თბილისელები ეკიდებიან და ვერც გაა-მტყუნებ. მათ უთხრეს, რომ კატეგორიულად გადაწყვეტილია, მიმდინარე არჩევნები - ქალაქის მერი უნდა იყოს კარგი მეურნე და არა პოლიტიკური ფიგურა. რა თქმა უნდა, ამის არავის სჯერა. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ნარმანია ზედმინე-ვნით გააკეთებს იმას, რასაც მას პარტია დაავალებს, პარტია კი იმას დაავალებს, რასაც „ზემოთ“ ჩათვლიან საჭიროდ და ეშინიათ, მათ შორის იმ ნარჩენების განადგურებისაც, რაც ამ ქალაქს ჯერ კიდევ შემორჩა. ნარმანიას კი არაფერი ეტყობა იმ კაცისა, რომელიც ამ ნარჩენებს გრძნობს. ამიტომ მის მთავარ კომპირომატად მარტივად იქცა მისი თბილისელობა. მერე კი, როდესაც გაახსენდათ, რომ თბილი-სი ამ დღეში სწორედ „კარენი“ მერებმა ჩააგდეს, კითხვის ნიშნის ქვეშ მისი მენეჯერული უნარი დადგა. ნარმანიას კულტურულობის ხარისხით არც ისინი დაინტერესებულან. არადა გონივრული იქნებოდა მისი ვერბალური, ან ქცევის კულტურის-თვის მაინც მიექციათ ყურადღება - შეამჩნევდნენ რომ მას არა თუ პრინციპები და იდეები, საკუთარი აროგანტულობაც კი არ გააჩნია და დროდადრო „უფროსობას“ ცდილობს დაემსგავსოს მოუქნელი, უხეში გამოთქმებით.

თბილისი, როგორც ჩანს, ვერ გადაურჩება ამ „ფუტურისტულ“ საბაგიროებს, ვერც სასტუმროს ვაკის პარკში, ან რაღაც შუა-აზოური სოცრეალიზმის ტიპის საოცრებას მრავალტანჯული პარლამენტის წინ, მხატვრის სახლის ადგილას... ვერც შიშის გამუდმებულ შეგრძნებას გადაურჩება, რომ ქალაქში, სადაც ერთი მუნიციპალური სა-ცურაო აუზიც აღარ არის, გაყიდულ ლაგუნა ვერეს ადგილზე რამე უფრო მომგებიანს არ ააშენებონ... რადგან, როგორც პოეტი ამბობს, აქ „ყველაფერი მოსულა“ განსაკუთრებით ქალაქის განაშენიანები. თბილი-სი, რომელიც ოდესალაც ამოტრიალებულ ჭრელ ქოლგას გავდა, მალე ბავშვის არეული ფერადი კუბების ყუთს დაემსგავსება და ამ კუბებს დაკაცებული მეურნე ბავშვი, გნებავთ მოურავი, ცხადია უფრო ადვილად და ეფექტურად დაალაგებს ისე, როგორც მიუთითებენ.

ყველაფერი დანარჩენი, მილიონი ხე, ეკო-ლოგია, რეგიონალური კულტურის ცენტრი, რომელსაც ნარმანიას ნაცვლად კამპანიაში

ჩართული ხელოვანები გვპირდებიან, ძალიან სევდისმომგვრელად და ინფანტილურად გა-მოიყურება, ძალიანაც რომ გინდოდეს თავი მოიტყუო, არაფრით გამოგივა. ამ ყველა-ფრის გაკეთებას კულტურის მნიშვნელობის გაზრდება სჭირდება, რაც ნარმანიას ისევე როგორც სხვა კანდიდატებს, არ გააჩნიათ, რომელიც მათ საარჩევნო კამპანიის დაწყებისას გაახსენდათ და არჩევნების დამთავრების მეორე დღესვე დაავინედებათ, რადგან მათ არ სჯერათ კულტურის. მათ ჯერ არ გაუაზრებიათ, რომ ისეთი ქალაქის შემოსაცალი როგორიც თბილისია, მხოლოდ მისი თვითმყოფადი კულტურა შეიძლება იყოს, რადგან სწორედ ეს იზიდავს ტურისტებს ქალაქში... თბილის კი ძალიან დიდი შანსი გააჩნია იყოს ტურისტული ქალაქი და თავისი თავი თვითონვე დააფინანსოს, დაასაქმოს უამრავი ადამიანი და არა მარტო რესტორნებსა და კაფეებში, როგორც დღეს ხდება.

დღევანდელ თბილისში ტურისტს ორ დღეზე მეტი ფაქტობრივად არაფერი ესაქმება, რადგან ეკლესიების, გოგირდის აბანოსა და მუზეუმში რამდენიმე ნახატის მეტი სანახავი ფაქტობრივად არაფერია. ჩვენ ვამბობთ რომ ვართ დიდი კულტურის ერი, მაგრამ რაში აისახება ეს, როდესაც ქალაქში სეირნობ? საყოფაცხოვრებო დონეზე საერთოდ კატასტროფაა. არსებობს ათობით პრობლემა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და რომელიც ბიუჯეტის უკმარისობის კი არა კულტურის დეფიციტის შედეგია, ავტომობილების მოძრაობიდან დაწყებული - ფანჯრებიდან გადმოგდებული ნავითა და მზესუ-მზირას ფურთხებით დამთავრებული... ჩვენს ვითომდა მრავალეროვან ქალაქში მულტიკულტურულობა კულტინარიის დონეზეც კი არ იგრძნობა და მისი დასტური მხოლოდ საუკუნეების წინ აგებული სინაგოგა და მეჩეთია.

გასული წლის მონაცემებით საფრანგეთში კულტურის სფეროს კონტრიბუცია მთლიანი შეიდა პროდუქციის მაჩვენებელში შევდგენ აღემატება საავტომობილო ინდუსტრიისას და 57,8 მილიარდ ევროს შეადგენს.

თუ გაგითვალისწინებთ, რომ საფრანგეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტომწარმოებელია, ადვილად მიხევდებით, რომ კულტურა ეკონომიკის ისეთივე მოტორია როგორც მრეწველობა, სოფლის



ფოტო: ლევან გეგარიძე

მეურნეობა, კომერცია... ისევ საფრანგეთის მაგალითს თუ მოვიტანთ, მისი დედაქალაქის ბიუჯეტი ძირითადად კულტურის წყალობით ივსება, სწორედ მისი თვითმყოფადი კულტურის გამო ჩადის იქ მილიონობით ტურისტი. ამიტომ მისი მერი პირველ რიგში ამ კულტურით ფასდება და მერე სანტექნიკა და ასფალტის დაგების ცოდნით. დარგობრივი სპეციალისტები დეპარტამენტების ხელმძღვანელებად მუშაობენ, ისევე როგორც ეს ხდება მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქის მერიებში.

ჩვენ მიგვაჩნია და ამ არჩევნების შემდეგაც მივიჩნევთ, რომ კულტურის მინისტრის პოსტი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ქალაქის კულტურულ სახეზე პასუხისმგებლობა მას გადავაძაროთ. სამწუხაროდ, ეს დიდი შეცდომა და ეს შეცდომა თბილისში ყოველ ნაბიჯზე აშკარად იგრძნობა, ისევე როგორც საქართველოს სხვა დიდ და პატარა ქალაქებში. ამიტომ განსაკუთრებით დასანაინა, რომ ამ წინასაარჩევნო ალიაქოთში, რომელიც გარკვეულწილად სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთგვარი ინტენსიური „ტრეინინგია“, კულტურა ჯერ

არავის გახსენებია და სავარაუდოდ არც გაახსენდება.

მეტიც... ჩემი აზრით, ამ საქმეს ახლა უკვე აღარაფერი ეშველება. თბილისს ნებისმიერი არჩევნის შემთხვევაში კვლავ არ ეყოლება ისეთი მერი, როგორიც მას სჭირდება – დამოუკიდებელი, საკუთარი დასაბუთებული და ლოგიკური კონცეფციების, პრინციპების მქონე, მათი დაცვის, რეალიზების უნარითა და გამბედაობით. მაგრამ საჭიროა ყოველდღიურად ვიზუნოთ იმისთვის, რომ 15 ივნისს არჩეულმა მერმა ნაკლები გააფუჭოს, ვიდრე მისმა წინამორბედმა, რომ საქართველოში ხუთი წლის შემდეგ მაინც გვქონდეს არაპროგნოზირებადი არჩევნების შანსი, რომ 2019 წელს მაინც არ იყოს პრემიერი ასე დარწმუნებული, რომ ყველა რეგიონში გაიმარჯვებს და „აბსოლუტური პრემიერი“ გახდება... ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია გარდამავლიდან გარდაუვალ სტადიაში გადავა... ამასობაში კი იქნებ ჩვენს ქალაქებს, მათ შორის თბილისს სტაბილური კულტურული სახის ჩამოყალიბებისა და მისი შენარჩუნების ახალი შანსიც გაუჩინდეს. ■



30 წელის შენიშვნი განვითარების "გასაღიგი"?

ფარული მიყურადება საქართველოში ახალი პრობლემა არ არის. პოლიტიკური ოპონენტები მიყურადებასა და თვალთვალში ჯერ კიდევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებდნენ. ეს დადასტურდა კიდეც, როცა შსს-ში ათიათასობით ფარული ჩანაწერი აღმოჩნდა. ახალმა ხელისუფლებამ კი პირობა დადო, რომ „საქართველოში ფარული მოსმენების დრო დასრულდა“. თუმცა რამდენიმე კვირის წინ „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამ მათი არსებობის შესახებ განაცხადა და მაყურებელს რამდენიმე მათგანის შემოკლებული ვერსიაც შესთავაზა.

ქეთევან ლვედაშვილი

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საზოგადოებაში ფარული ჩანაწერების აღმოჩნდისა და განადგურების მოლოდინი გაჩნდა. დიდი მსჯელობის შედეგად ფარული ჩანაწერების დიდი ნაწილი არა-სამთავრობოების, უურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების თანადასწრებით განადგურდა.

თუმცა პირადი ცხოვრების უსაფრთხოების ილუზია მალე დაიმსხვრა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, რომ ფარული ხარჯებით შესყიდული რამდენიმე მილიონის ტექნიკა სამინისტროდან გაიტანეს და შესაძლოა, ფარული მიყურადებები კვლავ გრძელდებოდეს.

რა მნიშვნელობა აქვს „ტექნიკა გატანილია“ და წინა ხელისუფლების ნარმობადგენტები გისმენენ, თუ ტექნიკა სამინისტროშია და შენ წინააღმდეგ კომპრომატებს ამჟამინდელი ხელისუფლება არგოვებს? შედეგი მრივე შემთხვევაში ერთია – შენი პირადი ცხოვრება დაუცველია და შესაძლოა ერთ დღეს შენი ცხოვრება და კარიერა თავდაყირა დადგეს.

ამას ერთი მიზეზი აქვს – სახელმწიფო პირადი ცხოვრების დაცვის რეალურ შექანიზმებს ვერ გვთავაზობს.

საქართველოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას საქართველოს კონსტიტუციის მეოცე მუხლი იცავს. რაც შეეხება უშუალოდ მიყურადების შესახებ კონკრეტულ საკანონმდებლო ნორმას, საქართველოში ფარული მიყურადების საფუძვლები „ოპერატორ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით რეგულირდება, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავ ორგანოებს, სხვა ლონისძიებებთან ერთად სატელეფონო მოსმენის უფლებაც აქვთ.

თუმცა ეს ნორმა რომ მხოლოდ ჩანაწერად რჩება და პრაქტიკაში მისი იმპლემენტაცია ნაკლებად ხდება. ამის არაერთი მაგალითი ვიხილეთ. გარდა ამისა, ეს კანონი არც დანაშაულის კატეგორიებს აკონკრეტებს და არც იმ პირების ვინაობას, ვისი მოსმენაც დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ იგი უკანონო მექა-

ბექმანი



გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ფარული მიყურადება და ვინ შეიძლება გახდეს მისი ობიექტი. ასევე განმარტებულია, რომ ფარული მიყურადება მხოლოდ მაშინაა წებადართული, როცა სხვა საშუალებების გამოყენება ძალიან როულია, ან ნაკლებია წარმატების შანსი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე არეგულირებს ტელეკომუნიკაციების მიყურადებისა და ჩანაწერის შესახებ ბრძანებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ბრძანების ხანგძლივობას:

„ბრძანება ძალაშია მაქსიმუმ სამი თვის განმავლობაში. მისი გაგრძელება თითო ჯერზე დასაშვებია არაუმტებეს სამი თვის ვადით. ეს იმ შემთხვევაში, თუ ბრძანებაში აღწერილი პირობები კვლავაც ძალაშია, გამოძიებისას მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით“.

სამართალი

საუკთხოსო
პროექტი



პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლითაცაა გარანტირებული. საქართველო მისი ხელმომწერი 1999 წელს გახდა.

ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მინიჭებული დაცვის შემდეგი მექანიზმები შეიმუშავა, რომელებიც კანონში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ეს მექანიზმებია:

1. სამართალდარღვევის ხასიათი, რომელიც შეიძლება მოსმენის შესახებ გაცემული გადაწყვეტილების საფუძველი გახდეს;
2. იმ კატეგორიის ადამიანების განსაზღვრა, რომელთა ტელეფონებიც შესაძლოა ისმინდოდეს;
3. ტელეფონის მოსმენის ხანგრძლივობის ლიმიტი;
4. მიღებული მონაცემების შემოწმების, გამოყენების და შენახვის პროცედურები;
5. სიფრთხილის ზომები, როცა ხდება მონაცემთა სხვა მხარეთათვის გადაცემა;
6. ის გარემოებები, რომლებშიც ჩანაწერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს.

ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული მიყურადების სამართლებრივი საფუძველები უნდა განსაზღვრავდნენ წესებს, რომლებიც ფარული მიყურადებისგან ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს შორის საუბრის დაცულობას უზრუნველყოფნ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ფარული მიყურადების რაიმე ზოგადი მაქსიმალური ხანგრძლივობა განსაზღვრული არ აქვს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფარული მიყურადება და ჩანერა მხოლოდ ბოლო ინსტანციის ღონისძიება უნდა იყოს და უნდა გამოიყენობოდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სხვა, კლასიური საშუალებები ამონტურულია ან ფარული მიყურადების გამოყენების გარეშე დანაშაულის გახსნის ალბათობა თითქმის არ არსებობს.

ნიზმი არ არის. შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს მისი ბოროტად გამოყენება შეუძლიათ.

კანონპროექტი, რომლის მიზანიც არსებულ კანონმდებლობაში ხარვეზული ნორმების გამოსწორება და შეცვლა იყო, პარლამენტში პირველი მოსმენით უკვე გავიდა. იგი ბევრი ისეთ რეგულაციას შეიცავს, რომელიც პროცედურებს უფრო გამჭვირვალესა და კონკრეტულს ხდის.

მაგრამ მთავარი საკითხი – თუ ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. გასაღები, ანუ

შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად, „გასაღები“ მობილურ ოპერატორებს უნდა გადასცემოდათ. ანუ მას შემდეგ, რაც სასამართლო სამართალდამცავ ორგანოებს ფარული მიყურადების/თვალთვალის ნებართვას მისცემდა, ისინი მობილურ ოპერატორებთან მივიღოდნენ და მოქალაქეთა საუბრებზე წვდომა მათ მეშვეობით ექნებოდათ.

როგორც კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი ლაშა ტულუში ამბობს, ეს ევროპაში აპრობირებული მეთოდია და საკმაოდ კარგად მუშაობს.

■ საქართველოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას კონსტიტუციის მეოცე მუხლი იცავს. რაც შეეხება უშუალოდ მიყურადების შესახებ კონკრეტულ საკანონმდებლო ნორმას, საქართველოში ფარული მიყურადების საფუძვლები „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონით რეგულირდება, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავ ორგანოებს, სხვა ლონისძიებებთან ერთად სატელეფონო მოსმენის უფლებაც აქვთ.

მოსმენის ტექნიკური საშუალება, ამ დრომდე გადაუწყვეტელია. საქანომდებლო ორგანომ მხოლოდ იმ ნაწილს დაუჭირა მხარი, სადაც პროცედურებზე იყო საუბარი, ხოლო აზრთა სხვადასხვაობის გამო „გასაღების“ საკითხი უცვლელად დატოვა და ამის გადასაწყვეტად სპეციალური კომისიის შექმნა გადაწყვიტა.

პრობლემა ისაა, რომ, რაც არ უნდა პროგრესული ცვლილებები შევიდეს კანონში, ვერასოდეს გაკონტროლდება, როგორ ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები ამის იმპლემენტაციას, თუკი ე.წ. გასაღები მათ ხელში იქნება, ანუ მათ ჩვენს პირად ცხოვრებაზე პირდაპირი და გაუკონტროლებელი წვდომა ექნებათ.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მნიშვნელოვან შედეგს ვერ გამოიღებს.

თუმცა განსხვავებული მოსაზრება აქვს საპარლამენტი უმრავლესობის წარმომადგენელ თინა ხიდაშელს, რომელიც მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში მობილური ოპერატორებისთვის „გასაღების“ გადაცემა უფრო ცუდ შედეგს გამოიღებს, ვიდრე ახლა, როცა ის ძალოვან უწყებებს აქვთ.

ლაშა ტულუში ფიქრობს, რომ ეს ერთი შეხედვით რეალური არგუმენტია, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. მას პარლამენტის არგუმენტები არადამაჯერებლად მიაჩინა. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ეს კანონპროექტი დიდი დებატების საგანი იყო, სამართალდამცავ ორგანოებს ძალიან ხისტი პოზიცია ჰქონდათ და პარლამენტმა ეს წინააღმდეგობა ვერ დაძლია.

ბაზარისა და სამაფო



საგამოძიებო უფლებამოსილებების შესახებ კანონის თანახმად, ფარული მიუწოდების შესახებ ნებართვის მისაღებად აუცილებელია შემდეგი საფუძვლები:

ა. ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები;

ბ. მძიმე დანაშაულის პრევენციის ან მიკვლევის მიზანი;

გ. გაერთიანებული სამეფოს ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა;

დ. იმ მიზნისა და გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, რომელიც პრემიერ-მინისტრის აზრით მძიმე დანაშაულის პრევენციის ან მიკვლევის მიზნის ეჭვალენტური იქნებოდა.

მიუწოდების პროცესზე საბოლოო ზედამხედველობა ეკალება სპეციალურ იფიციერს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. ეს „უნდა იყოს პირი, რომელსაც უკავია ან ეკავა თანამდებობა სასამართლო ხელისუფლებაში, კანონდარღვევის ფაქტი ოფიციერმა პრემიერ-მინისტრს უნდა მოახსენოს. ოფიციერ პრემიერ-მინისტრს მისი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშსაც წარუდგენს.

„ეს იმ ძალების პოლიტიკურ სისტემურ მეტყველებს, რომელსაც ქვეყანაში რეფორმის განხორციელება უნდათ. რადგან ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ რეფორმა და არ კანონის ერთი მუხლის შეცვლა. თუმცა ცხადია, რომ რეფორმისთვის ყველა მზად არ არის“, – გვითხრა ლაშა ტულუშემა.

იგი ვარაუდობს, რომ საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისია კანოპროექტის ამჟამინდედებულის დაეთანხმება. ეს კი ნიშავს იმას, რომ სახელმწიფო რამდენიმე თვეს ტყუილად დაკარგავს, თანაც იმ ფონზე, როცა ამ კანოპროექტის განხილვა ისედაც 1 წლის განმავლობაში ყოვნდებოდა.

ტულუშემისთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა გადავდგათ ნაბიჯი წინ, როცა ამის შესაძლებლობა ნამდვი-

ლად გვაქვს: „პრობლემა ისაა, რომ თანმიმდევრული ნაბიჯებისთვის არ აღმოვჩნდით მზად“.

კანოპროექტის ავტორი მიიჩნევს, რომ თუკი რაიმე საკითხი ტექნიკურად მოსაგვარებელი იყო, კობდა ჯერ კანონი მიგველო, პრობლემა პრინციპულად გადაგვეწყვიტა და ტექნიკური ნაწილის დახვენაზე მერე გვეფიქრა.

„იმის გამო, რომ ვიღაცებს არ უნდათ ამის შეცვლა, იმიტომ, რომ სხვანაირად მუშაობა არ შეუძლიათ, იმიტომ, რომ ძველებურად მუშაობა უნდათ და ასე გაგრძელება სურთ, ეს ჯანსაღი არგუმენტი არ არის“.

მსგავსი მოსაზრება აქვს საპარალამენტო უმცირესობის ნარმომადგენელ სერგო რატიანსაც. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოსმენების შესახებ კანოპროექტს პირველი მოსმენისას დაუჭირა მხარი. მაგრამ მათთვის მიუღებელია ის, რომ „გასაღების“ საკითხი კანონში უცვლელად დარჩა. მისი თქმით, ამ უსტით მმართველმა ძალამ განაცხადი გააკეთა, რომ ისინი მოსმენას გააგრძელებენ. საპარალამენტო უმცირესობისთვის სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა და არაფერი გამოსწორებულა.

„ამ მუხლის არშეცვლით, მთავრობამ გამოგვიცხადა, რომ მოსმენებს გააგრძელებს. მთავარი ხომ ისაა, რომ გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროშია და მას აქვს უკონტროლო და უპრობლემო წვდომა. ერთი საკითხია სასამართლო პროცედურები, მაგრამ მეორეა, რომ შენ გაქვს გასაღები და ამას პრინციპულად ვერავინ გააკონტროლებს“, - განმარტა „ლიბერალთან“ საუბრისას სერგო რატიანმა.

საპარალამენტო უმცირესობის ნარმომადგენელი „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებულ კადრებზე და კანონში „გასაღების“ ნაწილის უცვლელად დატოვებაზე პასუხისმგებლობას ირაკლი დარიბაშვილს აკისებს.

თინა ხიდაშელი კი განმარტავს, რომ ე.წ. გასაღების საკითხის მოგვარება მათი ამოცანაა და იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ექსპერტების

დახმარებით ეს შესაძლებელი იქნება.

ამ საკითხის დასარეგულირებლად ვადა 1 ნოემბრამდეა განსაზღვრული. ჯერჯერობით უცნობია, რა ფორმით და როდის შეიქმნება კომისია.

თუმცა ერთი რამ ცხადია, მოსმენების შესახებ კანოპროექტი ერთი წლის განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული და მისი ყველაზე საკვანძო ნაწილის მიღების კიდევ ერთხელ გადადება კარგის მომასწავებელი არ არის. მით უფრო, რომ უახლოეს წარსულში ყველას გვახსოვს ანტიდისკრიმინაციული კანონის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები როგორ დავიდა კონკრეტული რეგულაციებისა და სანქციების მქონე კანონი ფორმალურ საკანონმდებლო ნორმებამდე. ც

მოცემის ჩასახვისა



კანონში ჩამოთვლილია ის დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარება მოსმენას. ეს ეხება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას.


საგანგებო საგამოძიებო ლონისძიებები შეიძლება გატარდეს 30-დღიანი პერიოდის განმავლობაში და დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, გაგრძელდეს ექვს თვემდე ვადით. ამის შემდეგ საგანგებო საგამოძიებო ლონისძიების შესახებ იმავე საფუძველით და იმავე თემაზე განმეორებითი ნებართვის გაცემა აკრძალულია.

რაც შეეხება კონტროლს, სპეციალური საგამოძიებო საქმიანობის განმახორციელებული ორგანო ვალდებულია, ყოველი წლის 15 იანვრამდე გენერალურ პროკურორს წარუდგინოს სპეციალური გამოძიების ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს განხორციელებული მოსმენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

გენერალური პროკურორი ყოველი წლის 15 თებერვლამდე ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და საზოგადოებრივი ნესრიგის უზრუნველყოფის ოფიციერს წარუდგენს ოპერატორ-საგამოძიებო საქმიანობის საბოლოო ანგარიშს.

გაცილენი განვითარებული ხაზე მიღმა

ეკა მაღალდაძე, თაოთა ხალიანი



პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობით საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის 109-ე, მთავრობაში კი – 42- ე ადგილს იკავებს. დღეს ქალები საქართველოს პარლამენტის მხოლოდ 11%-ს შეადგენენ.

ქვეყანაში მომუშავე ქალთა ორგანიზაციები ქალებისთვის არსებულ

წინააღმდეგობებზე საუბრობენ და პრაქტიკულად ერთხმად ამბობენ, რომ გამოსავალი სტერეოტიპული მიდგომების შეცვლა და გენდერული კვოტების შემოღებაა. კვოტების, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს დაავალდებულებს, საარჩევნო სიების 30% მაინც ქალებით დააკომპლექტონ.

ხათუნა მაჭავარიანი ქუთაისის მერობის კანდიდატია. „ქალთა პარტიის“ ლიდერი და-ახლოებით ხუთი წელია, რაც პარტიის წევრი და ახლა უკვე მისი ხელმძღვანელია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პოლიტიკაში წასვლა დაახლოებით 8 წლის წინ გადაწყვიტა. ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე და შემდეგაც ბევრი ბარიერის გადალახვა მოუნია. ორი შვილის დედის პოლიტიკაში წასვლას მეუღლე არ შენინააღმდეგებია, მამამაც მხარი დაუჭირა – „იცის, რასაც აკეთებსი“. როგორც თვითონ ამბობს, ოჯახური ტვირთი შეუშმუშებელი და ხელი ამით შეუწევს. მაგრამ იცის, რომ ბევრი ქალისთვის ოჯახი გადაულახავი ბარიერია. საოჯახო საქმე, ფინანსების სიმცირე და დამკვიდრებული შეხედულებები პოლიტიკისკენ გზას ბევრ ქალს ულობავს.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თავისი ინტერესების შესაბამისი პარტიის ძებნა დაიწყო. იცოდა, რომ „დიდ პოლიტიკაში“ პარტიის გარეშე ვერ მოხვდებოდა, რადგან დამოუკიდებელი კანდიდატი ქალისთვის გამარჯვება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ეძებდა პარტიას, რომელიც თავადაც მოწონებოდა, და რომელშიც მიღებდნენ. 2008 წელს ახალდაარსებულ „ქალთა პარტიაში“ გაწევრიანდა. ამბობს, რომ ყველა ის საფეხური გაიარა, რაც თავმჯდომარეობამდე იყო საჭირო — მეტროსადგურებთან ხელმოწერების შეგროვებიდან დასავლეთის რეგიონის კოორდინატორობამდე.

მოგვიანებით ქალთა პარტიის მაშინდელი ლიდერი გუგული მაღრაძე „ქართული ოცნების“ წევრი გახდა.

„გუგული მაღრაძე ნამდვილად ცდილო-

ბდა, რომ კოალიციაში მთლიანად „ქალთა პარტია“ შესულიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა, „დიდ პოლიტიკაში“ ქალთა პარტიის ადგილი არ მოიძებნა. სამწუხაროა, რომ ამ პარტიას არ უყურებენ, როგორც სერიოზულ ძალას, არც ის უნდათ მაინცდამაინც, რომ ქალები იყვნენ პოლიტიკაში, ამ ყველაფრის მიზეზი კი განათლებაში, კულტურასა და ტრადიციებში უნდა ვეძებოთ“, – ამბობს პარტიის ახლანდელი თავმჯდომარე.

„ქალთა პარტია – სამართლიანობისა და თანასწორობისთვის“ იფიციალურად 2008 წელს დარეგისტრირდა. თუმცა, როგორც ხათუნა ამბობს, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ხელმოწერების შეგროვება და დროულად დარეგისტრირება ვერ მოხერხდა, ამიტომ „ქალთა პარტია“,

ბანების წარმატები სხვადასხვა კვეუნებში

ბელგია – 50%, მაკედონია – ყოველ მესამე ადგილზე მინიმუმ ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, პოლონეთი – 30%, სლოვენია – 2010 – 30% – 2014 – 40%, უზბეკეთი – 30%, ინდოეთი – 33% (კონსტიტუცია) – 50% (ზოგიერთი შტატი), რუანდა – 30%, პერუ – 30%.

კვოტების შემოღების შედეგად, ბელგიაში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 12,7%-დან (1995) 35,5%-მდე (2007), მაკედონიაში 6,6%-დან (1995) 35,3%-მდე (2007), ესპანეთში 26,6%-დან (1997) 36,3%-მდე (2008), საფრანგეთში კი 10,9%-დან (1997) 18,9 %-მდე (2007).

საზოგადოება

■ **საკრებულოებში ქალ დეპუტატთა წარმომადგენლობით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თე- თრიწყაროშია - 8 ქალი. ქარელში, გარდაბანში, სიღნაღსა და წყალტუ- ბოს საკრებულოებში ქალები მხოლოდ 4%-ს შეადგენ. ქალი დეპუ- ტატები საერთოდ არ ჰყავთ მცხეთაში, ახალ- ქალაქში, დედოფლის წყაროსა და ხონში. ზუგდიდის მუნიციპა- ლიტეტის საკრებულოს 38 წევრიდან კი ქალი მხოლოდ ერთია.**

როგორც საარჩევნო სუბიექტი, არჩევნებში არ მონაწილეობს. თავად ხათუნა ქუთაისის მერობის კანდიდატია ბლოკიდან „თვითმ- მართველობა ხალხს“.

დეკრეტული შვებულებები, შრომითი უფლებები, სახელმწიფოს მხრიდან ქალების საქმიანობის ხელშეწყობა - მათავარიანის აზრით, ეს ის თემებია, რომლებიც შესაბამის გადაწყვეტას საჭიროებს, ამიტომ პოლიტიკაში ქალების რაოდენობის გაზრდა „ქალთა პარტიის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

ჯერ კიდევ მორს გადერული კარიტატისგან

ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულთა 53% ქალები არიან. თუმცა მო- სახლეობის დემოგრაფიული განაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში არა თუ იმავე თანაფარდობით, ნახევარი პროპორციითაც კი არ არის ასახული.

დღეს ქალები თვითმმართველობებშიც 11%-ით არიან წარმოდენილი. 2014 წლის თებერ- ვლის მდგომარეობით, საქართველოს 59 მუნი- ციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს დეპუტატების 89% მმართავს. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ კვლევის მი- ხედვით, საკრებულოებში ქალ დეპუტატთა წარმომადგენლობით ყველაზე მაღალი პრო- ცენტული მაჩვენებელი თეთრიწყაროშია - 8 ქალი. ქარელში, გარდაბანში, სიღნაღსა და წყალტუბოს საკრებულოებში ქალები მხოლოდ 4%-ს შეადგენ. ქალი დეპუტატები საერთოდ არ ჰყავთ მცხეთაში, ახალქალაქში, დედო- ფლის წყაროსა და ხონში. ზუგდიდის მუნი- ციპალიტეტის საკრებულოს 38 წევრიდან კი ქალი მხოლოდ ერთია.

„ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის“ წევრი ბაია პატარაია მიზნევს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო სრულად უფრენჯივო ირგვნოდ გადაიქცა, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში მას არათუ სამიჯმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოუდგენია, არამედ საბჭოს წევრები არც კი შეკრებილან.

„ახალი თვითმმართველი ორგანოების არ- ჩევის შემდეგ, დავინახავთ, რომ ქალების წარმომადგენლობა 10%-ზე მეტი ისევ არ იქ- ნება, რაც ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით პროგრესი არ გვაქვს და ყველა ის ღონისძიე- ბა, რასაც აქამდე ქვეყანა ქალთა პოლიტიკა- ში ჩართვისთვის აკეთებდა, არაეფექტურია“, - ამბობს პატარაია.

1998 წლიდან ადგილობრივი თვითმმართვე- ლობის ორგანოებში ქალთა რაოდენობის დი- ნამიკა კლებულობს. თუკი მაშინ ქალების რაოდენობა 14% იყო, 2002 წელს ეს რიცხვი 11,9%-მდე შემცირდა, 2006 წელს - 11,5%, 2010 წელს კი 10,2% შეადგინა.

2014 წელს თვითმმართველ ქალაქებ- ში მერობის კანდიდატ ქალთა რაოდენობა 10,96%-ს შეადგენს, რაც შეეხება გამგებლო- ბის კანდიდატთა გენდერულ დაყოფას, მათ- გან მხოლოდ 3,8%-ია ქალი.

2006 წელს პარლამენტის თავმჯდომარე- სთან არსებული გენდერული თანასწორობის დროებითი საკონსულტაციის საბჭო შეიქმ- ნა, რომელიც 2009 წელს მუდმივ ირგვნოდ გადაიქცა. 2012 წლის ნოემბრიდან პარლა- მენტის თავმჯდომარემ გენდერული თა- ნასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა მისი პირველი მოადგილის მანანა კობაძის ხელმძღვანელობით დაამტკიცა. საბჭოს შე- მადგენლობაში გენდერული ბალანსი დაცუ- ლია - 6 ქალი და 6 მამაკაცი პარლამენტარი. ორგანომ დაარსებისთანავე გენდერის საე- თხებში პირველადი დოკუმენტი და სამოქმე- დო გეგმა მიიღო, რომლის განხორციელების ზედამხედველობაც მისსავე ფუნქციებში შე- დის.

თუმცა „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის“ წევრი ბაია პატარაია მიზნევს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო სრულად უფრენჯივო ირგვნოდ გადაიქცა, რადგან ბოლო ორი წლის განმავლობაში მას არათუ სამიჯმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოუდგენია, არამედ საბჭოს წევრები არც კი შეკრებილან.

რათომ უნდა იყვნონ ქალები კოლეგიაში

ექსპერტი გენდერის საკითხებში, თამარ ბაგრატია ფიქრობს, რომ მეტი ქალი პო- ლიტიკაში ნიშნავს უფრო პრინციპულ პო- ლიტიკას, ნაკლებ კორუფციულ გარიგებებს და ნაწილობრივ, უკეთეს სოციალურ პოლი- ტიკას, რადგან პრობლემების დიდი ნაწილი ქალს სოციუმში თავად გამოცდილი აქვს.

„სამი არგუმენტია იმისა, თუ რატომ უნდა იყოს ქალი პოლიტიკაში: რაოდენობრივი - მოსახლეობის 53% გადაწყვეტილების მი- მღებ ორგანოებში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი; ინტერესთა - რადგან ქალე- ბისა და მამაკაცებს განსხვავებული ინტერე- სები აქვთ; და გამოცდილების - რადგან გა- მოცდილებაც განსხვავებულია. რაც უფრო

მრავალფეროვანი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი, მით უფრო ახლოს იქნება ის სამართლან გადაწყვეტილებასთან”, – ამბობს ბაგრატია.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ქალი დეპუტატი დამაკავშირებელი რგოლი უნდა იყოს ამომრჩეველ ქალებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს შემორჩენის სისტემის მიზნით. სწორედ ქალ პოლიტიკოსებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ და დადებითი ზეგავლენა მოახდინონ იმ გადაწყვეტილებზე, რომლებითაც ამომრჩეველმა, ამ შემთხვევაში კი ქალმა ამომრჩეველმა, სარგებელი უნდა მიიღოს.

„მას შეუძლია მხარი არ დაუჭიროს თუნდაც კონკრეტული ბიუჯეტის დამტკიცებას, რომელშიც ქალთა საჭიროებები არ იქნება ასახული. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ქალი გადაწყვეტილების მიმღები მოგანოები, რადგან უკაფესად ესმის ჩვენი პრობლემები. ნორვეგიაში თეთმმართველობებში ქალების რაოდენობის გაზრდის შემდეგ საბავშვო მოვლის ცენტრების დაფინანსება 20%-ით გაიზარდა. სწორედ ამას კუნიდებთ ინტერესთა და გამოცდილების არგუმენტს“, – განმარტავს თამარ ბაგრატია.

სტეროტიპების კადენტი - ბარიერების კასადი კალებისთვის

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერთკა კვაპილოვა ამბობს, რომ პოლიტიკაში ქალების დაბალი მონაწილეობის მიზეზები ყოველთვის კომ-

პლექსურია. მაგრამ ძირითად ბარიერად, როგორც წესი, მაინც გავრცელებული გენდერული სტერეოტიპებია.

„დამკიდრებული შეხედულებების მიხედვით, ქალის მთავარი როლი ოჯახში დედისა და მეუღლის ფუნქციით შემოიფარგლება და არ გულისხმობს საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ უკანასკნელისთვის ქალებს არ აქვთ საქმარისი პირობები. მათ არ რჩებათ დრო იჯახს გარეთ საქმეებისთვის. არის ნაკლებია კონსტიტუციური, საკანონმდებლო ან ნებაყოფლობითი პარტიული კვოტებისა“, – ამბობს კვაპილოვა.

USAID-ის მიერ 2012 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების მთავარ ფუნქციაზე საუბრისას არც ერთი რესპონდენტი ქალის მთავარ ფუნქციად მის პოლიტიკურ-სოციალურ როლს არ ასახელებს. ისინი ამბობენ, რომ ტრადიციულ მენტალიტეტთან ერთად, რომლის მიხედვითაც ქალის მთავარ ფუნქცია ოჯახის მოვლაა, ქალი პოლიტიკას თავს სათანადოდ ვერ გაართმევს და ეს კაცის საქმეა.

თუმცა მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა აზრით, საარჩევნო კანდიდატისთვის აუცილებელი თვისებები – დიპლომატიურობა, ნაკლებად აგრესიულობა, სანდოობა, პატიოსნება და ნაკლებად კორუმპირებულობა ქალებს უფრო ახასიათებთ, ვიდრე კაცებს.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი ელენე რუსეცკაია ამბობს, რომ

წარმო მოქალაქის წერილი



„მოქალაქენო, საქართველო ისტორიულად არ იყო ჩვეული ქალთა მონაბას... ქართველი ხალხის ცოლქმრობა ამხანაგური ხასიათისა იყო, რისიც გამომხატველია, თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება არა, ჩვენი უძველესი დედანა, რომელმაც ასეთ კავშირს სახელად მეუღლეობა უწოდა. ქართველი ქალი არც საზოგადო მოღვაწეობას იყო მონყვეტილი და იმ დროს, როცა ჩვენი გმირი მამა-პაპანი ფარ-ხმალს ალესალნენ მტრის მოსაგერიებლად ჩვენი ძველი დედები სამოქალაქო ცხოვრებას ჭირისუფლობდნენ. ავრცელებდნენ სწავლა-განათლებას, სარწმუნოებას, ექიმობას, აშენებდნენ მტრისაგან აოხრებულ ტაძრებს, ციხე-სიმაგრეებს და სხვა. არც პოლიტიკურ საქმეებს უდგნენ ქართველი ქალები განზე და თავიანთი უნარით და გონიერი მეცადინეობით, არაერთხელ შეუერთებიათ დანაწილებული კუთხეები საქართველოსა...“

ხელი დართველი კალება N32, 4 ღვარებარი, 19176.

■ „სამი არგუმენტია იმისა, თუ რატომ უნდა იყოს ქალი პოლიტიკაში: რაოდენობრივი – მოსახლეობის 53% გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი; ინტერესთა – რადგან ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული ინტერესები აქვთ; და გამოცდილების - რადგან გამოცდილებაც განსხვავებულია. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი, მთ უფრო ახლოს იქნება ის სამართლიან გადაწყვეტილებასთან“, – ამბობს ბაგრატია.

ქალებს პოლიტიკაში მოსვლამდეც და პოლიტიკაში ყოფნის დროსაც მამაკაცებზე მეტი წინააღმდეგობების გადალახვა უწევთ.

„თავიდან ქალებს უჭირთ გადაწყვეტა, წავიდნენ თუ არა პოლიტიკაში. პირველი და მთავარი ბარიერი ოჯახია, აუცილებელი მორალური, ეკონომიკური თუ სხვაგვარი მხარდაჭერა. ამასთან საარჩევნო გარემოს კვლევები აჩვენებს, რომ ეს გარემო დიდილად ძალადობრივია. არსებობს მოსაზრებაც, რომ „პოლიტიკა ბინძური საქმეა“ ამჟამადაც ერთ-ერთ რეგიონში 15 ქალი ემზადებოდა პოლიტიკაში მოსასვლელად, თუმცა საბოლოოდ მათგან მხოლოდ 3 კანდიდატი დარჩა“, – ამბობს რუსეციაია.

სტერეოტიპებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, თამარ ბაგრატიას აზრით, ისაა, რომ მთელი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კაპიტალი მამაკაცების მიერაა მონაბოლიზებული და ამ კაპიტალის გარეშე ქალებისთვის პოლიტიკაში მოსვლა ძალიან როცელია.

„ოპონენტებს ხშირად ავინწყდებათ, რომ ქალს პოლიტიკაში მოსასვლელად და მამაკაცის თანაბარი კვალიფიკაციის მოსაპოვებლად მეტი მუშაობა სჭირდება. და ესეც იმითავ განპირობებული, რომ ოჯახური ფუნქციები არათანაბრადაა გადანაწილებული. ეკონომიკური შემოსავალიც განსხვავებულია. ეს ყველაფერი ქალს განვითარებაში ხელს უშლის“, – ამბობს ბაგრატია.

მამაკაცების წანილი აცხადებს, რომ პოლიტიკაში ქალების დაბალი წარმომადგენლობა ქალებისავე მოუმზადებლობითაა გამოწვეული.

„რატომძაც მომზადების და კვალიფიკაციის არგუმენტი მხოლოდ ქალების შემთხვევაში არსებობს და იგივე მოთხოვნები მამაკაცებზე აღარ ვრცელდება. თუმცა, მაშინაც კი, როცა ჩვენ პარტიებს მომზადებული ქალები შევთავაზეთ, ესეც უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ჩანს, მოუმზადებულობა, არც ისე საფუძვლიანი არგუმენტია“, – ამბობს ბაგრატია.

არსებული გამოცდილებით, ქალებისთვის პროპორციული სისტემა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მაურორიტარულ და დამოუკიდებელ კანდიდატად კენჭისყრა.“

2006 წელს პროპორციული სიით ქალების 15% მოვიდა თვითმმართველობებში, პარტიის მიერ წარდგენილი მაურორიტარული სისტემით – 8%-მა გაიმარჯვა. დამოუკიდე-

ბელი საინიციატივო ჯგუფის წარდგენილი კანდიდატებიდან კი ქალების მხოლოდ 4% გახდა დეპუტატი.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო რთულია პოლიტიკაში მოსვლა, როცა პარტიების შეგნით დაწინაურების ბუნდოვანი და არადემოკრატიული სისტემა მოქმედებს.

„ქალები პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მხოლოდ დაბალ დონეებზე არიან ჩართულები და ვერ მონაბილუობენ შედარებით სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებაში. ქალები ხშირად ჩივიან, რომ მიუხედავად აქტიური ჩართულობისა, პარტიული ელიტა, რომელიც კაცებითაა დაკამილებეტებული, როგორც წესი, ქალებს მაინც არ აწინაურებს“, – ამბობს ბაგრატია.

ქალები ქალების ცინააღმდეგ

NDI-ის 2013 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, თანაბარი კვალიფიკაციის ქალ და მამაკაც კანდიდატებიდან გამოკითხულთა 39% მხარს მამაკაცს დაუჭერდა, ქალს კი მხოლოდ – 14%. საინტერესოა, რომ მათგან, ვინც მამაკაცს მისცემდა ხმას, 31% პროცენტი ქალია.

ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს პრეტენზიები აქვთ იმ ქალებთანაც, რომლებიც ამჟამად საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში არიან და ამბობენ, რომ ისინი არ არიან ქალთა საჭიროებებზე, ქალების უფლებებზე ორიენტირებული ცვლილებების ინიციატიორები.

„ჩვენ არ მოგვისმენია ამ ქალების განცხადებები და პოზიციები ბოლო დროს გახშირებულ მკვლელობებთან და ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. არც ერთ მათგანს არ დაუგმია იჯახში ქალთა მიმართ ძალადობა. ჩვენ გვჭირდება გენდერულად მგრძნობიარე ქალები, რომლებიც ამომრჩეველ ქალთა უფლებებს დაიცავენ და აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას შეუწყობენ ხელს“, – ამბობს ბაგრატია.

ქალები საკუთარი უფლებებისთვის – სუსტი „დაკვეთა ქვემოდან“

იმას, რომ გადაწყვეტილების მიღები პირები მოსახლეობის 53%-ის ინტერესებს არასაკმარისად ითვალისწინებენ, ისიც განაპირობებს, რომ „დაკვეთა ქვემოდან“ საკმაოდ სუსტია.

თუკი წინასაარჩევნო კამპანიების დროს ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სოციალურ-

–დღმოგრაფიულ ჯგუფზე მორგებულ და-პირებებს, ამგვარ განცხადებებს ფაქტო-ბრივად ვერ ვისმენ ქალი ამომრჩევლების მისამართით.

„ქალების ცალკე სოციალური ჯგუფი რომ არსებობს, ამის განცდა თვითონ ქალებსაც არ აქვთ. მათ უფრო ძლიერი მორალური ბმა ეთნოსთან, რელიგიასთან და სხვა იდენტო-ბებთან აქვთ, ვიდრე საკუთარ გენდერთან. ეს ბუნებრივი პატრიარქალურ საზოგადოე-ბაში, რადგან ამ საზოგადობას არ სჭირდე-ბა კონსოლიდირებული და გენდერული ნიშ-ნის გარშემო გაერთიანებული ქალები. თუკი ქალები შეძლებენ თვითორგანიზებას, ისინი სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა გა-სფერიზნ, მით უფრო, რომ რაოდენობრივად ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ“, – ამ-ბობს ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი ბაია პატარაია.

ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ერ-თანი ქალთა მოძრაობა, რომელიც კონკრე-ტულ ინიციატივებს წარმოადგენდა, შემდეგ მათ ლობირებას დაიწყებდა და „აიძულებდა“ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებასა და პრეზიდენტს, დაკამაყოფილებინათ მათი მოთხოვ-ნები. ფემინისტებისა თუ უფლებადამცველე-ბის აქციები და ღონისძიებები ეპიზოდური და ფრაგმენტული ხასიათისაა. ამიტომ საბო-

ლოოდ იმ ქალთა ინტერესები ზარალდება, რომლებზეც არც გადაწყვეტილების მიმღე-ბებმა იფიქრეს.

გენდერული კვოტა, როგორც

გამოსავალი

2013 წლის 29 ივნისს საარჩევნო კოდე-ქსში შესული ცვლილებით, თუკი პარტიე-ბის მიერ წარდგენილ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყვე-ლა პარტიულ სიაში) კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნება წარმოდგენილი, ეს პარტია 30%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებს.

თუმცა ქალთა უფლებადამცველების შე-ფასებით, შიდაპარტიულმა კვოტამ არ გაა-მართლა. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, მმართველი პარტიები დამატებითი დაფი-ნანსების მოტივაციის არქონის გამო, კვო-ტირების სისტემას არ იყენებენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არც „ნაციონა-ლურმა მოძრაობამ“ და არც კოალიცია „ქარ-თულმა ოცნებამ“ გენდერული კვოტები არ დააკმაყოფილა. 2014 წლის თვითმმართვე-ლობის არჩევნებისთვის კი ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა, „ქართული ოცნების-გან“ განსხვავებით, გამოიყენა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“. მაგრამ საინ-

ცილი ჩონხაცი, ვაჟოვანი მამების იუსტიციი ერაყალა



აკლია“, – განუცხადა დედამ უურნალ „MEP“-ს.

ევროპარლამენტარის ამგვარი საქციელი მაღლევე გახდა განსჯის საგანი. თუმცა გან-მარტებების გარეშეც აშკარა იყო, რომ დეპუტატი ასე ქალთა უფლებების მხარდასაჭერად იქცეოდა. ის მხარს უჭერდა ქალების შრომითი უფლებების გაუმჯობესებას, დეკრეტული შეებულებების სამართლიან პრინციპებზე დამყარებას, მთლიანობაში კი ოჯახური და სამსახურებრივი საქმიანობის შესათავსებლად აუცილებელი პირობების შექმნას.

ლიცია რონზული პარლამენტში ექვსი კვირის შვილთან ერთად პირველად ფო-ტოგრაფებმა 2010 წლის სექტემბერში და-აფიქსირეს. დეპუტატი სხეულზე მიკრული ახალშობილით პარლამენტში გამოცხა-დდა და კნეჭისყრაში მიიღო მონაწილეობა. მას შემდეგ 3 წელზე მეტი გავიდა და ლი-ცია სტრასბურგში მიმდინარე სხდომებს შეილთან ერთად საკმარის ხშირად ესწრება.

„დედობა მარტივია, როდესაც ხარ 37 წლის და ბავშვის აღზრდისა და მოვლის-თვის ხელშემწყობი გარემო გაქვს. ბავშვს კი მისთვის აუცილებელი ყურადღება არ

16 პილატო - პარიზის მეჩი



ნელს, გაზაფხულზე, პირველად პარიზის ისტორიაში ქალაქის მერი ქალი გახდა. გამარჯვებული კანდიდატი ეს-პანური წარმოშობის, 54 წლის მემარცხენე ანა პიდალგოა. ყოფილი მერის მოადგილემ ადგილობრივი ოვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური მოიგო და 91 163 ხმა დააგროვა. მას მხარი კომუნისტებთან ერთად მწვანებმაც დაუჭირეს. საინტერესოა, რომ სოციალსტების გარდა, მემარჯვენებსაც ქალი კანდიდატი ჰყავდათ წარმოდგენილი. ნიკოლა სარკოზის ყოფილი პირადი წარმომადგენელი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ნატალი კოსტიუშკო-მორიზე პიდალგოსთან ხმების 45.5%-ით დამარცხდა.

ტერესო, რომ ნაციონალურ მოძრაობასაც ქალები ათეულში კრიტიკულ, არაგამსვლელ ადგილებში ჰყავს, იქ სადაც გამარჯვების შანსი ნაკლებადაა.

„ის, რომ მმართველმა პარტიამ იპოზიციური პარტიისგან განსხვავებით გენდერული კვოტა არ გამოიყენა, აჩვენებს, რომ კვოტირების სიტემა პარტიებისთვის მხოლოდ ფინანსური დანამატის მიღების საშუალებად განიხილება და სხვა ინტერესი ქალებთან დაკავშირებით არ არსებობს. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის თავის მოტყუება და ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა არ მუშაობს“, – ამბობს ბაია პატარაია.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ასეთ ვითარებაში ერთადერთი რეალური და ეფექტური საშუალება სავალდებულო კვოტირების სისტემის დანერგვაა. პატარაიას აზრით, „ამის შემდეგ პარტიები იძულებულები გახდებიან წევრი ქალები გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობაზე გამოაჩინონ“.

თამარ ბაგრატია ფიქრობს, რომ სავალდებულო კვოტირების სისტემას ბევრი მონინა-ალმდეგე ეყოლება. პროცესი ხანგრძლივი და რომელი იქნება, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგის მიღწევა შესაძლებელია. ამ ეტაპზე სასურველი შედეგი კი მინიმუმ 30%-იანი წარმომადგენლობაა, რომელიც ექსპერტის შეფასებით, ე.წ. „კრიტიკულ მასას“ შექმნის.

„გენდერული თანასწორობა არ არის მხოლოდ თანაბარი უფლება, ეს არის თანაბარი შესაძლებლობა და თანაბარი პასუხისმგებლობა და ჩვენ ვიზიარებთ ამ პასუხისმგებლობასაც“, – ამბობს ბაგრატია.

პოლიტიკოსების ნაწილი, მათ შორის ქალებიც ამბობენ, რომ გენდერული კვოტა პოზიტური დისკრიმინაციის გამოხატულებაა. თუმცა მეორე ნაწილის აზრით, კვოტა არა დისკრიმინაციული, არამედ მაკომპენსირებელი საშუალებაა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერთკა კვაპილოვა ამბობს, რომ გენდერული კვოტები მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის გასაზრდელად ყველაზე ეფექტური მექანიზმია.

„უფრო ღრმა და კონსტრუქციული დისკუსია ამგვარი კვოტების შესახებ საქართველოს ნამდვილდ დაეხმარება, რომ ჰქონდეს გენდერულად მეტად დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი და, შესაბამისად, მეტად დემოკრატიული საზოგადოება“, – ამბობს კვაპილოვა.

2014 წლის ივლისში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმიფხვრის შესახებ კომიტეტი (CEDAW) მთავრობების ანგარიშებს განიხილავს და შეაფასებს, რას მიაღწიეს ქვეყნებმა გენდერული თანასწორობის კუთხით.

„ველოდებით, რომ კომიტეტის რეკომენდაციები წაახალისებს საქართველოს მთავრობას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად უფრო შესაფერისი გზები მოძებნოს“, – ამბობს კვაპილოვა.

მანამდე კი, 15 ივნისს თვითმმართველობის არჩევნები გამართება. ხათუნა მაჭავარიანი აპირებს ქუთაისში პირველი, არჩეული ქალი მერი გახდეს.

■ NDI-ის 2013 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, თანაბარი კვალიფიკაციის ქალ და მამაკაც კანდიდატებიდან გამოკითხულთა 39% მხარს მამაკაცს დაუჭირდა, ქალს კი მხოლოდ – 14%. საინტერესოა, რომ მათგან, ვინც მამაკაცს მისცემდა ხმას, 31% პროცენტი ქალია.



Pheasant's Tears

სილნალი, გარეთაშვილის ქ. 18
თბილისი, გ. ჭავჭავაძის ქ. 15
www.pheasanttears.com



პატიოლოგიური მჯახის სინაინი ეს ფინანსი, თუ (ეს/ან) ჰამანიშე?

„რატომ მაინცდამაინც ფემინიზმი? მხოლოდ ქალების უფლებებს იცავთ და კაცები ფეხზე გკიდიათ? არ შეგიძლიათ უბრალოდ ჰუმანიზმი დაარქვათ თქვენს მოძრაობას თუ იდეოლოგიას და ყველაფერი გააერთიანოთ?“ – აი, ასეთი შენიშვნა მისცეს ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წევრებსა და პატრიზან გოგონებს „ფეისბუქზე“.

გიორგი ძნელაძე

24 მაისს სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართულ აქციაზე - „არა ქალებზე ძალადობას!“ - დაახლოებით ორმოცი ადამიანი მოვიდა, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე კი დასწრების სურვილი სამასზე მეტამა გამოიჭეა. ეს გვერდიც „დახუნძლული“ იყო შემდეგი კომენტარებით: „მხოლოდ ქალების მკელელობას რატომ აპროტესტებთ?“ „ასე რამდენი დანაშაულიც მოხდება, ყველაფერზე ქუჩაში ვირბინოთ?“ „საქართველოში ძირითადად ქალების უფლებები არ ირღვევა“ (კომენტარების სტილი დაცულია). ამ აქციას ცოლებისა და ყოფილი ცოლების ხოცვის მრავალი თვე უძღვდა წინ, თუმცა (ზემოხსნებული ორმოციონე ადამიანის გარდა) ეს მკვლელობები არავინ გააპროტესტა. სამარადისოდ შედუღაბებულმა და ერთარსებად ქცეულმა ერმა და ბერმა ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ ხმა არ აღიმაღლა. ამბობნებიდან ეს მამაკაცები არ შეურისხავთ. ქმრისგან ნაწარმებმა და დაჩქენილმა თეამეტრეველმა; „პაზის ბანკის“ წინ ყოფილი ქმრისგან ხანგლით აუზულმა (იმის გამო, რომ ის ღამის კლუბში დადიოდა და ბავშვს ყურადღებას არ აქცევდა) ახალგაზრდა ქალმა; ყოფილი ქმრისგან დაცხრილულმა 27 წლის სოფორი; აჩხამურში ცულით დაჩქენილმა რუსუდანმა და სხვებმა, ვერც მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანაგრძნობა დაიმსახურეს და ვერც სამდვდელოების. თეამეტრეველი და ის ქალები, მისი ბეჭი

რომ გაიზიარეს, ვერასოდეს გახდებიან საკრალურ-ნაციონალურ-კლერიკალურ-პატრიარქალური ემპათიის ღირსნი; წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე მათ გამო მრავალათასიანი აქცია არ გაიმართება, რადგან სამარცხვინო დედები იყვნენ. არაქართველურები. არაოთარაანთქრისეულები.

აღსანიშნავია, რომ ეს საზარელი მკვლელობები სწორედ ოჯახში მოხდა და არა სხვაგან, მაგრამ ეს ქალები ვერასოდეს მოხვდებიან პატრიარქის იმ სააღდგომო (ან საშობაო) ეპისტოლებში, ოჯახს რომ ეხება. ქართული ეკლესიის წინამძღვრობი ვრცლად ისაუბრებს ქალის წმიდათაწმიდა მოვალეობებზე, თუმცა იმას არ აღიმნავს, რომ „ქალის კულტის“ ქვეყანაში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია; გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქალთა 50,1% ფიქრობს, რომ კარგი ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება მას. ქალთა 34,1% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს. 44,9% ფიქრობს, რომ აუცილებელია, მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს დაანახოს, თუ ვინ არის ოჯახის უფროსი. „გაეროს განვითარების პროგრამის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად კი, „ნებისმიერი ცოლი უნდა იყოს ქმრის მოძრილი, ნებისმიერი ხასიათის მამაკაცი უნდა აიტანოს ქართველმა ქალმა“.

გამოკითხულებმა „ქართველი ქალის“ სანიმუშო თვისებებებად დაასახელეს: „ოჯახისთვის თავდადებულბა“, „კარგი დიასახლისობა“, „მორჩილება“, „დამყოლობა“, „მომტმენის უნარი“, „გამძლეობა“, „ყურადღებიანობა“. გამოკითხულთა 63%-ის აზრით, კარგი ცოლი უნდა ემორჩილებოდეს მეულეებს მამინაც კი, როცა არ ეთანხმება მას.

„სუსტი“ სქესისთვის ყველაზე სახითათ სივრცე სწორედ ოჯახია. ასეთია ქართული მითოლოგიზმული-ქალის-კულტისეული რეალობა. საპატრიარქოსა და სრულიად სამღვდელოებას, რომელმაც 17 მაისი იჯახის სიმყარისა და სინმინდის ღლედ გამოაცხადა, ერთი მოკლე განცხადება, ერთი ქადაგებაც კი არ მიუძღვია იჯახში ნაცემი, დასახირებული, ყელგამოლადწრული და დახოცილი ქალებისათვის. არც კი უხსენებიათ ამ „სინმინდეში“ გამზავებული და ყოველდღიურ რეალობად ქცეული მამაკაცური ძალადობის ზეიმით. საქართველოში იჯახის სინმინდეს ამგვარად აღნიშნავენ, ევროპაში კი (მაგალითად, საფრანგეთში) უხვად შეხვდებით გადაცემებს, კონფერენციებსა და ფორუმებს, სადაც ოჯახში ძალადობის გადაწყვეტის გზებზე მსჯელობენ და გორგენებენ გადიდებული შრიფტით დაბეჭდილ ცხელი ხაზის ნომერს, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დარეკვა. ქართული იჯახის „სინმინდის“ დაცვის ერთ-ერთი „გამოძახილია“ ის კომენტარები, რომ-



ლებიც „ბაზის ბანკის“ წინ ხმლით და-
ჩებილი, ყურმოქრილი, სახედასახიჩრე-
ბული და მუხლებგადამტვრული ქალის
ისტორიის ქვეშ ბევრმა ინტერნეტმომხ-
მარებელმა დაწერა:

1) „მძიმე ისტორიაა. მერნმუნეთ, არც
ცალსახად გასამართლებელია ამ კა-
ცის მდგომარეობა, მაგრამ ქალმაც ხო
უნდა იცოდეს საზღვარი? ქალს, თან
ქართველ ქალს გაცილებით მეტი მოქ-
თხოვება, ვიდრე ზოგიერთებს გვონიათ.
ქალბატონებო, ლამის კლუბში დედა არ
უნდა დადიოდეს! შვილს ვის უტოვებს
მაგ დროს, რა არანორმალურობაა?“

2) „ისევ იმ კაცს მიუბრუნდები. ძა-
ლიან მეცოდება ასეთი განსაცდელი რომ
მოუვლინა ცხოვრებამ, ღმერთმა გაა-
ძლიეროს და მოანანიებინოს ჩადენილი.
სანდახან იცოდეთ ეშმაკი სხვას შემოვგო-
ჩენს, რომ რაღაც ცუდი გაგვაკეთებინოს
და რაც უფრო მართალი და ნესიერი ხარ
ადამიანი, მით მეტად გებრძვის. ყველა
ადამიანი კიდევ ვერ უძლებს ამდენ ცდუ-
ნებას: ქალბატონებო, ძალიან აიშვით,
დედას გეფიცებით რა. თქვენს გულებში
ჩახედეთ და ნუ დამიწყებთ ლანძღვას.
დაწყარდით, ილოცეთ, ქვეყანას მო-
მავალი გაუზარდეთ და ნუ მოუსპობთ.
ყველიერ ამას კლუბში სიარულით ნა-
მდვილად ვერ მიაღწევთ. ეხლა ეს კაცი
ციხეში ჩაჯდება და მაგით ვინ დარჩება
მოგებული? ცოლს რომ არ მიეყვანა ამ
საქციელამდე და რომ არ გაემწარებინა,
მაგას ხო არ ჩაიდენდა? აბა ამაზე და-
ფიქრდით. ამდენს ვწერ და ზოგი იტყვის
ნეტა ამას მოსცლია. ღმერთმა დაგლო-
ცოთ და გაგაძლიეროთ“.

3) „ბიჯო, რო იძახით და არ მოგწონთ
მაგ კაცს საქციელი, თქვენ მის ადგილ-
ზე ის მოგეწონებოდათ, რო თქვენი 2
წლის შვილის დედა გასართობად და რა
ვიც კიდე რისტის ლამის კლუბში
დადიოდეს? თქვენზე მეტი სიყვარული
მაგ კაცს გააჩნდა თავისი ცოლის მი-
მართ და მაგ ცოლმა თავისი საქციელით
დაიმსახურა, რაც მოუვიდა. ბოდიში
მარა ვერ გავამტყუნებ მაგ კაცს ჩადე-
ნილი საქციელის გამო“.

ერთ მუშტად შეკრული ერი მხოლოდ
და მხოლოდ მამაკაცის დამცირებასა
და ხელყოფას აპროტესტებს, ლამეს
დედის გინებასა და ღრიალში ათენებს

და ქუჩა-ქუჩა დარბის, ქალების ხოცვას
კი მართლმადიდებლური სულით, ქარ-
თული სისხლით, ნაციონალური ეგოთი,
თავმოყვარეობით, შელახული მამაკა-
ცური ღირსების აღდგენის სურვილი-
თა და ქალის „უზნეობით“ ამართლებს.
„მკვლელობა ცუდია, მაგრამ...“ ეს მის-
ტიკური, ყოვლისშემძლე, ორმარცვლია-
ნი „მაგრამ“ ყველა დაბკოლებას ნამის
უსწრაფესად გადალახავს, ადამიანის
სიცოცხლის ხელშეუხებლობის ყრუ კე-
დელსაც გააცამტვერებს და ყელმოლე-
რებით განაცხადებს: „ცუდია, მაგრამ ის
ქალი გარყვნილი იყო!“; „მაგრამ იმ გო-
გოსაც უნდა შეეგნო რაღაც!“; „მაგრამ
ვერ გავამტყუნებ იმ კაცს!“; „მაგრამ
ბავშვებს რომ მიატოვებს, ის რა ქალია?!“;
„საწყალი კაცი, რა დღეში ჩააგდო!“;
„ღმერთმა გააძლიეროს!“

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშ-
ნოს, რომ ოჯახის სიწმინდის დამცველი
ადამიანები ასეთ შემწყნარებლობასა და
სიმპათიას მამაკაცის, ან ბავშვის მკვლე-
ლების მიმართ არასოდეს გამოიჩენენ.
აღტაცებანარევი შეძახილები, თითქმის
ვნებიანი კენესა და „შენს მარჯვენას ვე-
ნაცვალე!“ მხოლოდ მაშინ აღმოხდებათ,
როცა ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ
სამარადის მბრძანებლად, ოჯახისა და
ქალის თავ-კისრად შერაცხული მამაკა-
ცი ცოლს „მუხლებში გადამტვრევს“,
კისერს მოუგრებს, ჭეუას ასწავლის,
საკადრისად დასჯის, გონზე მოიყვანს,
სწორ გზაზე დაყენებს, გამოაზიაზ-
ლებს და აჩვენებს, „ვინაა აქ ბატონი!“;
მან თავის „მეორე ნახევარს“ უნდა
დაუმტკიცოს, რომ ქალისა და მამაკა-
ცის თანასწორობა შეუძლებელია; რომ

საზოგადოება

ოჯახს ორი თავი ვერ ექნება და თუკი ქალი თავობას მოინდომებს, ეს თავი ძირშივე წასძრება; რომ ქალი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს და საღამოობით ფეხსაც ბანდეს. ბავშვის მკვლელი ცოცხლად უნდა დაიწვას, ჩაიქოლოს და აიკუნოს, ცოლის მკვლელი კი ღმერთმა უნდა დალოცოს, გააძლიეროს და ეს განსაცდელი გადაატანინოს. მან უნდა მოინმინდოს ის ჩირქი, ბინძურმა დედაკაცმა რომ მოსცხო. საპრალო კაცი. ქალი ხომ ფიზიკურადა მკვდარი, ის კი სულიერი სუკვდილზე დიდი სამინელება რა უნდა იყოს?! ნამდვილი ქალი ღამის კლუბებში არ დადის. მას არ „ეგართობება“, როცა პატრიარქალური, მაჩინისტური და უკიდურესად ქალთმოძულე საზოგადოების მთავარ „დაკვეთას“ ასრულებს – საბმბლოს შვილებს უზრდის. ეს მისი წმიდათანმიდა ფუნქცია. პატრიარქის სიტყვებით რომ ვთქვათ: სამწეხაროდ, არის შემთხვევები, როცა ცოლი და ქმარი სცილდებიან ერთმანეთს, როცა დედას არ აქვს ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს ნამდვილ დედას. დედობა ესაა დიდი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე (...) ახლა მიღებულია ასეთი ტერმინი, რომ ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანია. საღმრთო წერილი ამბობს, რომ ოჯახში მთავარი არის ქმარი. ოჯახი ესაა ერთი სხეული და არ შეიძლება ერთ სხეულზე იყოს ორი თავი. ეს შეუძლებელია. ბედნიერია ის ოჯახი, სადაც დედა და ცოლი წირავს თავის ოჯახს, ზრდის თავის შვილებს, ზრდის სარწმუნოებრივად... როცა ქმარი მოიდის სამსახურიდან, შენ უნდა შესთავაზო დასვენება, უნდა შესთავაზო ფეხების დაბანა, შესთავაზო საჭმელი, სითბო უნდა აჩვენო შენს ქმარს. მინდა კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ თქვენს მოვალეობაზე. დაფიქრდით თქვენს მოვალეობაზე“.

ნამდვილმა ქალმა არ იცის, რას წინაშე სიტყვა „მე მინდა“. ქმარს არ ადარდებს, მას რა უნდა; ცოლი თავის „მინდას“ უნდა შეაჩვინოს. ცოლმა მხოლოდ ის იცის, კაცს რა სურს. როგორ უნდა დაემსაგვსოს ამ „იდეალს“? ნამდვილი ქალის „რეცეპტს“ მას რელიგიაც „უხვად“ შესთავაზებს, მედიაც, საზოგადოებაც, ლიტერატურაც, პოლიტიკური

იდეოლოგიაც, მითოლოგიაც, ისტორიაც და წინაპართაგან დიდი რუდუნებითა და კრძალვით შემონახული ადათ-წესებიც. პატრიარქის სიტყვები მოგვაგონებს იმას, რაც სიმონ დე ბოვუარმა თავის უკვდავ ფემინისტურ ნამრომში, „მეორე სქესში“, აღნერა. მისი თქმით, „ქემარიტი“ და „მარადი ქალის“ მითი ასეთია: ქედმოხრილი, მონურად მორჩილი, პასიური მდედრი, რომელიც მართალია, ჭუა-გონებით არ ბრძინიას, მაგრამ დღედაღამ ქმარ-შვილზე ზრუნავს; ეს ოჯახის ბურჯი საკუთარი თავისთვის ფულს არასოდეს გაიმეტებს. ჩინებულად იცის, რა სურს მის მბრძანებლებს – თანამეცხედრესა და შეიღებს. მისი სანთელი ღამით არ ქრება, ქსოვს, კერავს, სახლს ალაგებს, რეცხავს, ოჯახის წევრებს თავს დაკვანაკალებს, მედამდელ მჭმუნვარე იქრით დააბიჯებს და, რაც მთავარია, მთასა და სახეს თავშლით იფარავს. ამ მომთმენი, თავდახრილი, მორცხვი, ხელშეუხებელი და სპეტაკი ქალისათვის, სკის მოყვუს-ფუს ამ „დედოფალი ფუტკრისათვის“, ქმრის სიტყვა უზენაესი კანონია. „მარადიული ქალის“ მითის გარდა, პატრიარქალურმა წყობამ კიდევ მრავალი მითი შეთითხნა, მაგალითად, „ზნედაცემული ქალის“, რომელიც „ნამდვილის“ სრული ანტიპოდია: ახირებული, ხარბი, უზნეო, სულისნრაფი, მოუხელობელი, ამპარტავანი, ვნებიანი, დაუმორჩილებელი, ავხორცი და მომხვეჭელობის უინით შეპყრობილი. ანდროცენტრულ წყობას როგორც წმინდა, სპეტაკი და „ქემარიტი“, ასევე „ბინძური“ და „ზნედაცემული“ ქალიც სჭირდებოდა. მამაკაცი საკუთარ თავს სრულყოფილ, აღმატებულ ადამიანად, აბილუტური ქემარიტების განსახიერებად მიიჩნევს, ქალს კი მეორესარისხოვან ქწნილებად, სხვად რაცხავს. ქალი ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც კაცს უნდოდა და არა ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო. „მარადი ქალის“ მითის ჯერ კიდევ მრავალი გულანთებული მომხრე ჰყავს. მამაკაცები იხრავენ: „ქალები გადაშენდნენ“. ზოგი განსავლული აცხადებს: „ჩვენი ეპოქის ქალები ქემარიტი ქალები არ არიან!“ დაუღალევად შეგვაგონებენ: „ქალებს დაემსაგვსეთ! სიკვდილამდე ქალებად

დარჩით! დაქალდით! სიტყვა „მამაკაცი“ ყოველივე პოზიტივის, დადებითისა და ნეიტრალურის განსახიერებაა. ფრანგულად სიტყვა „პომე“ მამაკაცსაც წიშნავს და ადამიანსაც, სიტყვა ქალს კი ეს დატვირთვა არ აქვს. ქალი წევატივა, სხვაა (...) ის ითვლება სხვად, ობიექტად, მეორესარისხოვან არსებად, მამაკაცი კი – სუბიექტად“. „ქალი? ი, ის ხომ ასეთი მარტივი არსება?! უბრალო მატრიცა, წვეულებრივი კვერცხუჯვრუდი“, – ამბობენ მარტივი ფორმულების მოყვარული მამაკაცები; მდედრი – ეს სიტყვა მთლიანად განსაზღვრავს „მეორე სქესს“. მამაკაცი სიტყვა „ქალს“ შეურაცხოფადაც კი აღიქვას“.

„მეორე სქესში“ აღნერილ მითებს ქართულ პატრიარქალურ სინამდვილეში თითქმის ყოველდღე შეხვდებით. „ნამდვილი ქალის“ მითის კატეგორიაში შედიან ძაბით მოსილი ქვრივები, დაღუპული ჯარისკაცის დედები, სპეტაკი თოარანთ ქვრივები და ხორცებსმული ქართლის დედები, რომელთათვისაც სრულიად უცხოა ყოველგვარი „მიწიერი სიმდაბლე და უზნეობა“. ეს საკურალური არსება შარავანდედითაა შემოსილი. აი, რაც შეეხება „მეორე ტიპის“ ქალს, რომელიც „ქემარიტისაგნზ“ რადიკალურად განსხვავდება, შეიძლება იყოს თვა მეტრეველიც, თიკო საღუნიმელიც, ქეთა თოფურიაც, მორენა ბეგაზვილიც, ია ფარულავაც, ე.წ. „კარვის ქალებიც“, „მდედრობიც“, 16 000 უკრაინელი „ნაშაც“, სლავური ნარმოშობის ლამაზმანებიც (რომლებსაც ქართველი კაცები 36 მანეთად „ხმარობდნენ“), ამერიკელი „ბოზებიც“ და ევროპაში მცხოვრები „მუნებიც“. მარადერეგირებული ქართული ფალოსის კონსტიტუციურ-ეროვნულ-შოვინისტურ-სკულისაკანონური კლასა, ისინი კედელზე აკრას და მამაკაცურად მიაჟიმ-მიაბინძურ-მიბილწონ. „ეროვნული ფრონტი“ მაშინ გაფაფორდა, როცა ამ მოვალეობის აღსრულებას – ქალის „ტყუნას“ (ანუ, სულხან-საბას მიხედვით, კაცთაგან ქალის დამდაბლებას), გადაულებავი ბარიერი აღსრულება თურქული სარისკაპო. მართლმადიდებლურმა ლიბიდომ და მოუთოვავმა აგრესიულ-მასკულინურმა ენერგიაში ნიალვრად ამოხეთქა და „გადამთიელე-

ბისა“ და „უსჯულოების“ ბინძურ ბუნა-
გს ღრიალით, მაშალების ქნევითა და
დედის გინებით მიაწყდა. „ოურქ კაცებს
ატყვენინებთ ქართველ ქალებს და ქარ-
თველ კაცებს შეიგრით არ გვიშვებთ?!“
ვინც გასაუიმია, უნდა გაიუიმოს, ვინც
მოსატყნავია, უნდა მოიტყნას, ვინც გა-
მოსაფატრავია, უნდა გამოიფატროს.
ასეთია წესი და კანონი.

ნაციონალურ-მართლმადიდებლური
ლიბიდო კიდევ ერთხელ ამოხეთქავს
(ოლონდ, უფრო გამაყრუებელი ბდა-
ვილითა და ყიუინით) სულ მაღლ, ალ-
ბათ, აგვისტოში, როცა „კაზანტიპზე“

ტანული სულისკვეთებით გაუდენთილი,
ცხოველმყოფელი ქართული სპერმით
დაბინძურებულ-მოთხვრილი. ჴო, წავა,
მაგრამ ამ საარაკო ეროვნულ-მაჩინის-
ტურ ტრიუმფთა მოგონება საოცახო
რელიკვიასავით გადაეცემა მომავალ
თაობებს. მხოლოდ გივი სიხარულიძეს
ხომ არ ესროლეს ქალი? მხოლოდ მის
ლეგენდარულ 25-სანტიმეტრიანს არ
გაუნაყოფიერებია დიადი დედა რუსე-
თი. ვესტერნიზებული „გივი სიხარული-
ძეები“ „კაზანტიპის“ შტურმით აიღებნ,
ამძეულებულ მდედრებს დამორჩილებენ
და ლაგამს ამოსდებენ. შთამომავლობა-

მტყუან-მართლის გამრჩევის მოვალე-
ობა აკისრია, მოძალადესა და მის ამფ-
სონებს (იმ „ძმაკაცებსა“ და „კაცურ
კაცებს“, რომლებიც მას გოგონას მო-
ტაცებაში ეხმარებოდნენ) პატიმრობას
არ მიუსჯის და განაცხადებს, რომ ძა-
ლადობა არ ყოფილა. მიუხედავად იმისა,
რომ ექსპერტიზის თანახმად, გოგონას
სხეულზე ძალადობის კვალი, სისხლჩა-
ქცევები, სილურჯეები და ნაულენთები
ატყვია, ძალადობა არ მომხდარა; კაცია
და კაცის მიმართ სოლიდარობას გამოი-
ჩენს; კაცური ღირსების საქმეა მაინც.
თვალებახვეული თემიდა აქ რა მოსატა-
ნია. თან, ისიც ქალი იყო. საქართველო-
ში ქალებზე არ ძალადობებს; ჯერ კიდევ
მეთორმეტე საუკუნეში თამარი გვყავდა;
განა დედოფალი?! არა, მეფე. ლევი
ლომისა ტყური ევროპელებისაგან არ
გვესწავლება. ის თანამზრახველები,
რომლებიც 16 წლის გოგონას ხელებს
უგრებდნენ და მის გაუპატიურებას სი-
ცილით-ხარხარით უყურებდნენ, დიდი,
დაუკინყარი მამაკაცური გამარჯვების
მომსწრენი გახდნენ; ქალის დამარცხე-
ბისა და კაცი აღზევების მომსწრენი.
სასჯელი არც იმ ცოლ-ქმარს ემუქრება,
16 წლის გოგონას რომ ძალით ათხო-
ვებდნენ. მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან
მან თავში ტყვია დაიხსალა. თვითმკვლე-
ლობამდე მიყვანა სისხლის სამართლის
დანაშაულია, მაგრამ ოჯახის „სინმინ-
დე“ ამჯერადაც მონძლების სიმაღლე-
ზე დგას, კანონსაც „გადაფარავს“, ძა-
ლადობასაც, იძულებით ქორწინებასაც
და გოგონას სისხლსაც. მათ არაფერი
ემუქრებათ. შეუძლიათ, მშვიდად განა-
გრძონ ერის გამრავლება, გენოფონდზე
თავდადებით ზრუნვა, ოჯახის სინმინ-
დისათვის ლოცვა და სხვა გოგონე-
ბის გაუბედურება. მათ ციხეში არავინ
უკრავს თავს. ასეთ გულგრილობასა და
უპასუხისმგებლობას იჩენენ ის პოლი-
ციელები, რომელთაც სამართლიანობის
დამკიდრება და მოქალაქეების (ქალე-
ბისა და მამაკაცების) ძალადობისაგან
დაცვა ევალებათ. კარდენახში 70 წლის
ქალი 78 წლის კაცმა მოიტაცა, მაგრამ
საზოგადოებამ მაშინაც გადაიკისებისა
და გადაიხსარხარა, სამართალდამცავებ-
მა მოძალადე არათუ დასაჯეს, არამედ
ლვინით სავსე ჭიქით დალოცეს კიდევ

■ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ოჯახის სინმინდის დამცველი ადამიანები ასეთ შემწყნარებლობასა და სიმპათიას მამაკაცის, ან ბავშვის მკვლელების მიმართ არასოდეს გამოიჩინენ. აღტაცებანარევი შეძახილები, თითქმის ვნებიანი კვნესა და „შენს მარჯვენას ვენაცვალე!“ მხოლოდ მაშინ აღმოხდებათ, როცა ეკლესისა და სახელმწიფოს მიერ სამარადისო მშრძანებლად, ოჯახისა და ქალის თავ-კისრად შერაცხული მამაკაცი ცოლს „მუხლებში გადამტკრევს“, კისერს მოუგრებს, ჭუას ასწავლის, საკადრისად დასჯის, გონზე მოივანს, სწორ გზაზე დააყენებს, გამოაფხიზებს და აჩვენებს, „ვინაა აქ ბატონი!“; მან თავის „მეორე ნახევარს“ უნდა დაუმტკიცოს, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა შეუძლებელია; რომ ოჯახს თრი თავი ვერ ექნება და თუკი ქალი თავობას მოინდომებს, ეს თავი ძირშივე წასძვრება; რომ ქალი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს და სალამოობით ფეხებსაც ბანდეს.

16000 უკრაინელი „ნაშა“ ჩამოვა. თუკი გივი სიხარულიძეს ვენდობით, „ეს 16 000 გოგო მთელ საქართველოს ეყოფა ბედნიერებისთვის“. ქართული ოჯახის სინმინდის დაცვის სურვილით გულინ-თებული და გენოფონდზე ფიქრით და-მაშვრალი უურნალისტი კი ასეთ შეკი-თხვას უსვამს მას: „როგორ ფიქრობთ, ამ 16 000 გოგონადან რამდენი იქნება ისეთი, რომელიც ქართულ ოჯახს შე-ეფურება?“ რა დროს ნანამები ქალე-ბია, რა დროს პროტესტი და ქალთა უფლებებზე ენჯერშინურ-პოლიტკო-რექტულ-ფემინისტური წუნწუნია, როცა ამდენი გადასაუიმ-დასამდაბლებელ-მო-სატყნავ-ჩასათესლ-გასაუპატიურებელი მდედრი ჩამოვა ივერიის წმინდა მიწა-ზე? როგორც ჩამოვა, ისე წავა. სპარ-

მაც ხომ უნდა იცოდეს, როგორ დაამყა-
რეს მამებმა, უფროსმა ძმებმა, ბიძებმა
და ძმაბიჭებმა მასკულინური წესრიგი
და როგორ გახედნეს ეროტიკულ სათა-
მაშოებად და სექსოლიექტებად ქცეული
ქალები? დიდი ეროვნული ინანიზი
ალბათ ზამთრამდე გასტანს. ზოგი ქალი
აეროპორტშივე უნდა გაჟიმო, იქვე, ქა-
ლების ტუალეტში, ზოგი – მანქანში.
ტაში. მასკულინური ძალა აღზევდა. ამ
მოზეიმე შიზოფრენიაში არავის გაახ-
სენდება ის გაუპატიურებული თუ ძა-
ლისძალად გათხოვილი გოგონები, თავი
რომ მოკლეს; არავის გაახსენდება ის
16 წლის გოგონა, რომელსაც თანატო-
ლი ბიჭი ყოველდღამე აუპატიურებდა
მანქანში, რადგან „ცოლად უნდო-
და“. მოსამართლე კაცი კი, რომელსაც

ერთი წმინდა ქართული ოჯახი, აღფრთოვანებულმა პუბლიკამ კი ბედნიერება უსურვა. იხარეთ, იმრავლეთ. დიდი ამბავი. ქალი მოიტაცეს. ქალის (პატივის) ცემა ქართველებს არ გვეშლება; და საერთოდ, ქალი „ბუნებით“ მაზოხისტია და მოძალადეს მიელგვის; „ევასება, კაცის ძალას რო გრძნობს“, გაუპატიურებაც სიამონებს და „რტყმევაც“.

ანტიკური სამყაროდან დღემდე სატირიკოსები, მორალისტები, თუ ეკლესიის მამები დიდი ხალისითა და ქილიკით აღნერენ ქალთა „სისუსტეს“, „სწორებულებულებს“ და „სიბრიყეს“. რომის სამართალი ქალებს უფლებებს უზღუდავდა და ამის მიზეზად მათ „სისულელესა და სისუსტეს“ ასახელებდა. მათ იცოდნენ, რომ თუკი ოჯახის ინსტიტუტი შესუსტდებოდა, ქალი მონობას თავს დააღწევდა. მამაკაცებმა „ქალური ბუნება“ ეშმაკი-სულ „წარმონაქმნად“ მიიჩნიეს. ადამის პირველი ცოლი, ლილითი, რომელმაც ქმრის მორჩილებაზე უარი თქვა, გველთან, უშმინდურებასა და სიბინძურესთან ასოცირდება. პატრიარქატმა მისი დემონიზება მოახერხა. ლილითი სახეა უხსოვარ ხანაში, მატრიარქატში მცხოვრები იმ უსაზღვროდ თავისუფალი და სუვერენი ქალებისა, რომელთა ძალმოსილებაც მამაკაცებს შიშს ჰყორის. ლილითი ადამია უარყო, ღმერთმა სამოთხოდან გააძევა, უთხრა, რომ ის ზეცაში ველარასოდეს დაივნებდა და ზღვის ფსკერზე შთანთქა.

„ლილითი კოლექტიური არაცობიერის სილრმებია დალექილი; მისი სამოთხოდან გაძევების მითი ევას „შეცოდებას“ მოგვაგონებს. ქალმა დაკარგა ძველებური „სიწმინდე“ და ცოდვათდაცემის, ცდუნების სიბოლონდ და მამაკაცის მტრად გადაიქცა. პატრიარქალური წყობა სწორედ ამ მითების წყლობით ამართლებდა მამაკაცთა დომინაციასა და ქალთა ჩაგვრას; სამ უმთავრეს დომინანტურ რელიგიას ერთი რამ აერთიანებს: ქალის სიძულვილი და მისი დამორჩილებისა და გაკონტოლების დაურკებელი სურვილი. პირველი უდიდესი ქალი-მზე მთვარის მერთალ შუქში გახვეულ საზიზღარ დამონად იქცა. მამაკაცთა ფანტაზიებში, ლილითი და კალი შავი ქალები/შავი მთვარის პირ-

მშონი იყვნენ. აი, ასე „დაკარგა“ ქალმა სული“, – წერს უნ-ბერნარ კაბანიეთავის სამეცნიერო სტატიაში „წმინდა ქალი, ანუ დაკარგული ერთობის ძიებაში“. („სულის დაკარგაში“ ავტორი გულისხმობს იმას, რომ წმინდა მამები დიდას ბჭობდნენ იმაზე, ჰქონდა, თუ არა, ქალს სული).

„დალილა და ივლითი, ასპაზია და ლუკრეცია, პანდორა და ათენა, ევა და მარიამი... პატრიარქალურ მითებში ქალი ღვთაებაცა, კაცის მხევალიც, სიცოცხლის წყაროც და შიშს მომგვრელი, ყოვლისშემძლე წყვდიადის სამყაროც (...) იგი ყედი მატყუარაცა და ფლიდი არსებაც; მკურნალიც, ჯადოქარიც და მისანიც; მამაკაცის ტყვევი, მისი დანაკარგიც და დალუპვის სანინდარიც“, – წერს სიმონ დე ბოვუარი.

ქრისტიანობაც ამ ქალთმოძღველე რიტორიკის განუყოფელი ნაწილია; მან საბოლოოდ აუკრძალა ქალებს ღვთისმსახურება; საკურთხეველში „ბიძური“ და „სისხლმდინარი“ ქალის ადგილი არაა; ათონის მთაზე ევას მოდგმა ვერ გაიჭაჭანებს. ამ სარწმუნოების წილში ვაპოვით უამრავ თეორიას, რომელიც ქალს ცოდვათდაცემის მიზეზად წარმოაჩენს. ამ მაცდურმა მამაკაცს აკრძალული ნაყოფი აგემებინა. ამიტომაც მას ღვთიური წყევლა-კრულვის ნიაღვარი დაატყდა თავს. რა თქმა უნდა. ქალი მამაკაცის ნეკნია, დანამატი, შემთხვევითი არსება და „მის გაჩენაში ღმერთის ხელი არ ურევია“. სწორედ მის გამოისჯება კაცობრიობა/ქალობრიობა. ამიტომაც „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯველი შობ შევილებს. ქრისტენ გენება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“ (დაბადება 3:16) მან მორჩილებითა და სიყრუე-სიმუნჯე-სიბრმავით უნდა „ზღლოს“. კაცობრიობის/ქალობრიობის არსებობის მანძილზე ცისქვემეთში ყველა დანაშაულს მოექცნა გამართლება, ყველას უპოვეს რაღაც მიზეზი და „მსჯავრდებულიც“ „შეიწყალეს“. ქალს კი ვაშლის შექმა არ და ვერ ეპატა. ის მარადიული დამნაშავეა, რომლის ცოდვასაც ვერაფერი „გამოისყიდის“ და ამიტომ კაცის მუშტში, მუშტის ქვეშ თუ მუშტათან ახლოს ყოფნა მიესავა. ჩვენ, დედამიწელები, „შე-

ცდენილი“, საბრალო ადამის „ხათრით“, მავანის ცოლის ჩალურჯებულ და ტიროლით დასიებულ თვალებზეც დახვეჭავთ თვალს. ჩვენ ადამს თანაუგრძნობთ, რადგან ქალის, ანუ გველის გამო სამოთხიდან გამოაძევეს. ახლა ადამის შერისძიების დროა: ევა უნდა „დაჩრიქს“. ადამიანს ადამ-იანი ეწოდა და არა – ევა-იანი. ადამის მოდგმა „ვართ“ და არა – ცოდვილი ევას. ჯვარცმული მაცხოვრის სისხლიც მხოლოდ ადამის საფლავს დაეწვეთა და იგი შენდობილია. ევას ასეთი წყლობა არ ელირსა. ამიტომაც ფრთა-მუშტის პერმანენტული საფრთხის წინაშე უნდა იყოს, ასე ვთქვათ, ლაგამი მაგრად ეკეთოს, რომ „დაუკრეფაში“ არ გადაიღდეს და კაცმა იქით მიუქციოს/მოუქციოს/მოუღრიცოს თავი/კისერი, საითაც მოესურვება.

მერი მეოცე საუკუნეში დაიბადა. ორმოცდათიანების დასაწყისში. „გაგანია“ საბჭოთა კავშირში. პროვინციაში. მხიარული, ლალა და ხალასი გოგო იყო. თავიდან სკოლაშიც კარგად სწავლობდა და ქიმიკოსობა უნდოდა. მარია კიურივით უნდა გავითქვა სახელით, ამ-ბობდა კისკისით. ასე კისკის-კისკისით ეწაფებოდა ქიმიას, ალკანებს, ალკენებს და კიდევ ბევრ რამეს, მაგრამ კივილ-კივილით ჩატენეს მანქანაში მთავარმა მოძალადემ და მისმა ამფსონებმა. 16 წლისაც არ იყო. სკოლის ჩანთა ეჭირა. წიგნებით სავსე. მომავალი ქმრის „ძმაკაცის“ სოფელში წაიყვანეს. ატყდა წიოკი. ვაი-ვიში. მეზობელი ქალები გადმოვიდნენ. დაწყნარდი, შვილო. ვის არ მოსვლიაო. რამდენი გოგო მოუტაცებიათო. შენ ხომ არ ხარ პირველიო. არც უკანასკნელიო. ჩვენც ასე ვიყავოთ. მაგრამ ბეჭდ შევეგუვეთო. რას იზამ, ქმარია და უნდა აიტანო, როგორიცაა. ასეთია ცხოვრებაო. გაივლის დროო. შვილები გეყოლებაო. ისიც შეგიყვარდება. ჩატენიდნენ მერის მშობლები. დაიწყო ოჯახური ქოთქოთი. მერი იქ დატოვეს. შინ არ წაიყვანეს. ლამე განთევითა და ვერ ეპატა. რას იტანო ხალხი. ის უკე მომხდარია. დატოვეს. 16 წლის ბავშვი. სკოლადაუმთავრებელი. უპერსპექტივო. ძალიან ბევრი მერი დაბიჯებს. ყველა

ქალაქში. განუწყვეტლივ. ყველა ქუჩის კუთხეში გადავაწყდები ხოლმე. მაგრამ მაინც: რატომ არ არსებობდნენ გენიოსი ქალები? არ მესმის. ალბათ, ქალის ტვი-ნია ნაკლული. ჰო, აბა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?

მანანა ჩემი მეგობარი იყო. მეოცე
საუკუნის მიწურულს დაიბადა. 1990
წელს. ერთ სადარბაზოში ვცხოვრობ-
დთ. ერთ სართულზე. თითქმის, სულ
ერთად იყიდავით. დედაჩემი ხშირად სი-
ცილით ეუბნებოდა, ჩემი გიორგი დე-
დისერთა არა, შენც ჩემი შვილი ხარო.
ერთსა და იმავე რომანებს ვკითხულო-


და გულამისკვნილი. წამნამებზე ტუში
წაესვა და სულ შავი ცრემლი სდიოდა.
მგზავრები უყურებდნენ, მაგრამ ის ყუ-
რადლებას არ აქცევდა. ტიროდა. ტირო-
და გულამოსკვნილი. ქარმა ჩემი ფულით
ნაყიდი კაბა ტანზე შემომახიაო. ეს რა
გაცვა, მარცხვენ, შენი დედაო. შენი
ჯიშიო. შენი ჯილაგიო. შენი გამომცემე-
ლიო. და წიხლები დამიშნაო. დედამის-
თან ჩავედით. მანანას ჩემოდნები ეჭირა.
ტანსაცმლით სავსე. იმან ჯერ ეს უთხრა,
მერე ის, ქიციც და ქიცმაცურიც, მაგრამ
არაფერმა გაჭრა. მანანა ამბობდა, არ
წავალო. ბოლოს დედამისმა დაუყვირა,

ლაპარაკება. აღარ. „ანა კარენინა“ შორს
დარჩა. უსაზღვროდ შორს. ბავშვობაში
კი მუდავ მაბარებდა. სიასაც კი მიწერ-
და, ეს და ეს ნიგნები მინდაო და ლაქნას-
მულ ფრჩხილს ადებდა ლურჯი მელნით
დათხაპილ ფურცელს. 12-ფურცლიანი
რვეულდან ამოხეულს. რა ქნას, ქმარი
ისეთი „გაქაჩული“ ტიპია, ძალადობის
გამო ვერავინ შეედავება. ვერავინ გა-
მოქარჩლება. მოხელის ცოლია. ხან-
დახან თვალს თუ ჩაულურჯებს, დიდი
ამბავი. მთავარია, ქვეყანას ემსახუროს
და ოჯახის სინმინდე დაიცვას. მაგრამ
მაინც: რატომ არ არსებობდნენ გენიოსი
ქალები? არ მესმის. ალბათ, ქალის ტვი-
ნია ნაკლეული. ჰო, აპა, სხვა რა მიზეზი
უნდა იყოს?

■ ანტიკური სამყაროდან დღემდე, სატირიკოსები, მორალისტები, თუ ეკლესიის მამები დიდი ხალისითა და ქილიკით აღნერენ ქალთა „სისუსტეს“, „სიჩრუნგეს“ და „სიპრიყვეს“. რომის სამართალი ქალებს უფლებებს უზღუდავდა და ამის მიზეზად მათ „სისულელესა და სისუსტეს“ ასახელებდა. მათ იცოდნენ, რომ თუკი ოჯახის ინსტიტუტი შესუსტდებოდა, ქალი მონობას თავს დააღწევდა. მამაკაცებმა „ქალური ბუნება“ ეშმაკისეულ „ნარმონაქმნად“ მიიჩნიეს. ადამის პირველი ცოლი, ლილითი, რომელმაც ქმრის მორჩილებაზე უარი თქვა, გველთან უწმინდურებასა და სიბინძურესთან ასოცირდება. პატრიარქატმა მისი დემონიზება მოახერხა. ლილითი სახეა უხსოვარ ხანაში, მატრიარქატმი მცხოვრები იმ უსაზღვროდ თავისუფალი და სუვერენი ქალებისა, რომელთა ძალმოსილებაც მამაკაცებს შიშს ჰგვრის. ლილითი ადამმა უარყო, ღმერთმა სამოთხიდან გააძევა, უთხრა, რომ ის ზეცაში ველარასოდეს დაიკანებდა და ზღვის ისკურზე შთანთქა.

„ანა კარენინა“ განსაკუთრებით გვიყვარდა. ბავშვობაში, საღამოობით, საშინელებათა ფილმებს ვუყურებდით ხოლმე. მერე სადარბაზოში გასვლასაც კი ვერ ბედავდა და ჩვენთან იძინებდა. სამდიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება უწდოდა. მასსოვს, როგორ ვემზადებოდთ ერთად გამოცდებისთვის და როგორ ვსწავლობდით „შუშანიკის ნამებას“, შორს იყოს კუბასტიც და ასტამიც და მანანა გათხოვდა. მიყვარს და გავყევით. ბედნიერები ვართო. თან ძალაანო. შენ უკეთ იცი, მანანა-მეთქი. მხოლოდ ეს კუთხარი. ერთი წელი რომ გავიდა, ქმარმა შეაგინა, მერე ხელი მოუქნია, მერე წიხლებით შესდგა. მასსოვს, როგორ ტიროდა მანანა „მარშუტკაში“. რეგიონში მივდიოდით. ტიროდა. ტირო-

ახლავე გამშორდი აქედანო. შე უნამუსონო. არ გაბედოო. ქმარია და აიტანეო. ხან გიყვირებს და ხან შეგაგინებსო. აპა, როგორ გინდაო. მე როგორ გავუძელი მამაშენისო. ასე რომ დამენგრია ოჯახი, შენ და შენი ძმა კი არ მეყოლებოდითო. ასეთია ოჯახური ცხოვრებაო. კენწეროში გატებილდებაო. ბაჟშეო აზრს მოგცემსო. ცხოვრების აზრსო. მანანა გახევდა. ყელში ბურთი გაჩქირა. ვიცი, როგორ თენდება მანანასათვის ყოველი დილა. ძალიან კარგად ვიცი. წარმოდგენაც არ მინდა. როცა ალიონზე თვალს გავახელ, სადღაც, ჯერ კიდევ წყვდიადში შთანთქმულ ოთახში გაკრთება მისი ხატება. ვცდილობ, არ ვიფიქრო, როგორ იწყება მისი დღე. იშვიათად გადავეყრებით ერთმანეთს. მაგრამ წიგნებზე ალარ მე-



აფხაზეთი, მართვის შემცირება


ავტორი: ქეთი ქანთარია, ფოტო: ანჯელა უჩუბერია

მაისის ბოლოს სოხუმში ერთი ბავშვი გაჩნდა და რომელიმაც აფხაზმა ფეის-ბუქზე იხუმრა, ეგბ „რევოლუცია“ და-გერემიათო, თუმცა ბოლო ხანებში იქ სიტყვა „კონსტიტუცია“ კიდევ უფრო ხშირად გაისმის, ვიდრე სხვა დანარჩენი სიტყვები. აფხაზეთის მოვლენები არა-ერთმა შეადარა კიევის მაიდანსაც, მაგრამ ეს შედარება, პირველ რიგში, თავად აფხაზებს არ მოსწონთ. აფხაზეთმა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის იშვათი რამ მოახერხა: მათ არათუ უსისხლოდ, გარკვეულწილად საზოგადოების გაუხლებაზე, სოციალური კაფშირების დაუზიანებლად გადააყენეს არასასურველი ხელისუფლება, და თან, აქ, კიევისგან განსხვავებით, დეკლარირებული საგარეო კურსის შეცვლას არც ერთი მხარე არ აპირებდა.

საზოგადოების ერთი, უფრო მცირე ნაწილი, თავს შეურცხყოფილად, მომხდარს კი საკუთარი არჩევანისა და კონსტიტუციის უგულებელყოფის საშიშ პრეცედენტად მიიჩნევს. მოსალოდნელი იყო და რუსულ პრესაში გაჩნდა კიდეც კიდევ ერთი ტერმინი. „მანდარინების რევოლუცია“ – სახელმძღვანელი მხარე, მისთვის დამახასიათებელი სუბტრო-

პიული ვნებების გათვალისწინებით, ძალიან პროგნოზირებადა, ოლონდ ტერმინოლოგიაში იმპერიული ქედმალ-ლობის ამგვარი „გაპარვა“ ცოტა სასაცილოა: სუქვა, რუსეთის ხილვად მომავალში პოლიტიკური კულტურის ასეთი მაგალითი ვიხილოთ, ან საზოგადოებამ დამოკიდებულებათა ნაირგვარობის მიუხედავად ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება მოახერხოს. სამწერაოდ, მეოცე საუკუნიდან აფხაზები, ქართველებისათვის ყველაზე, ოდესალაც ყველაზე ახლობელი და პატივსაცემი ხალხი, ჩვენთვის თანდათანობით შავი ზღვის ნაპირას მცხოვრებ იმ ელემენტად იქცა, რომელიც ყველაფერს გვიშლიდა: დასვენებას, დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ნერვებს ბოლოს და ბოლოს. ცოდნა ამ საზოგადოების შემკრავი შინაგანი მექანიზმების შესახებ, რომელიც თაობიდან თაობას სახალხო სამართლის და ეთიკის ნორმებად გადაეცემოდა და რომლის გამოც, ასევე თაობიდან თაობაში, აფხაზებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა მოგვყვებოდა, თითქმის დავკარგეთ.

ასეა თუ ისე, საზოგადოების ყველა სეგმენტმა შვება იგრძნო, როცა



იქნებოდა, თავისი ინტერესების (!) დასაცავად აუცილებელი ზომები მიეღო. ნებისმიერი არასასურველი ჩარევა უფრო მტკიცნეულად აღიმება დღეს, თუნდაც რუსეთის მიერ, დამოუკიდებლობის აღიარებიდან მეტვიდე წელს.

...ალექსანდრ ანქვაბის ოპოზიცია საბოლოო სახით შარმან, ნლის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, როცა მას ხელისუფლების მხარდამჭერი, ედინაია აფხაზიაც“ შეუერთდა... მაისის პირველ რიცხვებში ოპოზიცია 27 მაისს სახალხო კრების მოწვევის შესახებ იუნიტებოდა.

რა არის სახალხო კრება აფხაზებისთვის? ეს არ არის ჩვეულებრივი მოტივი. შეკრების ამ ფორმას აფხაზურ ტრადიციულ სამართალში განსაკუთრებულ ვითარებაში მიიჩნევდნენ საჭიროდ. მასზე საზოგადოების ყველა წევრის შეუძლია აზრის გამოხატვა, კრების გადაწყვეტილებასაც ასევე მისი ყველა წევრი ემორჩილება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან დაახლოებით თხუთმეტი ასეთი კრებაა მხოლოდ მოწვეული და ის იმ სახალხო დემოკრატიის დამახასიათებელ ელემენტად ითვლება, რომელმაც აფხაზურ საზოგადოებაში საყოველთაო კონსენსუსისა და ერთმანეთის შეხედულებებისადმი ანგარიშის განვითარების მოწოდების მოთხოვნილება ჩამოაყალიბა.

მოძრაობა „ახაცას“ ერთ-ერთი ლიდერი ახრა ბჟანია სახალხო უკმაყოფილებისა და სახალხო კრების მოწვევის მიზეზად საბ მიზეზს ასახელებდა: სისტემურ კრიზისს, შეპირებული რეფორმების კურსიდან გადახვევას და ხელისუფლე-


ბის დახურულობას, ანუ საზოგადოებასთან დიალოგისაგან გაქცევას. სხვები აღმატებდნენ და ბოლოს, გალის და ორ მიმდებარე რეგიონში ეთნიკური ქართველებისათვის აფხაზური კანონების ავლით პასპორტებს გაცემს. ეს ნადვილად იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი და უმთავრესი პრეტენზია.

მაისის ბოლოს საკოორდინაციო საბჭომ დროებითი სახალხო საბჭოს შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება. იმავე დღეს, 29 მაისს, პარლამენტმა პრეზიდენტ ანქვაბს გადადგომის მოთხოვნით მიმართა. ამ დღეების განმავლობაში პრეზიდენტის რეზიდენციასთან შეკრებილთა ოდენობამ 15-20 ათასს მიაღწია. მომხრები, თუმცა არა ამდენი, პრეზიდენტსაც ჰყავდა. 2 ივლისს ისინი კიდევ ერთი, საკუთარი სახალხო კრების მოწყობას აპირებდნენ, მაგრამ 1 ივლისს ალექსანდრ ანქვაბა აფხაზ ხალხს მიმართა და თანამდებობიდან გადადგომის შესახებ საჯარო განცხადება გააკეთა. ოპოზიციის შეფასებით, მის განცხადებაში არ იყითხება საკუთარი შეცდომების აღიარების მცდელობა. ანქვაბი კი ოპოზიციას ძალაუფლების მაძიებელობაში ადანაშაულებს.

არჩევნები 25 აგვისტოსთვისაა დანიშნული. 5 მაისის მონაცემებით, ჯერ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰყავდა დასახელებული საკუთარი კანდიდატი. ვარაუდობენ, რომ არჩევანი სულ სამორთხო პოლიტიკურ ფიგურას შერჩის.

იქნება გასაკეთებელი. პრეზიდენტთან ერთად, რომლის მოვალეობას პარლამენტის სპიკერი ვალერი ბლანდა ასრულებს, მისი ადმინისტრაციის მეთაური და უშიშროების მდივანიც გადადგა. შეიცვალა პრემიერიც, მის ადგილას ფინანსთა მინისტრი ვლადმირ დელბა დაინიშნა.

როგორც ვთქვით, აფხაზეთის საგარეო კურსი არ იცვლება. შეფასებების გარეშე – მოცემულობა ასეთია – მის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორად კვლავ რუსეთი რჩება. რუსეთი ის ქვეყანაა, რომელსაც აქ ქართული აგრესის შემკავებელ ძალად აღიქვამენ. აფხაზეთში რუსეთთან (საქართველოზე აღარ არის ლაპარაკი) შეერთების მომზრე, ტარას შამბას და მისი მცირე დაჯგუფების გარდა, რომელშიც აღმატები მისი ძმაც მოიაზრება, მხოლოდ უპასუხისმგებლო, ხეირის მადევარი რიგითი მოქალაქეები არიან. თვალსაჩინოებისთვის ვთქათ, რომ ასეთები საქართველოში გაცილებით მეტნიც კი იქნებიან. აქ ადამიანები მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა იმ ყოველი მეათე თუ მეთორმეტე აფხაზის ხსოვნის ღალატი იქნება, ვინც ამ დამოუკიდებლობისთვის დაიღუპა. ამიტომ მიტინგებზე რუსული დროშების ფრიალი, აღმატებით ხარისხშიც მოხსენიება და გადამეტებული ყურადღების“ სხვა ნიშნები, უარეს შემთხვევაში მხოლოდ უესტია იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა პირველმა აღიარა და ამ დამოუკიდებლობას ფინანსურად კვებავს.



29 მაისს, როცა რუსეთთან ასოცირების (ტარას შამბა) იდეა კიდევ ერთხელ დატრიალდა ჰაერში, ოპოზიციის ერთეულთმა ახალგაზრდა ლიდერმა, თენგიზ აგრძამ ფეისბუქზე დაწერა: „ერთმანეთში ნუ აგერევათ, ჩენენ ყველა თვალსაზრისით რუსეთის მოკავშირები ვართ, მაგრამ რუსეთის ფედერაციასთან ჩვენი „ასოცირებულობა“ უკვე ყველა დასაშვებ ზღვრის გადასცდა... უცილებელია, და ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, დამოუკიდებლად თავის გატანა ვისწავლოთ, თუნდაც ცუდად, მაგრამ საკუთარი ძალისმმეტით... ყველას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ გულახდილად ვაცხადებ: ამაზე მეტად რუსეთთან ასოცირების ყველა მცდელობა იმას მოიტანს, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი და, მათ შორის, მეც ტყეებში გავალთ, და ჩრდილოეთ კავკასიის მსგავსად, ექსტრემიზმთან ბრძოლა დაიწყება. ამიტომ მხოლოდ მეტ დამოუკიდებლობაზე უნდა ვიფიქროთ – მორჩა, ნურავის შევეთქვიყვებით, ნურც ევროპას, ნურც საქართველოს, ნურც ამ სხვადასხვა „ასოცირებულობას“. ჩვენ ვქრებით, და ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა აფხაზი ხალხის, მისი ენის და კულტურის გადარჩენაა.. ნუ გვაქცევთ „ბასაევებად“. ჩვენ მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობა გვინდა, მაგრამ მხოლოდ მეტი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარებს...“

ზოგადად, ეს გამოსვლები მხოლოდ აფხაზეთის საქმეებში ძალის ჩაუხედავ ადამიანს შეიძლება მოჩერენოს მოულოდნელად, ან რუსეთის მიერ ინსპი-

რირებულად. მაისის ბოლოს ქართული შეფასებების ზედაპირულობა უკვე აღმფოთებას იწვევდა. აյ ძალიან ბევრი რამ დგას ორ – აფხაზურ და რუსულ – საყრდენზე. სანამ, ხელი ხელს ბანს, ეს ორმაგობა ხელს არაფერს უშლის, მაგრამ განსჯისას მისი გათვალისწინება აუცილებელია.

მაგალითად, გადადგა თუ არა ანქვაბი, მეორე დღესვე, აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის (როგორც ქართული, ისე რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი ჯგუფი) მეთაური მამა დოროთეოსი (დოროფე) ნერდა, რომ მას აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის (რუსეთის მე-ს გავლენის ქვეშ დარჩენილი) „ელჩობა“ ესტუმრა და აწმ-ს (აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია) დაშლა, სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის წიაღში დაბრუნება, ან ახალი ათონის მონასტრის დაცლა მოსთხოვა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს დაჯგუფება ანქვაბის (რომელიც მხარს დამოუკიდებელ მიტროპოლიას უქრდა) ხელისუფლებიდან ნასვლას ელოდებოდა. მაგრამ გავიდა ორი დღე და მამა დოროფეის ახალი პუბლიკაციით “ოპოზიციის ნაწილი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესის ინტერესებს ემსახურება“. ნათელი გახდა, რომ მარტში თავად ანქვაბმა უგანა მიტროპოლიას და საკუთარი მოქმედებების რმე-სთან შეთანხმება სთხოვა. დოროფე დაბარი ნერს, რომ ის თავად დადიოდა ოპოზიციურ სახალხო კრებაზე, პრეზიდენტის რე-

ზიდენციასთან, მაგრამ იმ არაკონსტიტუციური, ძალადობრივი მეთოდების ნინააღმდეგი იყო, რომელიც მან პრეზიდენტზე ზენოლისას გამოიყენა. და იქვე დასძენს.. „ჯერ ერთი, დავაზუსტებ, რომ ოპოზიციას, რომელიც დღეს აფხაზეთის ხელისუფლებაში მოვიდა, მთლიანად პრორუსული არ ეთქმის, ლაპარაკია ოპოზიციონერთა ერთ გარევეულ წრეზე, რომლებიც რუსეთთან „ურთიერთობის დასალაგებლად“, რბოლად რომ ვთქვათ, ურთიერთობის „ახლი ფორმატისთვის“ არის განწყობილი. მგონი ეს ეპიზოდი კარგად უჩვენებს, როგორი საფრთხილოა ცალსახა დასკვნების კეთება. თუმცა იმაზეც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ანქვაბი რუსეთის მხრიდან ზენოლის გამო გახდა იძულებული, მიტროპოლიის მფარველობაზე უარი ეთქვა.

სხვა საქმეა, როგორ გამოიყენებს რუსეთი მის შედეგებს. მაგალითად, ფეისბუქზე მინიჭუმ ბოლო ორი ნელი სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ აფხაზური საზოგადოება პრეზიდენტის მმართველობით უკმაყოფილო ან პრინციპულად მდუმარე ადამიანებისგან შედგებოდა. მდუმარების უკან უფრო ხშირად, ჩემი აზრით, მისი შეცდომების აღიარებასთან ერთად, ანქვაბის მმართველობის – სიმტკიცისა და მშვიდი, მოზომილი სტილის ამ უცნაური ნაზავის მიმართ პატივისცემა იდგა. ამ ყველა ფერთან ერთად იდგა (აფხაზური ფორმულირებული მომაქება) აფხაზეთის მყიფე სახელმწიფობრიო-



ბის დაკარგვის შიში, მისი მოფრთხილების სურვილი.

რა იქნებოდა ოპტიმალური? ოპტიმალური იქნებოდა, ისეთ ქმედით და ჯერ კიდევ საღ, სისხლსასავსე ქართულ მთავრობას, როგორიც იყო ნაციონალური მოძრაობა, ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში (რასაკვირველია, ახალ ხელისუფლებასაც, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი მსგავსი ეპითეტი მისთვის დღეს არ მეტებება) ლამის საყოველთაო პოპულარობის ტალღაზე, აფხაზეთთან სრულიად ახალი, რევოლუციური პოლიტიკა წამოეწყო. მით უფრო, რომ ეს არ იყო ნაციონალისტური ძალა, აფხაზეთში მისგან მართლაც მოელოდნენ რაღაც ახალს, უბრალოდ არ არსებობდა მობეზრება და აპათია მუდმივად განმეორებად „ქართულის“ მიმართ. ჩეხერი სააგენტო „მედიუმ-ორიენტის“ მონაცემებით, 2013 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 59% – დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, 28% კი რუსეთთან შეერთებას ემხრობოდა. ეთნიკური ჯგუფების მიხედვით მონაცემები ასეთია: პრორუსული ორიენტაციისაა ადგილობრივი რესების 60%, აპათების 50%, სომხების 46%, ქართველების 23% და აფხაზების 18%.

ჯობს, სხვა დროს, ცალკე ვისაუბროთ ისეთი საერთო ხედვის გამომუშავებაზე, რომელიც ორივე მხრისგან გარიყულ გალელებს სასიკეთოდ გამოადგებათ. დღევანდლამდე გაკეთებული განცხადებები მომნიშვნელობის, რომ ამოზი-

ციური ხელისუფლების მიერ გალელების გამოსახლების საფრთხე არ არსებობს. თუმცა ვეტერანთა ორგანიზაცია „არუას“ ლიდერმა ვიტალი გაბნიამ ერთგან განაცხადა, რომ აგვისტოში გალში ბიულეტენების შეზღუდული რაოდენობა გაიგზავნება, რადგან პასპორტიზაციის პროცესის კანონიერების შემსნავლელი კომისია ჯერ მუშაობს და საეჭვო პასპორტების მქონენი არჩევნების ბედს ვერ განსაზღვრავენ. საგანგებოდ „ლიბერალისტების“ „არუას“ ლიდერმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ გალელების ადაპტაციის პროგრამა, ამ რაიონებში წესრიგის დამყარება და სოციალური დახმარების საკითხზე ფიქრი გვჭირდება. გალელები აქამდე მოხლოდ ელექტრონატი იყო, ხუთ წელინადში ერთხელ ხდებოდნენ ხელისუფლებისთვის საინტერესონი. აფხაზები მეგრელებს ყოველთვის დაეჭვებით მოეკიდებიან, სანამ მათ უფლება ექნებათ ისე გადაწყვეტილ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომ რეფერენდუმებზე აფხაზეთის რესპუბლიკის ინტერესები არ გაიზიარონ. მეგრელებასა და აფხაზებს შორის ზენაციონალური ურთიერთგაგება უნდა ჩამოყალიბდეს... მეგრელებს ძლიერი ეროვნული თვითშეგნება აქვთ, რომელზეც ვერც ქართველები და ვერც აფხაზები ვერ მოახდენენ გავლენას! ამაზე დროის ხარჯვა არ ღირს. ერთ სახელმწიფოში უნდა გამოვიყენოთ ერთობლივი თანაცხოვრების გასაგები წესები და აღვევეთოთ უნდობლობის გამომწვევი მიზეზები.

მოქალაქე ადამიანი ძალად, მესამე ძალის სურვილით ვერ გახდება, მხოლოდ შეგნებულად შეიძლება იმ ღირებულებების გაზიარება, რომლებიც ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაშია დეკლარირებული. ჯერვერობით კი მეგრელები მხოლოდ თავის გადარჩნაზე ფიქრობენ. უნდათ, ხვალინდელ დღეს ოპტიმიზმით უყურებდნენ და ჩვენ ამში ხელი არ უნდა შევუძლოთ. არადა ვუშლით, როცა შიდაპოლიტიკური ძალების ინსტრუმენტად აღვიქვამთ. უნდა მოხდეს მეგრელების დეპოლიტიზაცია და შედეგებიც არ დაყოფნებას“.

რასაკვირველია, აფხაზებს მანც მოუწევთ იმაზე დაფიქრება, რომ ეთნიკური ჯგუფის თვითიდენტიფიკაციაში თვითნებურად ჩარევაც ადამიანის უფლებათა სფეროს საკითხია, მაგრამ ამაზე სხვა დროს იყოს. სხვას გალელების მოფრთხილებას როგორ მოსთხოვ, როცა ქართული მხარე წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა, რათა აფხაზურ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია არ მომზდარიყო. უპასუხისმგებლობ განცხადებებით ამ დღეებშიც შეიძლოთ ზიანის მიყენება. ყველაფერს ვერ იტყვი, გარკვეული მიზეზების გამო... არც ტელევიზია „კავკასიის“ ნამყვანის გამაოგნებელ რეპლიკაზე შევჩერდება – რატომლაც მგონია, რომ თავადაც ნანობს ნამოცდენას. ნამყვანის მეუღლეს, ბატონ აქებარდიას კი ალბათ უნდა ვთხოვთ, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრისას უფრო მეტი გონიერება გამოიჩინოს... ■



ბატალიონ „ვოსტოკის“ პრორუსული მებრძოლები
იყავებან პოზიციებს, დონეცკი, 29 მაისი 2014

ჩემონაცადის წარინაში

ვინ და რატომ უწევს რეკლამას ჩეჩენურ ბრენდს უკრაინაში

ვალერი ძუცევი

დიდი ხანია გაჩნდა ინფორმაცია, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში პრო-რუსული ძალების მხარეზე, ჩრდილოკავკასიელები, უმთავრესად, ჩეჩენები იბრძვიან. რეგიონში ჩეჩენების ყოფნის ყველაზე აშკარა დემონსტრირება 25 მაისს, დონეცკში მოხდა, როცა ქალაქში გამართულ

მიტინგს სამხედრო ტექნიკაზე „ამხე-დრებული“ შეირაღებული პირები შეუერთდნენ. დამკვირვებლების ყურადღება ერთ-ერთ ჯავშანმანქანაზე გაკეთებულმა ნაწილამ - „ბატალიონი „ვოსტოკი“ და ჩაცმულობის კავკასიელებისათვის დამახასიათებელმა ელემენტებმა მიიპყრო. უკვე

26 მაისი იყო, როცა დონეცკში ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ უკრაინული მასმედის საშუალებებმა ცნობა გაავრცელეს, რომ მოწინააღმდეგებები მხარეს დაღუპულთა შორის ათობით ჩრდილოკავკასიელი აღმოჩნდა.

ბატალიონი „ვოსტოკი“ კი ჯერ კი-

დევ 2008 წელს დაიშალა, რუსულ-ქართული კონფლიქტის დასრულებიდან ძალიან მაღლევე. დონეცკში ამგვარნარნერიანი ჯავშანმანქანის გამოჩენას, უპირველეს ყოვლისა, ორი მიზეზი ჰქონდა. ჩეჩენების გამოჩენას ადგილობრივი ფორმირებებისათვის — საომარი სულისკვეთება, ხოლო ოფიციალური კიევისათვის შიში უნდა შთაენერგა. როგორც ჩანს, უფრო გრძელვადიანი გათვლაც იყო: უკრაინულ ქალაქში „ვოსტოკის“ შესვლას კიევში ჩეჩენეთის მიმართ მტრული განწყობა უნდა გაეღვივებინა, რათა ოდესმე, თუკი ჩეჩენეთი დამოუკიდებლობაზე განაცხადს ისევ გააკეთებდა, უკრაინაში მისი მხარდაჭერის სურვილი არავის გასჩენოდა. სიტუაცია ძალიან ჰგავდა იმას, რაც 90-იანების დასაწყისში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ხდებოდა. ჩეჩენები იმ ომში მოწინააღმდეგის ძალის უმნიშვნელო სეგმენტს შეადგენდნენ. მაგრამ რუსული მედიასაშუალებები ლამის მხოლოდ ჩეჩენებზე წერდნენ და ამით ჩეჩენეთის საქართველოსაგან იზოლაციის საფუძველს ამზადებდნენ.

იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი მმართველი ძალა თითქოს სულ სხვა განწყობების არსებობაში არწმუნებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, მოსკოვში ჯერ კიდევ არსებობს ჩეჩენეთის რუსეთისაგან შესაძლო გამოყოფის შიში.

ჩრდილოეთავასიელები რომ უკრაინაში გამოჩნდნენ, ამაში მათი ლიდერების დემონსტრაციულად ცენტრისკენული, პირფერული პოლიტიკაც თამაშობს როლს. ჩეჩენეთის ლიდერის, რამზან კადიროვის გავლენა კვლავ გასცდა რუსეთის საზღვრებს, ამჯერად დასავლეთის მიმართულებით.


23 მაისს კადიროვმა მისივე ინსტაგრამის მეშვეობით მოულოდნელად გააქეთა განცხადება, რომ „ლაიფუზის“ რუსი უკრნალისტების, ოლეგ სიდიაკინის და მარატ საიჩენევოს გასათავისუფლებლად დაწყებული საიდუმლო მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ეს უკრნა-

ლისტები უკრაინაში 18 მაისს დაკავეს. სიდიაკინი და საიჩენევო ტერორისტული აქტის მზადებაში იყვნენ ეჭვმიტანილები. ჩეჩენეთის მეთაური თავისი გამარჯვების შესახებ ვითომდა თავმდაბლად, მაგრამ მეტყველად წერდა: „უკრნალისტებისა და ჩეჩენეთის ყველა მკვიდრის სახელით, სიდიაკინისა და საიჩენევოს გადარჩენისთვის უზარმაზარი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ეროვნულ ლიდერს, ვლადიმირ პუტინს! მარატი და ოლეგი დილამდე გროზნოში დაისვენებენ, ხვალ კი მოსკოვში ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და კოლეგებს შეხვდებიან“. უკრაინის ხელისუფლებამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რუსი უკრნალისტების თაობაზე რაიმე სახის მოლაპარაკება შედგა, ან გამოსასყიდი იქნა გადახდილი, თუმცა ორი უკრნალისტის გათავისუფლებიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, როცა რუსული ტელეარხი HTB სერიოზულად აცხადებდა, თითქოს „ლაიფუზის“ უკრნალისტებისა და უკრაინელი სამხედრო ტყვეების ურთიერთგაცვლის საკითხზე ეგრეთ წოდებულ დონეცკის სახალხო რესპუბლიკასა და კიევის ხელისუფლებაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა.

საინტერესოა, რომ უკრაინის მოვლენებში ასეთი ხალისით „შექრას“ ჩრდილოეთ კავკასიის ვერც ერთი ლიდერი ვერ დაიკვეხნის. რუსეთის მიერ აღიარებული სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ამ პრობლემას. თუმცა არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, სამხრეთ ოსეთიდან გამგზავრებული თხუთმეტიოდე მოხალისე აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს. 19 მაისს ცხინვალის ყოფილი მერი, ალან კოტავი აცხადებდა, რომ მის მონიდებას უკრაინაში მოხალისეებად წასვლის თაობაზე 50-ზე მეტი ადამიანი გამოეხმაურა. ორგანიზატორებს იმედი ჰქონდათ, რომ მაისის ბოლომდე მათი რაოდენობა ასს მიაღწევდა და 1 ივნისისთვის დონეცკში ერთი ოსური რაზმი გაიგზავნებოდა. თუმცა 23

წოებერს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა მოულოდნელად გაღიზიანებული ტრინით მოითხოვა, შეწყვეტილიყო ამ საკითხის პოლიტიკური დივიდენდების დასაწერად გამოყენება. ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოს, „რეს“-ის ინფორმაციით, თიბილოვმა განაცხადა: „მსგავსი პოპულისტური მოწოდებები სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ვწესს, რადგან ეს შეიძლება უკრაინის შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობად იქნას შეფასებული“.

მაში, რაღატომ ცდილობს რამზან კადიროვი პუტინისთვის ლიიალობის ასე დამტკიცებას, ლეონიდ თიბილოვი კი აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მცოცავ რუსულ ინტერვენციაში მონაწილეობისგან თავს იკვებს? ერთ-ერთი აშკარა მიზეზი ისიცაა, რომ ჩეჩენი მეომრის „ბრენდი“ მსოფლიოში უფრო ცნობადია, ვიდრე ოსი მეომრისა. დონეცკში „ოსური წარწერებით“ ჯავშნიანი ტანკის გამოჩენა არაფრისმთქმელი ფაქტი იქნება. ანუ ოს მეომრებზე „მოთხოვაა“ აღმოსავლეთ უკრაინაში სიმბოლურად დაბალია. მეორე, ნაკლებად ცნობილი მიზეზი ისაა, რომ ჩეჩენეთის პრეზიდენტის პოლიტიკური ფიგურა მთლიანად კრემლის მთავარი ბინადრის თამაშს თამაშობს, მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დასავლეთის არაღიარების მიუხედავად, თეორიულად მაინც ინარჩუნებენ გარე სამყაროსთან გარკვეული ურთიერთობის შანსს. როგორც ჩანს, რაკი მოსკოვი არანაირ სარგებელს არ ელის უკრაინაში ოსი მებრძოლების გამოჩენით, ცხინვალი გადაწყვიტა, იგნორირება გაუკეთოს რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს, რომლისენაც ახლა მიმართულია დასავლეთის მთელი ყურადღება. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევს რუსულ-უკრაინულ დაპირისპირებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. რესპუბლიკას ეს რაიმე გამოკვეთილ სარგებელს არ მოუტანს, პრობლემების შემატება კი სავსებით მოსალოდნელია. ■



გთხოვ, ესპიციალისტი

ნინო ნატროშვილი

16 წლის წინ ესპანელ ადვოკატს, მარიო კოსტეხა გონისალესს ვალების გამო სახლი აუქციონზე გაუყიდეს. გარდა იმისა, რომ გონისალესმა სახლი ვეღარ დაიბრუნა, წლების შემდეგ Google-ს საძიებო სისტემაში ამ თემაზე დაწერილი სტატია საპატიო ადგილას, შედეგების პირველივე გვერდზე აღმოაჩინა. ადვოკატმა ჩათვალა, რომ ეს ფაქტი მის რეპუტაციას და კონფიდენციალურობის უფლებას ზიანს აყენებდა, სტატიას კი აქტუალობა უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა. გონისალესმა დასახმარებლად ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოს მიმართა.

გაზეთმა La Vanguardia-მ, რომლის საიტზეც ინფორმაცია იყო განთავსებული, მოთხოვნის მიუხედავად სტატია დატოვა, ამიტომ უწყებამ იმ ბმულების წარმატებას დასახმარებლად მომხმარებელი გაზიარდებულ გაზეთის ვებგვერდზე გადაჰყავდა, Google-ს სახოვა. ინტერნეტგიგანტმა სასამართლოში იჩივლა, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კი დავა ევროპის სასამართლოს გადასცა.

გონისალესის საქმეზე გადაწყვეტილება 13 მაისს გამოცხადდა და ის მოულოდნელი არა მარტო Google-სთვის, არამედ მთლიანად ევროპელი ინტერნეტმომხმარებლებისთვის აღმოჩნდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ევროპის სასამართლომ Google ოფიციალურად დაავალდებულა, ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნის საფუძველზე წაეშალა მის შესახებ არსებული საძიებო შედეგები, თუმცა მხოლოდ იმ შე-

მთხვევაში, თუ ამ ადამიანის აზრით, ბმულები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ან უბრალოდ მოძველებულ ინფორმაციას შეიცავდა.

ამ გადაწყვეტილებით თავად კონტენტი, ცხადია, არ იშლება და ხელმისაწვდომი რჩება, უბრალოდ ის საძიებო შედეგებიდან ქრება და მისი წახვის საშუალება იზღუდება. მოკლედ, მომხმარებლებს ვირტუალურ სივრცეში პირველად მიეცა „დავინწყების უფლება“. მართალია, მხოლოდ ევროპის ქვეყნებში, თუმცა მაინც ცალსახად ითქვა, რომ „დავინწყების უფლება“ ადამიანის პირადი მონაცემების დაცვის ნაწილია.

დადგენილების მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენაზე, უნდა ითქვას, რომ აქამდე საძიებო არქივების განმეოდის პრეცედენტი ინტერნეტგიგანტმა მხოლოდ ორჯერ დაუშვა და ორვეჯერ სასამართლოს გადაწყვეტილებით: პირველად

გერმანიაში მან იმ კონტენტზე გამსვლელი ბმულები დაბლოკა, რომელიც ფაშისტური პრინციპებისა და სიმბოლიკის პროპაგანდას შეიცავდა. მეორედ კი Youtube-დან იტალიური საქველმოქმედო ფონდის საჩივრის გამო ვიდეო ნაშალა. ვიდეოში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს თანატოლები დასცონდნენ. ფონდმა დაამტკიცა, რომ პორტალი ბავშვის პირად ცხოვრებას არღვევდა, თუმცა ეს მაინც მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო და არა რეგულარული მოთხოვნები კონტენტის ნაშლის შესახებ.

Google ყოველთვის ამბობდა, რომ ის უბრალოდ ინფორმაციის დისტრიბუტორია, მხოლოდ ბმულს წარადგენს და პასუხს იმ ვებგვერდის მფლობელი აგებს, რომელზეც ეს კონტენტია განთავსებული. ზუსტად ასე მოხდა წლების წინ გონისალესის თანამემამულის

პლატფორმი ქირურგის, ჰუგო რუსოს შემთხვევაშიც. ჰუგოს ერთ-ერთ პაციენტს, რომელმაც მკერდის კორექციის ოპერაცია გაიკეთა, გართულება დაწყო. ადგილობრივმა გაზეთმა ამ ინციდენტის შესახებ დაწერა და ექიმი არც თუ სასიამოვნო კონტექსტში მოიხსენა. მოგვიანებით ჰუგო სასამართლომ პაციენტთან დაკავშირებულ საქმეზე გაამართლა. წლები გავიდა, გაზეთიც არქივში დაიკარგა და ამ ამბავს არც არავინ გაიხსენებდა, რომ არა Google. საძიებო სისტემა ჰუგო რუსოს ჩანერისას მომხმარებელს პირველივე გვერდზე სწორედ ამ სტატიას სთავაზონდა, რაც, ბუნებრივა, არც ქირურგს და არც მის პოტენციურ კლიენტებს ნამდვილად არ მოსწონდათ.

ცხადია, რუსომ სტატიის ნაშლა მოინდომა. ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტომ მხარი მასაც დაუჭირა და კომპანიას არქივების განმენდა სთხოვა, მაგრამ ინტერნეტგიგანტი არ დათანხმდა. Google-მა განაცხადა, რომ სააგენტომ საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა. მოკლედ, მოგვიანებით ეს საქმეც სასამართლოში გაგრძელდა, თუმცა ბმული არ ნაშლილა და რუსოს შესახებ სტატიის ნაკითხვა ახლაც არის შესაძლებელი.

Google-მა ეკროპის სასამართლოს გადაწყვეტილება გონისალესის შემთხვევაშიც გააპროტესტა და მას ცენზურისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ერთგ შეიძლება აქციონერების შეკრებაზე აღნიშნა, რომ ეკროსასამართლო შეცდა, რადგან მისი დადგენილებით ადამიანების დავიწყების უფლებასა და ცოდნის უფლებას შორის არსებული ბალანსი დაირღვა. ინტერნეტგიგანტის ერთ-ერთმა დამფუძნებლმა ლარი პეივმა კი განაცხადა, რომ გადაწყვეტილებამ შესაძლოა ინტერნეტზე კონტროლის გასაძლიერებლად დამატებითი შესაძლებლები, ინვაციებისთვის კი, პირიქით, საფრთხეები შექმნას. Google-ს დამფუძნებელი მიზნევს, რომ ეკროპის სასამართლოს დადგენილება შესაძლოა ნებატიური მიზნებისთვის ავტორიტარულმა მთავრობებმაც გამოიყენონ.

მიუხედავად ამისა, ინტერნეტგიგანტი გადაწყვეტილებას მაინც ასრულებს. 30 მაისს Google-ს ახალი სერვისი დაემატა: გამოჩენდა ონლაინფორმა, რომლის დახმარებითაც კომპანიაში არასასურველი ბმულების ნაშლის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა შესაძლებელი. support.google.com-ზე აუცილებელია საკუთარი ვინაობის, ქვეყნის, ელექტრონული ფოსტის შისამართის, ნასამლელი ბმულების და მოთხოვნის მიზეზების მითითება. სერვისით ბოროტად სარგებლობის გამოსარიცხად, კომპანია განმცხადებლის პირადობის მოწმობას ან პასპორტს ითხოვს.

Google არ აკონკრეტებს მოთხოვნის ნარდგენიდან რამდენ ხანში იშლება ბმულები და რა დრო სჭირდება ერთი მოთხოვნის დამუშავებას, თუმცა ცნობილია, რომ მომხმარებლები განაცხადის განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინებას მიიღებენ. უცნობია ისიც, რა კრიტერიუმებით გადაწყვეტს კომპანია საძიებო შედეგების ნაშლის მიზანშენონილობას, თუმცა მისი ნარმომადგენლები აცხადებენ, რომ თითოეულ მოთხოვნას ინდივიდუალურად განიხილავენ და შეეცდებიან მომხმარებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად საზოგადოების ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებაც დაიცვან.

„დავიწყების უფლების“ არაკეთილ-სინდისიერად გამოყენების საფრთხე მართლაც არსებობს, ამიტომ Google-მა გადაწყვიტა, ყველა განაცხადი არა პროგრამამ, არამედ ადამიანებმა და-ამუშაონ და მათ შეაფასონ, არის თუ არა ინფორმაცია მნიშვნელოვანი და რა არის მისი ნაშლის მოთხოვნის ნამდგოლი მოტივი. იმ მომხმარებლებს კი, რომლებიც განაცხადზე უარს მიიღებენ, შეუძლიათ Google-ის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრონ. კომპანია საბოლოო პროცედურებზე მუშაობას და მათ დახვენას კვლავაც აგრძელებს. ის მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს მონაცემთა დაცვის ორგანოებთანაც. სხვათა შორის, მარეგულირებლებიც მიიჩნევთ, რომ თითოეულ ბმულს აუცილებლად უნდა დაერთოს განმარ-

ტეპა მისი ნაშლის მიზანშენონილობის შესახებ.

მოკლედ, ამ ცლილებისთვის Google-ც მოუმზადებელი აღმოჩნდა და თავად ევროპაც. ივნისში მარეგულირებელი ორგანოები კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან და იმსჯელებენ, თუ სად გადის ზღვარი პირადი მონაცემების შემცველ საძიებო მოთხოვნებსა და იმ მოთხოვნებს შორის, რომელთა ცოდნის უფლებაც საზოგადოებას ნამდვილად აქვს. გერმანიის ხელისუფლება კი უკვე ახალ ინციატივაზე ფიქრობს, რომელიც სპეციალური კიბერსასამართლოების შექმნას გულიხმობს. კიბერსასამართლოებმა სწორედ ტექნოლოგიურ კომპანიებსა და მოქალაქეებს შორის პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საქმები უნდა განიხილონ. გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაჩინა, რომ საძიებო სისტემასა და მომხმარებლებს შორის შესაძლო დავები მხოლოდ ინტერნეტგიგანტის ალგორითმის იმედად არ უნდა დარჩეს, ვინაიდან შესაძლოა ადამიანებმა იმ ინფორმაციის ნაშლაც მოინდომონ, რომელიც საზოგადოებისთვის ძალიან სანტერესოა.

ორგანიზაციის „რეპორტიორი საზღვრებს გარეშე“ გერმანული განყოფილების ხელმძღვანელი კრისტიან მირი მიიჩნევს, რომ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა წევატიური გავლენა იქონის სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე: „პირადი ინფორმაციის დაცვამ არ უნდა მიგიყვანოს საზოგადოების ინტერესების უფლებელყოფამდე. საძიებო შედეგების ნაშლამ ხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს“, – აღნიშნავს ის.

საბოლოო ჯამში, ყველაზე კმაყოფილი მომხმარებელი რჩება, რომელთა გამოხმაურება და აქტივობა ძალიან მაღალია. სასამართლოს დადგენილების გამოყანიდან პირველივე დღეს Googles ბმულების ნაშლის მოთხოვნით 12 000-მა ადამიანმა მიმართა. კომპანიაში იმდევნები ბევრ განაცხადს იღებენ, რომ დამუშავებას უბრალოდ ვერ ასწრებენ. „ციფრული მოგონებების“ ნაშლა უამრავი ინტერნეტმომხმარებლის სურვილია. 



იოსებ გრიშაშვილი

ლია ბახათვაში იოსებ გეიგაშვილის ხოლოსიერი

ერთი ჩვეულებრივი ობოლი ბიჭი, თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში დაბადებული და გაზრდილი, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, თამამი ადამიანი, რომელმაც თავად გამოჭედა საკუთარი ბედი. ისტორიაში შევიდა, როგორც შესანიშნავი პოეტი, თბილისზე უბადლოდ შეყვარებული ადამიანი. ასეთად იცნობს იოსებ გრიშაშვილს ქართველების უმეტესობა. ასეთად ვიცნობდი მას მეც, სანამ პირველად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში მივიღოდი, რომელსაც იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი ჰქვია.

ამ უნიკალურ სახლში სულ სხვა ადამიანმა მიმასპინძლა. მე ის ხელახლა გავიცანი. ეს იყო ერთი შეხედვით ბოჭემური ცხოვრების მიდევარი და მოტრფიალე ადამიანი, თუმცა ამ საფარქვეშ თავისი ტკივილითა და სიხარულით, თავდადებითა და თავდაუზოგავი შრომით დატვირთული პიროვნება იმალებოდა, რომელმაც მარტომ კოლოსალური სამუშაო შეასრულა და შთამომავლობას თბილისის ისტორიისა და ყოფის განუმეორებელი სურათები შემოუნახა. ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე თავისი ქვეყნის, ქალაქის სიყვარულში გაატარა.

ეს სახლი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ გრიშაშვილის მიერ პირადად შეგროვილი წიგნების ბიბლიოთეკა – 40000 წიგნი – ინახებოდა, დღეს უამრავ წივთს იტევს. აქ ინახება თბილისური ყოფის ამსახველი წიგნების კოლექცია, ჰამქრის ხელოსანთა იარაღები; მუსიკალური საკავების, მინიატურული წიგნების, თეატრალური აღიშებისა და პროგრამების, მუსიკალური ნაწარმოებების წოტების, ფირფიტების, სახელვან მოღვაწეთა პორტრეტების, თბილისის უნიკალური ხედების, საფოსტო ბარათების უზარმაზარი კოლექციები. გამორჩეულად შევჩერდები ბიბლიოთეკაზე. ცალკე კოლექციად შეიძლება განვიხილოთ ქართველ მწერალთა ავტოგრაფები, რომლებიც მათ გრიშაშვილისათვის ნაჩუქარ წიგნებზე აქვთ გაკეთებული, აქ ინახება მწერალთა და პოეტთა არქივები. ბიბლიოთეკაში ისეთი უნიკალური წიგნებია შემონახული, რომლებსაც საქართველოში ვერსად ნახავთ და რომელთა ორი შეკვრა ორ აბაზად ყოველდღიურად მოჰქონდა იოსებს. ასე გადაარჩინა უამრავი იშვიათი წიგნი განადგურებას და, ზოგ შემთხვევაში, საერთოდ გაქრობასაც მისმა თავდადებულმა შრომამ და თანამედროვეთაობის უცნაურმა ჩვევამ – დასტა-დასტა შეეძინა წიგნები.

ათვალიერებ ბიბლიოთეკა-მუზეუმს და ხვდები, რომ კოლექციონერობა ამ კაცის ახირება კი არ იყო, მას უბრალოდ სხვანაირად არ შეეძლო, რადგან თავად იყო მის სახლში თავმოყრილი წივთების სული, ყველა წივთში მისივე ყოფა იყო გადმოცემული, თვითონ იყო თბილისის გული და ყოველდღიურობა, პირადად იცნობდა ხელოსნებს, მუსიკოსებს, რიგით მოქალაქეებს და მათი ცხოვრებით ცხოვრობდა. სწორედ ამითა გრიშაშვილი უნიკალური პიროვნება, სწორედ ამიტომაა, რომ საფოსტო ბარათების უმეტესობაზეც კი იოსების ხელითაა მიწერილი კინტოების, მუსიკოსების, ხელოსნების სახელები...

125 წელი გავიდა ამ იშვიათი ადამიანის დაბადებიდან და რაც დრო გადის მისი შემოქმედება და მისი კოლექციები უფრო მეტ ღირებულებას იძენენ. დღეს წარმოგიდენთ რამდენიმე საფოსტო ბარათს იოსებ გრიშაშვილის კოლექციიდან. ☐

ნინო პავლიაშვილი

Кавказские типы.—Types de Caucase. № 21.



ტუპური ორთვლიანი კაცებასიური/ქართული ურემი (საქართველოში ოთხთვლიანი ურემი არ გვხდება), ტრადიციული გამწვევი ძალა – კამეჩი. იმდენად ტრადიციული, რომ დღევანდელ ქიზის უნინ „კამბეჩოვანს“ ეძახდნენ, ხოლო დაწული „ჯინი“ გამოიყენებოდა მოსავლის, ძირითადად ყურძნის გადასატანად.

Кавказъ. Сортировка Ковровъ - Caucase. Triage de tapis.



ხალიჩების დახარისხება

ხალიჩებით ვაჭრობა კავკასიაში ვაჭრობის გავრცელებული ფორმა იყო. აქ ხსირად ჩამონილოდნენ ევროპელი ვაჭრები კავკასიურ და სპარსულ ხალიჩების შესაძლებად და ევროპაში გასატანად. ფოტოზე სავარაუდოდ ბაქეს ხალიჩების ბაზარია აღტყუდილი. ამაზე მეტყველებს ადგილობრივი, სპარს და აღმოსავლური არქიტექტურა.

Батумь. Рыбаки на набережной.
Pêcheurs au bord de la mer.



მაპალიანი. ლაზი მეტევზები.

ლაზეთში მაღალი ხეები იზრდება. ამან განაპირობა ლაზეთში ხის დამუშავების განვითარება. ლაზები განთქმული მენავეები იყვნენ. ფოტოზე, მარცხნივ, ლაზური ტიპის ნავი ჩანს.

Кавказские Типы - Свадьба горских евреев в Кубе
Types du Caucase - Noce des montagnards Juifs à Kouba.

352



ყუბელი ებრაელები. ქალაქი ყუბა აზერბაიჯანში მდებარეობს, მთის ებრაელები დალესტანში მცხოვრები ეთნოჯგუფია, რომელსაც კავკასიურ კულტურასთან ბევრი საერთო აქვს. ისინი სარწმუნოებით იუდაიზმის მიმდევრები არიან.

ფოტოზე ყუბელი ებრაელების ქორნილის ეპიზოდია ნაჩვენები.



მკალავი მექანის სახელოსნო და მეწალე.
ქალაქებში ხელოსნები ხელობა-საქმიანობის მიხედვით ამქრებად ერთიანდებოდნენ. ამქარს თავისი წესდება ჰქონდა. მას სათავეში უსტაბაში ედგა.

Типы Кавказа. Уличный продавецъ ковровъ.
Types du Caucase. Vendeur de tapis de la rue.



ხალინების გამოყიდველი, წერილი ვაჭარი. მას არ აქვს დახლი, ქუჩა-ქუჩა დადის და ისე ყიდის საქონელს. თბილიშვილი, როგორც წესი, სომხები და ეპრაელები ვაჭრობდნენ. ფოტოზე ნარმოდგენილი ვაჭარი, სავარაუდოდ, ეპრაელია.



მაკარონის წარმოება სომხეთში. ფოტოზე ჩანს სომხეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ქალები (სომხები, აზერბაიჯანლები, ქურთები, რუსები) მაკარონის წარმოებას ქალები მისდევდნენ. ფოტოზე ნაჩვენებია წარმოების პროცესი.



ფეხსაცმლის მწენდავი სოხუმში.



ფარდავის ქაოვა.


ფარდავის ქაოვა შინამრეწველობის ძირითადი დარგი იყო. როდესაც ხალიჩა/ფარდავი იქსოვებოდა, ხშირად მეზობლები შეგროვებოდნენ და საქმეში ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ხან ღამესაც ათენებდნენ, საუბრობდნენ, ჭორაობდნენ. ეს თავ-შეერთის ერთ-ერთი ფორმა იყო. პერიოდულად ამ საქმიანობაში გოგონებსაც იხმარებდნენ და თან ასწავლიდნენ.



№ 23 Кавказъ.
Caucase.

Гагры — Набережная.
Gagry — Le quai.

ევროპული ჩაცმული ქალაქები გაგრის სანაპიროზე, და მეფის რუსეთის ნარმომდგენელი ოფიცერი. 20-ე საუკუნის დასაწყისი.



პუნქტი ჯათის პატიაზი ნიბი

ნიგნი რომ ადამიანს ჰეგავს, ნაკითხი ხალხი ხართ და ცხადად მოგეხსენებათ. ადამიანივით იბადება, ვთქვათ პათეტიკურად: ტკივილით იბადება. ცოცხლობს. ხან კვდება, ხანაც არა - გააჩნია ვინ არის მისი დემიურგი. ნიგნებს წვავენ. აუპატიურებენ. ხანდახან ავტორიც კი. ეს სხვა ამბავია და სხვაგან თავმისაქცევი. ისევ მოვიდეთ პირველ სიტყვასა ზედა.

გიორგი კეკელიძე

მოკლედ, ნიგნი ჩვენი ბედისაა და რა გასაკვირია, რომ ხანდახან აპატიმრებენ კიდეც. აგერ, არც თუ დიდი ხნის ნინ, მეხსიერებაგასაწვდენ ნარსულში, საქართველოში ნიგნის ციხეც არსებობდა: ნიგნის პალატაში სპეციალური ფონდის ოთახი იყო, სადაც, ვთქვათ რობაქიძისა და ჯავახიშვილის ნაწარმოებები იხდიდნენ სასჯელს - გაურკვეველი ვადით. საბჭოთა საქართველო ცენზურას არ უჩიოდა. მიხეილის კრებული, სახელად „პატარა დედაკაცი“ 1926 წელს გამოსცეს და მწერლის დატუსალებისთანავე დაპატიმრეს. კარგად შემონა-

ხულია ბეჭედი ნარწერით „Не выдаётся“. და ათობით მისი და-ძმა ამგვარი დამლით. ზოგი ციხეს გადაურჩა, მაგრამ ცენზორის შავ მელანს ვერა - არაერთ გამოცემაში რეპრესირებული ადამიანების გვარები ან არასასურველი ადგილები საგულდა-გულოდაა გადახაზული. მეფის რუსეთის ცენზურა საბჭოთა მთავლიტმა ჩაანცვლა, გაცილებით სასტიკმა და ცბიერმა ათას-თვალა მონსტრმა. არათუ ადრეულ მძვინვარე საბჭოთში, არამედ მოგვიანებითაც კი გამოდიოდა „შეერთებული კატალოგი იმ ნიგნებისა, რომელიც უნდა ამოღებულიყო“

ბიბლიოთეკებიდან და წიგნით ვაჭრობის ქსელიდან” (1973 წელი). კარგი იქნება ბრძანების ფორმასაც გავეცნოთ, მაგალითად, 1976 წელს ვინმე ტ. ხინობიძემ რომ დაწერა: „ამოღებულ იქნას საერთო სარგებლობის ბიბლიოთეკებიდან და წიგნით სავაჭრო ქსელიდან ნ.ი. ჭეიშვილის წიგნი „ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში“. ქ. ბათუმი. სახელმწიფო გამომცემლობა. 126გვ. 5000 ეგზ. ქართულ ენაზე“.

თუმცა წიგნის დევნა საქართველომ ბოლშევების შემოსვლამდეც გამოცადა. ვეფხისტყაოსნის ნინაალმდეგობრივი საგადალეკ სტატიად ღირს. გავიხსენოთ პლატონ იოსელიანი, წიგნი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

„კათოლიკოზ ანტონის პირველსა, რომელსაც არა ჰსცნალობდა სიყრმიდეანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შექულებულსა, მოიხსენებდა არა კეთილად, რადგან ვერ ჰსცნო ღირსება შოთასი, რადგან დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისვე დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მაგრებელი მკითხველთათვის, მოწამვლველი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა“. სამართლიანობისთვის აღვნიშნოთ, რომ ყველაზე დიდი ქართული წიგნი სამღვდელოების ნაწილმა გადაარჩინა, წერა-კითხვა ხომ ამ კლასის გარდა იშვიათად თუ იცოდა ვინმებმ.


მაგრამ ახლა სულ სხვა, ნაკლებად ცნობილ ამბავზე მოგითხრობთ. ბიბლიოთეკაში, იშვიათ გამოცემათა საცავში ასეთი წიგნი ინახება: ამილახვარი, ა.დ. История георгианская о юноше князе Амилахорове. - СПб., 1779. ხოლო მისი ამბავი ამგვარად წარიმართა: რუსულად უკვე მოგახსენეთ და ქართულად გეტყვით, ასეც მოხდა და 1779 წელს პეტერბუგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა „გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე“. რუსეთში ყოფნისას დაწერილ პოლიტიკურ პამტლეტში ალექსანდრე ამილახვარი მოვითხოობს საკუთარ თავგადასავალს, ახასიათებს XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობასა და სახელმწიფო წყობილებას, უარყოფითად ახასიათებს ერებულებულ მოთელ მოღვაწეობას. თხზულება განსაკუთრებით საინტერესოა ქართველი თავადის პოლიტიკური შეხედულებების დასახასიათებლად – რიგ ეპიზოდებში ის

ერთგვარ ანარქისტედაც კი გვევლინება. ავტორი დიდად კრიტიკულად მსჯელობს და მალევე შეატყობით, რომ ის სავსეა სიძულვილით შეუზღუდველი თვითმპურობელი მმართველობის მიმართ. ალექსანდრე ამილახვარი XVIII საუკუნის მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ – ერებულებულ მონარქია 1765 წელს მონცყობილი შეთქმულების აქტიური წევრი. პაატა ბატონიშვილის მხარეს იბრძოდა, რისთვისაც სასტიკად დასაჯეს. ისე, როგორც იმ დროის წესი იყო – ცხვირი მოაჭრეს და ფეხის ძარღვი გადაუტრეს. რაღაც მანქანებით თუ ვიდაცის „გაქანებით“ – 1771 წელს მან პატიმრობას თავი დააღნია და რუსეთში გადაიხვენა. იქ, ერებულეს მუდმივი მოწინააღმდეგე, ტახტის პრეტენდენტს ალექსანდრე ბაქარის ძეს დაუკავშირდა. მაგრამ იღბალს ვერც ამ ნაბიჯში დავწამებთ ჩვენს ავტორს – 1783 წელს ალექსანდრე ამილახვარი ერებულეს თხოვნით დააპატიმრეს რუსეთში და ვიბორგის ციხის გზას გაუყენეს. წიგნმა დამწერის ბედი გაიზიარა – 1779 წლის გამოცემა აიკრძალა. 1801 წელს გაათავისუფლეს და საქართველოსევენ მომავალი ამილახვარი გზად, ასტრახანთან გარდაიცვალა. „გეორგიანული ისტორია“ ეძღვნება გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს, რუს სახელმწიფო მოღვაწეს, ეკატერინე II-ის ფავორიტს. ტექსტი ქართულიდან რუსულად თარგმნა და რედაქტირება გაუკეთა რუსეთში მოღვაწე ქართველმა მწერალმა, მთარგმნელმა, დიპლომატმა სიმონ იგორის ძე ეგნატაშვილმა (იგნატიევმა). იშვიათ გამოცემათა განცყოფილებაში დაცული ამ გამოცემის ორივე ეგზემპლარი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ერთი მათგანი ეკუთხნოდა ცნობილ რუს წიგნმოვაჭრე, გამომცემელსა და საზოგადო მოღვაწეს, ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინს, რაზეც ფორზაცზე დაკრული შრიფტული ექსლიბრისი მიუთითებს. მეორე ეგზემპლარი კი ივანე მიხეილის ძე სარქისოვ-სერაზინის კუთვნილი წიგნია, ნაჩუქრობის წარწერით. გერონტი ქიქოძისეული თარგმანი 1939 წლის „მნათობის“ მე-8 ნომერშია დაიბეჭდა. მნიშვნელოვანი წიგნი მარტო ტექსტის სიდიადეს ან სიძველეს როდი გულისხმობს. ხშირად ისტორია არანაკლებ მნიშნლოვანია. ჩვენც ამიერიდან წიგნების ისტორიების ისტორიებს შემოგთავაზებთ. ბიბლიოთეკიდან, ჩემი ამჟამინდელი სამუშაოდან. ■

■ წიგნის დევნა საქართველომ ბოლშევიკების შემოსვლამდეც გამოცადა. ვეფხისტყაოსნის ნინაალმდეგობრივი საგაცალკე სტატიად ლირს. გავიხსენოთ პლატონ იოსელიანი, წიგნი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ „კათოლიკოზ ანტონის პირველისა, რომელსაც არა ჰსცნალობდა სიყრ- მიღვანე, ვითარცა კაცისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, მოიხსენებდა არა კეთილად, რაღაც მან პატიმრობას თავი დააღნია და რუსეთში გადაიხვენა. იქ, ერებულეს მუდმივი მოწინააღმდეგე, ტახტის პრეტენდენტს ალექსანდრე ბაქარის ძეს დაუკავშირდა. მაგრამ იღბალს ვერც ამ ნაბიჯში დავწამებთ ჩვენს ავტორს – 1783 წელს ალექსანდრე ამილახვარი ერებულეს თხოვნით დააპატიმრეს რუსეთში და ვიბორგის ციხის გზას გაუყენეს. წიგნმა დამწერის ბედი გაიზიარა – 1779 წლის გამოცემა აიკრძალა. 1801 წელს გაათავისუფლეს და საქართველოსევენ მომავალი ამილახვარი გზად, ასტრახანთან გარდაიცვალა. „გეორგიანული ისტორია“ ეძღვნება გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს, რუს სახელმწიფო მოღვაწეს, ეკატერინე II-ის ფავორიტს. ტექსტი ქართულიდან რუსულად თარგმნა და რედაქტირება გაუკეთა რუსეთში მოღვაწე ქართველმა მწერალმა, მთარგმნელმა, დიპლომატმა სიმონ იგორის ძე ეგნატაშვილმა (იგნატიევმა). იშვიათ გამოცემათა განცყოფილებაში დაცული ამ გამოცემის ორივე ეგზემპლარი დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ერთი მათგანი ეკუთხნოდა ცნობილ რუს წიგნმოვაჭრე, გამომცემელსა და საზოგადო მოღვაწეს, ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინს, რაზეც ფორზაცზე დაკრული შრიფტული ექსლიბრისი მიუთითებს. მეორე ეგზემპლარი კი ივანე მიხეილის ძე სარქისოვ-სერაზინის კუთვნილი წიგნია, ნაჩუქრობის წარწერით. გერონტი ქიქოძისეული თარგმანი 1939 წლის „მნათობის“ მე-8 ნომერშია დაიბეჭდა. მნიშვნელოვანი წიგნი მარტო ტექსტის სიდიადეს ან სიძველეს როდი გულისხმობს. ხშირად ისტორია არანაკლებ მნიშნლოვანია. ჩვენც ამიერიდან წიგნების ისტორიების ისტორიებს შემოგთავაზებთ. ბიბლიოთეკიდან, ჩემი ამჟამინდელი სამუშაოდან. ■

ცეკვის თაყაიშვილი 150

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. წარმოდგენილი ექსპონატები იმ საგანძურის ნაწილია, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოში დაპრუნა.



საკოსი საუფლო დღესასწაულების სცენებით.
ხავერდი, აბრეძუმი, ოქრომკედა,
ვერცხლმკედი, ზეზი, ძვირფასი ქვები, ოქრო,
ვერცხლი ნამაგრი სითვა.
დასაკლეთ საქართველო. XVIII საუკუნე.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის მულავა
ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების
მუზეუმი.



ხმალი „შამშირი“ ქარქაშით.
ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის
კუთვნილი
გადმოცემით ნადირ-შაპის ნაჩექარი
ბეჭატი, ძვალი, ხე, ტყავი, ოქრო
XVIII საუკუნე, სპარსითი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმი.



თასი
თრიალეთი, ძვ. ნ. II ათასწლეულის
პირველი ნახევარი.
ოქრო, ღვავერდი, სარდიონი,
გაშერი, ქარვა.
საქართველოს ეროვნული
მუზეუმის სიმონ ჯანაშიას
სახელობის საქართველოს
მუზეუმი.



თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი.

ოქრო, ლალი, ზურმუხტი, მარგალიტი.

ხობი. XII საუკუმის ბოლო, XIII საუკუნის დასაწყისი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანშვილის სახელობის
ხელოვნების მუზეუმი.



სასაფეოსტელები.

ახალგორის განძი, ძვ. ნ. IV საუკუნე.

ოქრო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას
სახელობის საქართველოს მუზეუმი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და უკრნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.





ფოტო: გიორგი გოგიაშვილი

„სერენადა“

3ხალათი მასინას, 3ხსმანთ ბალეტს

ჯორჯ ბალანჩინის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისის საკონცერტო დარბაზში არტისტულად ორიგინალური და პოლიტიკურად დაბალანსებული აღმოჩნდა.

დავით ბუხრიკიძე

შეიძლება ათასგვარი ახსნა მოუძებნო ჯორჯ ბალანჩინის დღემდე მოუხელთებელ, სრულყოფილ ქორეოგრაფიას. ისევე როგორც, მრავალი ვერსია შეიძლება განვიხილოთ, თუ რამ შეყარა ერთად თბილისის საკონცერტო დარბაზში, დიდი ხელოვანის 110 წლის იუბილეზე მოყმე და მხცოვანი, წითლები და ლურჯები, დიპლომატები და არტისტები, მემარცხენეები და მემარჯვენეები, „ნაცეპი“ და „ქოცეპი“, საბალეტო სკოლის ნორჩები და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინის-

ტრი და პარლამენტის თავმჯდომარე. აღარაფერს ვამბობ ურიცხ დიპლომატებზე, ელჩებზე თუ პოლიტიკოსებზე, რომლებიც 26 მაისის წინ ერთგვარ „არტისტულ მოთელვას“ გადიოდნენ თბილისის საკონცერტო დარბაზში.

ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება (წინასგან განსხვავებით) მაინცდამაინც არ არის შემჩნეული ბალეტის სიყვარულში. მაგალითად, წინო ანანიაშვილი, რომელიც ბალანჩინის საიუბილეო საღამოს ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მხარდამჭერი

ყოფ, შეკრებილ-შეთხელებული „ნაციონალუბისთვის“ მარტო კლასიკურ ცეკვასათან არ ასოცირდება. უცვეთელი კლასიკური პა-დე-დე-ების მიღმა სახელოვანი პრიმას მუზელე, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ნიკოლოზ ვაშაძე და პრეზიდენტი მიხეილ სააკამპილიც უცილოდ მოიაზრებიან; პლუს გამჭვირვალე და სათუთი ნათელ-მირონი. აღარაფერს ვამბობთ ერთ დროს მთელი ქვეყნის მიუზიკოლად გადაქცევის მცდელობაზე. თუნდაც ამბიციური პროექტები „ქეთო და კოტე“ და „ვერის უბნის მელოდიები“ რად ღირს.

ბალანჩინის მოკრძალებული რენესანსის ხანა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სწორედ ნინო ანანიაშვილის მოსკოვიდან თბილისში გადმოსვლას და მის საბალეტო დასის ხელმძღვანელად დანიშვნას უკავშირდება. საბალეტო დასის რეპერტუარში გმირნიდა ბალანჩინის ცნობილი ბალეტები: „სერენადა“, „აპოლონ მუსაგეტი“, „სიმფონიური ვესტერნი“, „მოცარტიანა“, „დონიცეტი ვარიაციები“, „ჩაკონა“, „საბალეტო მინიატურები“... უახლოეს მომავალში კი მათ დაემატება კიდევ ერთი ნეოკლასიკური შედევრი Concerto Barocco.

შთაგონების წყაროდ ბალანჩინისათვის ბახის კონცერტი ორი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის იქცა. „ნიუ-იორკ სითბალეში“ ის 1941 წელს დაიდგა და თითქმის 60 წლის შემდეგ Concerto Barocco თითქმის პირველებინილი სახით, პირველად იხილა ჩვენმა მაყურებელმა. ბალანჩინის საუბილეო საღამო კი კარგი მიზეზი აღმოჩნდა ძალიან დაგვიანებული პრემიერის თვის. წარმოდგენაში თბილისის ოპერისადა ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები - ეკა სურმავა, დავით ანანელი, ნუც ჩეკურიშვილი მონანილეობენ.

ବାଲାନ୍ଧିନୀର ବେଗୁଳାଶୁଙ୍ଗର ବାଲ୍ଯୁତ୍କେବିଲେ
ଖେଳି, ପିରଙ୍ଗେଲ ରିଗମୀ, ଗେମର୍ଭିରିଯୁଲ ଫନ୍ଟର-
ମାସ, ଇଦ୍ବାଲୁଗ୍ର ସିନ୍ଜରନ୍ବିନ୍ଦା ଏବଂ ଶେରଶୁଲ୍ଗବିନ୍ଦା
ଶ୍ରୀଲ୍ୟପ୍ରକାଶବାଦୀ ଏମ୍ବାର୍କେବା, ଟ୍ୱୁମିଚା ଅମଜେ-
ରାଫ „ମିଟ୍ରେର ଡି“, ସାପ୍ତାର୍କେଲ୍ଲ ହାଇକ୍ରୋକ୍‌ଵିନ୍ଦା
ଏବଂ ନଗନା ଶତ୍ରାଗିନ୍ଦିକ୍‌ବିନ୍ଦାଙ୍କ ଗାନ୍ଦିଶ୍ଵରାଜ୍ୟବିନ୍ଦା,
ଶତାଗର୍ବନ୍ଦବାଦା ଏବଂ ତ୍ୱାନ୍ତିରାଶିବା ଦାବିର ଶାନ୍ତିବିନ୍ଦା
ଫୁନ୍ଦିବା, ମିଳ ଲ୍ୱତାର୍କରିଓ ରାତ୍ରିନବାଲିଥିମ୍ ଏବଂ
ଜ୍ଵଳିମୁଖ ମାଶପ୍ରକାଶବା ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦର୍ଶବା
ଅତିବିନ୍ଦା ନାରମନ୍ଦିରବିନ୍ଦା ଶେମଦ୍ରେଷ ଦାଲାନ୍ଧିନୀବିନ୍ଦା
ପାରାଦରଙ୍ଗିବା, ରମି „ଉପାକା କାଲ୍‌ପାରି ତ୍ୱରଣ-
ମେନ୍ଦିବା“, ସାଫଲାତ ଶ୍ରିନିବାରଦେବା, ମିଳଶ୍ଵରାଜା
ତକ୍ଷେଣ ତଥାଲନ୍ତିନ ଉପାକା ଶ୍ରଦ୍ଧାଲୁନ୍ଦ କି ଅର-



„Concerto Barocco“

იქმნება, არამედ იქსოვება. ხელნაკეთის განახლება ბალანჩინის დასის მოცეკვავემ და მოგვიანებით მისმა ასისტენტ-ქორეოგრაფ-მა ბარტ კუკმა სცადა, რომელიც დღეს ბალანჩინის ფონდს განაგებს. სწორედ პარტკუკის სახელს უკავშირდება „სერენადის“, „აპოლონ მუსაგეტის“, „ჩაკონასა“ თუ „მოცარტიანას“ აღდგენა-განახლება.

„ჰენდ მეიდის“ უშუალობა, სურნელი და
სიცხადე ბადებს ცეკვის შეგრძებას და
ამავე დროს, გაზიარებთ ბალანჩინის გან-
საცვიფრებელ, პოეტურ გეომეტრიასთან.
ვინ აღარ სცადა მოგვიანებით ამგვარი
კონფიგურაციით ცეკვის „ქსოვა“. მორის
ბეჭარს „თეთრი ბალეტი“ გაცილებით სტე-
რილური, მშრალი გამოყვიდა. კილიანს ზე-
დმეტად ჩახლართულ-ირონიული, ტრიშა-
ბრაუნს გაჯანება და ფანტაზია ნამდვილად
ეყო, მაგრამ ძირითად მაგისტრალს ასცდა
და სადღაც ლამაზად გადაიჩეხა. ალბათ
უნიტერეს ქორეოგრაფის, დომინიკ ბა-
გუს, ფრანგული ქორეოგრაფიის „პატარა
პრინცს“, შეეძლო ბალანჩინის სინატიფე
და სიმეტრია ახალ საფეხურზე აეყვანა
მაგრამ ის სრულიად ახალგაზრდა გარდაი-
(კვალა...)

ზმანებით დაბურული Barocco კონცერტის. მეორე ნაწილში ვიხილეთ. მანამდე კი იყო ჩაიკოვსკის „სერენადა“, რომელიც ბალეტომანთა მეხსიერებაში ბალანჩინისახელს უკავშირდება. პეტრე ჩაიკოვსკის მრავალჯერ შესრულებულ მუსიკაში ძნე

■ ბალანჩინის ნეოკლასიკური ბალეტების სიკუური ბალეტების ხიბლი პირველ რიგში, გეომეტრიულ ფორმას, იდეალურ სინქრონსა და შესრულების სრულყოფილებას ემყარება. თუმცა ამჯერად „მიტერ ბი“, საყვარელი ჩაიკოვსკის ან იგორ სტრავინსკის-გან განსხვავებით, შთაგონებასა და ფანტაზიას ბახის პოლიფონიას, მის ღვთაებრივ რაციონალიზმს და კოსმიურ მასშტაბს. ამ ნახევარსათათიანი წარმოდგენის შემდეგ ბალანჩინის პარადოქსი, რომ „ცეკვა ქალური თონიმიზა“ საოთავა



ფოტო: ბერები ჩატურიშვილი

■ „სერენადაში“ მოძრაობა მთლიანი და დაუნაწევრებელია. ეს თავის დროზე შოკის მომგვრელი სიახლე იყო („სერენადა“ ბალანჩინა 30-იან წლებში დადგა, როცა დიაგილევის სიკვდილის შემდეგ ევროპიდან საბოლოოდ გადავიდა ამერიკაში), რაც კლასიკურ შტამპებს მიჩვეულმა მაყურებელმა ძნელად მიიღო.

ლია რამე ახალი და ცინცხალი იპოვო, თუმცა დირიჟორმა დავით მუჯერიამ საკონცერტო დარბაზის საშინელი აკუსტიკის პირობებშიც ორკესტრს რაღაც სული და ძალა შთაბერა.

ბალანჩინი თავის დღიურებში აღნიშნავს: „ჩაიკოვსკის სიმებიან „სერენადაში“ ღამით აუდერებული მუსიკა მომესმა და მაშინვე მომინდა შემექემნა ღამის ქორეოგრაფიული ანალოგი. ბალეტის პერსონაჟები ღამდამობით ფანტასტიკურ მეჯლისში ერთვებიან და ეს არის ცეკვა მთვარესთან ერთად“.

„სერენადაში“ მოძრაობა მთლიანი და დაუნაწევრებელია. ეს თავის დროზე შოკის მომგვრელი სიახლე იყო („სერენადა“ ბალანჩინა 30-იან წლებში დადგა, როცა დიაგილევის სიკვდილის შემდეგ ევროპიდან საბოლოოდ გადავიდა ამერიკაში), რაც კლასიკურ შტამპებს მიჩვეულმა მაყურებელმა ძნელად მიიღო. ასეა თუ ისე, დღეს ნეკლასიკური ბალეტის აღორძინება ამერიკაში სწორედ ჯორჯ ბალანჩინის სახელს უკავშირდება. მთავარ პარტიებს „სერენადაში“ ღირსეულად უმკლავდებიან სოლისტები: ნინო სამადშვილი, ნუცა ჩეკურიშვილი, ეკა სურმავა, იგორ არტამონოვი.

მესამე ნაწილში დიდი, ჭრელი ფარდაგივით აღიქმებოდა ფრაგმეტები ბალეტიდან: „ძვირფასი თვლები“ (სოლისტები ანასტასია სტაშკევიჩი და ვიაჩესლავ ლოპატინი, იგორ სტრავინსკის მუსიკა); პა-დე-დე ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“ (სოლისტები მაია მახათელი და არტურ შესტერიკოვი) და პა-დე-დე ჯონ ფილის სოუზას ბალეტიდან „ვარსკვლავები და ზოლები“ (ბერლინის „შტატსოპერის“ სოლისტები იანა სალენკო და რაინერ კრენს-ტეტერი).


რომელმაც სახასიათო „ტარანტელაში“ გაიელვა.

პუბლიკამ ასევე მხურვალედ მიიღო სპეციალურად ამ საღამოსთვის მომზადებული პა-დე-დე ადანის ბალეტიდან „კორსარი“ (სოლისტები ლალი კანდელაკი და იგორ ზელენსკი). ვახტანგ ჭაბუკიანის სახელბის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღზრდილი იგორ ზელენსკი ჯერ კიდევ თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებში გამოირჩეოდა საოცარი ნახტომებითა და პირუეტებით.

90-იანი წლების ბოლოს ის ევროპაში მიემგზავრება; 1996 წლიდან არის ბერლინის „ფონჩე ოპერის“, ხოლო მოგვიანებით ლონდონის სამეცო ბალეტის სოლისტი. მონანილებში „ლა სკალას“, ბოსტონისა და სან-ფრანცისკოს საბალეტო დასის წარმოდგენებში. რაც შეეხება ლალი კანდელაკს, ის ვარნის 2000 წლის საერთაშორისო საბალეტო კონკურსის გამარჯვებულია. მისი კარიერა დაკავშირებულია ისეთ ცნობილ მოცეკვეებთან, როგორებიცაა ალექსეე უვაროვი, დევიდ პოლბერგი, იგორ ზელენსკი...

მესამე ნაწილში დიდი, ჭრელი ფარდაგივით აღიქმებოდა ფრაგმეტები ბალეტიდან: „ძვირფასი თვლები“ (სოლისტები ანასტასია სტაშკევიჩი და ვიაჩესლავ ლოპატინი, იგორ სტრავინსკის მუსიკა); პა-დე-დე ჩაიკოვსკის ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი“ (სოლისტები მაია მახათელი და არტურ შესტერიკოვი) და პა-დე-დე ჯონ ფილის სოუზას ბალეტიდან „ვარსკვლავები და ზოლები“ (ბერლინის „შტატსოპერის“ სოლისტები იანა სალენკო და რაინერ კრენს-ტეტერი).

აღსანიშნავია, რომ 2014 წელი ამერიკაში ბალანჩინის წლად არის გამოცხადებული. საზეიმო ღონისძიებები ჯერ კიდევ ბალანჩინის თემაზე შექმნილი კალენდრის გამოცემით დაიწყო და ელიზაბეტ კენდელის ახალი წიგნის – „ბალანჩინი და დაკარგული მუზია“ – ქართული თარგმანისა და გამოცემის დაფინანსებით გაგრძელდა. დიდ საკონცერტო დარბაზში კი ბალანჩინისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამომდე 18 მაისს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ბალანჩინის მეგობრის, პაულ კოლნიკის უნიკალური ფოტოგამოფენა სახელწოდებით „მუდმივად ანმყოში“. ■



WWW.LIBERALI.GE

109/24



WWW.LIBERALI.GE

